ლიბერალი

№ 114 / 5 - 11 ნოემბერი / 2012

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2 ლარი

ისევ უსახლკაროდ

გვ. 52

თუ გამოგრჩა რომელიმე სიუჟეტი ან გადაცემა, ეწვიე "მეცხრე არხის" Youtube-ს.

tv9.ge/youtube

YouTube

tv9

ეცადე დაინახო მეტი

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო ფაილის მოსაძებნად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.

ლიბერალი

№ 114 / 5 - 11 ნოემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
მაგდა მემანიშვილი
სოფო ბუკია

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე, ლაშა ქავთარაძე

კონტრიბუცია:
ბექა ქურხული, ლელა რეხვიაშვილი, თამარ ბაბუაძე, ტატიანა გოვერა, სეიმურ ქაზიმოვი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

რედაქტორისგან

ჰა ბედი უნდა ენიოს "საზოგადოებრივ მაუწყებელს"?

თუ კომპლექსურად არ მივუდგებით „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, ისევ ფასადურ ცვლილებებს მივიღებთ.

ვეცდები ავხსნა, რას ვგულისხმობ „კომპლექსურ მიდგომაში“.

საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო სამეთვალყურეო საბჭოს რეფორმირებისათვის. ერთი მხრივ, უნდა შემცირდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანონით დადგენილი რაოდენობა 15 წევრიდან – ალბათ მაქსიმუმ 7 წევრამდე, რადგან 15 წევრიანი საბჭო სრულიად არაეფექტიანია და სახელფასო ბიუჯეტიც – გაბერილი. ამის სანაცვლოდ, საბჭოს უნდა ჰყავდეს მოქმედი და ეფექტიანი აპარატი, რომელიც იმუშავებს როგორც ფინანსების, ისე შინაარსის მონიტორინგზე და საბჭოს მოუმზადებს შესაბამის მასალებს. სწორედ ეს ორი მთავარი ფუნქცია აქვთ მეურვეებს – მაუწყებლის ფინანსური და პროგრამული კონტროლი.

შეიძლება გადაიხედოს მანდატიც: რისი უფლებამოსილება აქვს საბჭოს და რისი – არა. ამჟამინდელი კანონმდებლობით, მეურვეები ვერაფერს ცვლიან არხის სარედაქციო პოლიტიკაში. მათ შენიშვნებს მხოლოდ „სარეკომენდაციო“ სახე აქვთ. თუმცა, ეს სადავო თემაა.

გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს საბჭოს არჩევის წესი. თუ აქამდე წევრები პარიტეტული პრინციპით კომპლექტდებოდნენ (საპარლამენტო პარტიებს ეკუთვნოდათ შესაბამისი კვოტები), პრეზიდენტის კანცელარია ადგენდა კანდიდატების „შორთ-ლისტს“ და შემდეგ უკვე პარლამენტი ამტკიცებდა წევრებს, უმჯობესია, წევრების ნომინირების პროგატივა ჰქონდეთ სამოქალაქო ჯგუფებსა თუ ინდივიდებს. შერჩევის პროცედურის სხვადასხვა ვარიანტზე კი შეიძლება ვიმსჯელოთ. მთავარი ისაა, რომ არჩევის ეს წესი უფრო მეტად იქნებოდა საბჭოს დამოუკიდებლობის გარანტი პოლიტიკური წნეხისაგან.

მაგრამ, ვშიშობ, მაუწყებლის ბიუროკრატიული რეფორმა არ კმარა. ახალი დირექტორის წინაშე დგას ბიზნეს-ამოცანებიც. მას, ერთი მხრივ, ძალიან კარგად უნდა ესმოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობის კონცეფცია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, იცოდეს, როგორ შექმნას თანამედროვე, საინტერესო ტელევიზია (პირველ რიგში, საჭიროა ახალი შენობა). ამისათვის ალბათ სასურველია ბიზნეს-გამოცდილებაც. ასევე, სრულიად ინოვაციურად უნდა გაიაზროს სამაუწყებლო ბადე, არა არსებული, ქართული ტელეარხების კვალდაკვალ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უნდა შექმნას სრულიად უნიკალური, მაღალხარისხიანი, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ტელე-პროდუქტები. ამის ფუფუნება – კანონით გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება, რაც აქამდე წელიწადში, სულ მცირე, 25 მილიონი იყო – მას ნამდვილად აქვს!

იმედი მაქვს, საინიციატივო ჯგუფები და ახალი ხელისუფლება გაითვალისწინებენ ამ ხედვას მაშინ, როცა დღის წესრიგში საზოგადოებრივი მაუწყებელი დადგება.

შორენა შავერდაშვილი

დიდი პოლიტიკა ნამდვილ ამერიკაში

არჩევნებამდე 5 დღით ადრე ბარაკ ობამა და მიტ რომნი მერყევი შტატების გადაბირებას ცდილობენ. პოლიტიკური მარკეტინგის კანონების მიხედვით, ისინი ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ყველაზე მერყევ შტატებში მართავენ მრავალათასიან შეხვედრებს. თუმცა, არც ის მეორეხარისხოვანი შტატები ავიწყდებათ, რომელთა მოგებაც ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ, მაინც მნიშვნელოვანია. ასეთი შტატია ჩრდილოეთ კაროლინა. ამ წერილს სწორედ იქიდან გწერთ იმის გასაგებად, თუ როგორ აისახება დიდი პოლიტიკა პატარა, 50 ათასიან ქალაქებზე, ანუ, ნამდვილ ამერიკაზე.

თამარ ბაბუაძე
83.20

"ამ ეტაპზე, ავტოტრანსპორტის ჩამოყალიბების საფრთხეს ვერ ვხედავ"

საპარლამენტო არჩევნების და ივანიშვილის კოალიციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობაა, რომელიც საინტერესო და სასიკეთო ცვლილებებს გვპირდება, თუმცა, არსებობს საფრთხეებიც და ბევრი პრობლემა, რომელთა წინაშეც ახალი ხელისუფლება დგას. მიმდინარე პროცესების შესახებ „ლიბერალი“ რესპუბლიკური ინსტიტუტის სამხრეთკავკასიური კვლევების პროგრამის დირექტორს ივლიანე ხაინდრავას ესაუბრა.

ნინო ბექიშვილი
83.14

მინისტრის მეგობარი

2006 წლის 25 დეკემბერს ლუხუმ კაპანაძემ და მოქალაქე დევი ოვაშვილმა 50-50 პროცენტიანი წილებით შპს „ინტერპლასტი“ დააფუძნეს. 2008 წელს დევი ოვაშვილი გახდა პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“, იგი პარლამენტში ახალგორის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად შევიდა.

„ინტერპლასტი“ ლილოში 5 ჰექტარზე განლაგებული ქარხანა იყო, რომელიც სამშენებლო-სარემონტო მასალებს და მეტალოპლასტმასის ნაკეთობებს აწარმოებდა. ინტერპლასტს საქართველოს პრეზიდენტი რამდენჯერმე ესტუმრა. 2007 წლის მარტიდან

ლუხუმ კაპანაძემ „ინტერპლასტში“ წილები მინიმალურ ფასად 100 ლარად გაასხვისა. გასაყიდი ფასის სიმცირემ გააჩინა ეჭვი, რომ წილების გადაცემას ფიქტიური ხასიათი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ როგორც „ინტერპლასტის“, ასევე „ლემისე კომპანის“ წილები პანამაში რეგისტრირებულ ერთსა და იმავე კომპანიებზე გადაფორმდა.

ნინო ზურიაშვილი, ცქრიალა შერმადინი
83.43

ახალი პარლამენტის ბინყინვალება და სილამაზე

პარლამენტის ახალი შენობის საერთო ფართი 4 200 კვადრატული მეტრია, სადაც 217 კაბინეტი და 11 საკონფერენციო ოთახია განთავსებული.

პარლამენტის პროექტის ავტორი ესპანელი არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბოა, ორი წლის განმავლობაში ნაგებობაზე 2000-მდე მშენებელი მუშაობდა. პირველი საზეიმო სხდომა, 2012 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიმართა.

ახალ პარლამენტს ქუთაისში, კომპანია „მაგი სტილი“ აშენებს. ეს შეკვეთა კომპანიას ხელისუფლებამ ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადასცა. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, მშენებლობისთვის 2009 წელს – 200 000, 2010 წელს – 68,42 მილიონი, 2011 წელს კი 5,14 მილიონი ლარი გამოიყო.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.32

ფოტორეპორტაჟი

ალავერდობა

დინა ოგანოვა
გვ.58–63

ნოემბერში:

ფოტო ბარაბანზე
ლევან ხერხეულიძე

06 ციტატები
ორი აზრი
08 უნდა აიღონ თუ არა წმინდა გიორგის მონუმენტი თავისუფლების მოედნიდან?
ალექსანდრე ელისაშვილი vs ზაზა გაბუნია
კომენტარი
10 შრომის რეგულაცია – არგუმენტები ლიბერტარიანული ლოგიკის წინააღმდეგ
მსოფლიო
28 უკრაინა – ნაბიჯი უკან
30 აზერბაიჯანის საზოგადოებრივი პალატა
პოლიტიკა
40 Песня невинности, она же - опыта!
სამართალი
48 ირინა ენუქიძის პატივსაცემად
საზოგადოება
52 ისევ უსახლკაროდ
56 კლინიკა ერთი წლის შემდეგ
კომენტარი
64 ბიძაჩემი
ბექა ქურხული

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ქარიშხალმა "სენდიმ" აშშ-ს მილიარდობით ზარალი მოუტანა

ქარიშხალმა „სენდიმ," უკანასკნელი ცნობებით, 157 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გარდაცვლილთაგან 88 აშშ-ის მოქალაქეა, ორი კანადელი, 67 კი – კარიბის აუზის ქვეყნების.
შტორმის გამო აშშ-ის ჩრდილოაღმოსავლეთ შტატებში პარალიზებული იყო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, გადაიდო ათასობით საჰაერო და სარკინიგზო რეისი, დაიხურა სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. წინასაარჩევნო კამპანია შეწყვიტეს პრეზიდენტობის კანდიდატებმა მიტ რომნიმ და ბარაკ ობამამ.
აშშ-ში „სენდისაგან" მიღებულ ზარალს ამ დროისთვის 20 მილიარდ დოლარად აფასებენ, რომელსაც სხვადასხვა ბიზნესისათვის მიყენებული 30 მლრდ-ის ოდენობის ზარალიც ემატება. ექსპერტები არ გამორიცხავენ ზარალის გაზრდასაც.
ძლიერი შტორმის გამო, ორი დღით შეჩერდა ნიუ იორკის საფონდო ბირჟის მუშაობაც, რაც 1888 წლის შემდეგ პირველად მოხდა.
ქარიშხალი „სენდი" კარიბის ზღვის აუზში წარმოიშვა, რომლის შემდეგაც აშშ-ის აღმოსავლეთ შტატების გავლით, კანადის ტერიტორიაზე გავრცელდა. ქარიშხალ „კატრინას," „ენდრიუსა" და 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, „სენდი" უკვე შეფასდა ყველაზე მასშტაბურ კატასტროფად აშშ-ში.

ბერძენი ჟურნალისტი სასამართლომ დამნაშავედ არ სცნო

ბერძენი ჟურნალისტი კოსტას ვახევანისი სასამართლომ 2 000-მდე ჩინოვნიკის პირადი ცხოვრების ხელყოფაში დამნაშავედ არ სცნო და სასამართლოდან გაათავისუფლა. რამდენიმე დღის წინ გამომძიებელმა ჟურნალისტმა, ჟურნალში Hot Doc, რომლის რედაქტორიც თავად არის, ორიათასამდე ბერძენი მაღალჩინოსნის სახელი და გვარი გამოაქვეყნა, რომლებიც საბანკო ანგარიშს შვეიცარიულ ბანკში ფლობდნენ და მათ გადასახადებისათვის თავის არიდებაში სდებენ ბრალს. მათ შორის იყვნენ საბერძნეთის მთავრობის მინისტრები და სხვა გამოჩენილი ფიგურები.
როგორც ცნობილია, ეჭვმიტანილთა სიამ HSBC ბანკის თანამშრომლისგან გაჟონა და ინფორმაცია თავდაპირველ-

ლად საერთაშორისო სავალუტო ფონდის თავმჯდომარეს კრისტინ ლეგარდეს ჩაუვარდა ხელთ, როდესაც ის საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებდა 2010 წელს. გადასახადებისაგან თავის არიდებაში ბრალდებულთა სიის შესახებ ცნობილი იყო საბერძნეთის ყოფილი მინისტრებისათვისაც, თუმცა ეჭვმიტანილთა ვინაობის შესახებ, ინფორმაცია Hot Doc-ში გამოქვეყნებამდე უცნობი იყო. „ლეგარდეს სიის" გამოქვეყნებას კი ქვეყნის მასშტაბით სკანდალი მოჰყვა. სააგენტო „როიტერის" ცნობით, სიაში მოხვედრილმა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ყოფილმა მინისტრმა და მოსამართლემ, ლეონიდას ტანისმა რამდენიმე დღის წინ, ფინანსურ მაქინაციაში დადანაშაულების გამო, თავი ჩამოიხრჩო.

დიმიტრი მედვედევი: PUSSY RIOT-ი ციხეში არ უნდა იყოს

„მე რომ მოსამართლე ვიყო, Pussy Riot-ის წევრებს ციხეში არ ჩავსვამდი. უბრალოდ, არასწორი მგონია, რომ მათ ახლა ციხის პირობებში უწევთ ყოფნა. მათ უკვე საკმარისი ხანი გაატარეს ციხეში", – განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა, სააგენტო „რია ნოვოსტისთან."
რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ფემინისტურ პანკ-ჯგუფის წევრების ციხიდან გამოშვების შესახებ განცხადება რამდენიმე ხნის წინაც გააკეთა. გოგონების ერთ-ერთი ჩანაწერის მოსმენისას მედვედევმა აღნიშნა, რომ მუსიკოსების ასეთი საქციელი პირადად მას გულს ურევდა, თუმცა შემთხვევის ემოციური განსჯა და ცხელ გულზე მათი დაკავება გაცილებით უფრო „კონტრპროდუქტიული" იყო.
„ციხეში ძალიან მკაცრი პირობებია, საშინელიც კი", – აღნიშნა მედვედევმა და დასძინა, რომ Pussy Riot-ის წევრებს საკმარისი დრო ჰქონდათ საიმისოდ, რომ „თავიანთ სულელურ საქციელს ჩასწვდომოდნენ".
ჯგუფის დაკავებული წევრებიდან ერთ-ერთი ეკატერინა სამუცევიჩი დაახლოებით ერთი თვის წინ გააათავისუფლეს. მარია ალიოხინა და ნადეჟდა ტოლოკონიკოვა ხულიგნობის ბრალდებით კი დღემდე იხდიან სასჯელს.





ობამას ადმინისტრაციას სირიის ნაციონალური საბჭოს აღარ სჯერა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა კომენტარი გააკეთა სირიის ოპოზიციურ ძალებთან დაკავშირებით. სახელმწიფო მდივნის თქმით, სირიის ნაციონალური საბჭო აღარ უნდა განიხილებოდეს ოპოზიციის მმართველად და ნაცვლად ამისა, სირიაში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არა მხოლოდ პრეზიდენტ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გააგრძელებს ბრძოლას, არამედ იქნება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოების გარანტი. მისი თქმით, ექსტრემისტულ ჯგუფებს არ უნდა მიეცეთ საშუალება, რომ „რევოლუცია მიიტაცონ“.

„სირიაში ოპზიციურ ძალებს უნდა წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ იბრძვიან ფრონტის ხაზზე, და არა ისინი, რომლებსაც კარგი თვისებები აქვთ, თუმცა 20, 30 და 40 წელია სირიაში არ უცხოვრიათ“, – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ხორვატიაში გამგზავრების წინ.

სირიის ოპოზიციურ ძალებს მომავალ კვირას კატარის დედაქალაქ დოჰაში ელოდებიან. კლინტონმა იმედი გამოთქვა, რომ დოჰაში გამოჩნდებიან ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას გადაიბარებენ.

აფეთქებამ საუდის არაბეთში 22 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

საუდის არაბეთში ერთ-ერთ საავტომობილო ესტაკადაზე მომხდარი ავარიისას ნავთობით დატვირთული სატვირთოს აფეთქებამ ოცზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შემთხვევა პირველ ნოემბერს მოხდა და ადგილობრივი მედიის ცნობით, ასამდე ადამიანი მძიმედ დაშავდა, რომელთა ნაწილი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ინციდენტი საუდის არაბეთის დედაქალაქის, ერ-რიადის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა. სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, აფეთქება ავზის გაჟონვამ გამოიწვია, რომლის დროსაც სატვირთო ქალაქის ინდუსტრიულ ზონაში იყო შესული. შემთხვევის შედეგად დაზიანდა მიმდებარე შენობებიც, ათეულობით ადამიანის ძებნა კი ისევ გრძელდება. სამართალდამცავები არ გამორიცხავენ დაღუპულთა რიცხვის გაზრდას.

ციტატები

„შემიძლია მხოლოდ ერთი რამ ვთქვა: ჩვენ ზურაბ აბაშიძეს კარგად ვიცნობთ, როგორც საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთში და როგორც გამოცდილ ადამიანს და დიპლომატს; ბოლო წლებშიც მას არაერთხელ შევხვედრივართ“, –

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინი

„გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გარკვეული თანამდებობის პირების კეთილდღეობასა და ახირებებს ხმარდებოდა“, –

ნოდარ ხადური, საქართველოს ფინანსთა მინისტრი

„მე ვერ ვიტყვი, რომ აქ იყო მუსულმანთა უფლებების ხელყოფა. ეს იყო უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა. მას შემდეგ რაც სააკაშვილის და უშიშროების საბჭოს კომენტარები მოვისმინე, როდესაც ერთხმად დარაზმულები ხელს მთავრობისაკენ იშვერენ, ვფიქრობ, რომ მათ მიერ არის პროვოცირებული ეს უსიამოვნება. ეს სოფელი ძალიან დიდი ხანია მშვიდად და წყნარად ცხოვრობს, არასოდეს ეს კონფლიქტი არ ყოფილა. მაგრამ ერთის უფლებების დაცვა არ ნიშნავს, რომ მეორის უფლებები იყოს ხელყოფილი“, –

ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფელ ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტზე საუბრისას



„სექსუალური უმცირესობების რეკლამირების წინააღმდეგი ვარ. უფლებების დაცვა არის ერთი, თუ ირღვევა ვინმეს უფლება, ის უფლება უნდა დაიცვა, არის ამა თუ იმ საქმიანობის, ამა თუ იმ ცხოვრების წესის რეკლამირება, მოწოდება რომ შენც ასე გააკეთე, შენც ასე მოიქეცი... ეს არის რეკლამირება. სახალხო დამცველისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვა. მიუხედვად იმისა, ვინ არის ეს ადამიანი, ვის მიეკუთვნება, რა ჯგუფს მიკუთვნება“, –

ვახტანგ ხმალაძე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი

KIA Sportage

iPhone 4

iPad 3G

MacBook Pro

MOBILE BANKING
INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27

www.tbconline.ge www.tbcmobile.ge

დიახ

ალექსანდრე ელისაშვილი
ჟურნალისტი

ფოტო: ლევან ხარბედია

...ენდა აიღონ თუ არა ნმი... თავისუფლები...

■ მე კი არ მინდა ჩემი ქალაქის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქის მთავარ მოედანზე აღმართული იყოს ღიმილისმომგვრელი, უპროპორციო ბრჭყვიალა ქანდაკება, რომლის მცირე ასლებსაც რუსეთის არაერთ ქალაქში შეხვდებით.

თავისუფლების მოედანზე მდგომი მონუმენტის აღება, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს გადაუდებელ და სასწრაფო ამოცანას. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ძეგლი ადრე თუ გვიან ასაღებია. რატომ არ იმსახურებს ეს მონუმენტი თბილისის მთავარი მოედნის შუაგულში დგომას:

1. თავის დროზე ამ ქანდაკების აღმართვა მოხდა ერთპიროვნული, დახურული გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებას წინ არ უძღოდა საჯარო განხილვა. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ერთ ცისმარე დილით გამოგვიცხადეს – ამიერიდან თავისუფლების მოედანზე სწორედ ეს ვეებერთელა ქანდაკება იდგებაო. შემდეგ ღიადაც და კულუარებშიც ამ გადაწყვეტილების ერთადერთ არგუმენტად იმას ასახელებდნენ რომ – ძეგლი ზურაბ წერეთელმა გვაჩუქა. არადა, ზუსტად ამგვარი მონუმენტები (მხოლოდ შედარებით მომცრო ზომის) ბატონმა წერეთელმა რუსეთის არაერთ ქალაქსაც აჩუქა.

2. უზარმაზარი მონუმენტი არის სრულიად შეუსაბამო თავისუფლების პატარა მოედნისთვის. საეჭვოა მისი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება და ამ სივრცესთან შესაბამისობა. ამაში დასარწმუნებლად არ არის აუცილებელი იყო პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე, ან არქიტექტორი, საკმარისია თავისუფლების მოედნის ნებისმიერ კუთხეში დადგე და შეხედო, უფრო სწორედ კისრის მოღრეცვით აჰხედო ვეებერთელა ქანდაკებას. თანაც ღიმილისმომგვრელია ქალაქის სხვადასხვა უბნიდან დანახული თავისუფლების მოედანი, სადაც შენობების თავზე წამოსკუპებულად ჩანს ცხენზე შემომჯდარი შუბშემართული ბრჭყვიალა კაცი.

მე კი არ მინდა ჩემი ქალაქის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქის მთავარ მოედანზე აღმართული იყოს ღიმილისმომგვრელი, უპროპორციო ბრჭყვიალა ქანდაკება, რომლის მცირე ასლებსაც რუსეთის არაერთ ქალაქში შეხვდებით. არ მინდა თავისუფლების მოედანზე აღმართული იყოს ძეგლი, რომლის ერთადერთი ფასი ნაჩუქრობაა.

დასასრულ გავიმეორებ – თავისუფლების მოედნის ზიზილპიპილოს აღება არაა დღეის საქართველოს პირველი რიგის ამოცანა, მაგრამ საშურია ამ საკითხზე საზოგადოებრივი სჯა-ბაასის დაწყება. ამ დისკუსიაში ჩემი მოკრძალებული აზრი ისაა, რომ ეს ქანდაკება უნდა ავიღოთ და მოედნის შუაგულის ათვისება-გაფორმების შესახებ ღია, საჯარო კონკურსი გამოცხადდეს.

ინდა ბიოჩბის მონუმენტი
ის მოედნიდან?

ძეგლების დანიშნულება გახლავთ სიმბოლური, პატივის მიგებითი. ჩვენთან, უძველესი ქრისტიანული ერისგან წმინდა გიორგის გამოსახულების არსებობა სწორია; პოლიტიკური კონტექსტით, ტოპონომიკურად, თუ სივრცობრივად გამართლებულია.

არა

ზაზა გაბუნია
საკრებულოს წევრი

მოსაზრება, რომელიც წინა ხელისუფლებისგან ისმოდა, თითქოს ეს არ არის წმინდა გიორგის გამოსახულება – არასწორია, რადგან თავისი სიმბოლიკით, ტრადიციულობით, ეს არის წმინდა გიორგის მონუმენტი, რომელიც აბსოლუტურად ჰარმონიულად მოთავსდა ქალაქის ნაწილის არქიტექტურულ იერსახესა და საერთო ლანდშაფტურ გარემოში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ძეგლი ეკუთვნის აღიარებულ მონუმენტალისტს – ზურაბ ნერეთელს.

რა თქმა უნდა, ეს საეკლესიო სიწმინდე არაა, თუმცა მონუმენტი კონკრეტულ რელიგიურ პიროვნებას, მის სიმბოლურ მოქმედებას, ბოროტების დამარცხების სცენას განასახიერებს, შესაბამისად, მისი ისე აღება, როგორც პრომეთეს ძეგლის შემთხვევაში მოხდა, აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია.

ძეგლების დანიშნულება გახლავთ სიმბოლური, პატივის მიგებითი. ჩვენთან, უძველესი ქრისტიანული ერისგან წმინდა გიორგის გამოსახულების არსებობა სწორია; პოლიტიკური კონტექსტით, ტოპონომიკურად, თუ სივრცობრივად გამართლებულია, რომ თავისუფლების მოედანზე, რომელსაც ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული სხვადასხვა სახელი ერქვა და სადაც ბოროტების იმპერიის დამაარსებლის – ლენინის ძეგლი იდგა, დღეს ბოროტების დამარცხების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის გამარჯვების, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიმბოლო – წმინდა გიორგის ძეგლი იდგას.

ჩვენს ქალაქში ძალიან ბევრი ისეთი ნაგებობაა, რომელთა აღება-დემონტაჟთან დაკავშირებითაც მსჯელობა პირველ რიგში უნდა დავიწყოთ. ასეთი გახლავთ რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძეგლი, რომელიც ძალიან ძვირი დაჯდა, მათ შორის – კაზინო. არის ძალიან ბევრი შენობა, რომელიც თავისი ფორმით და დანიშნულებით არ თავსდება თბილისის არქიტექტურაში, ამავდროულად კი აზიანებს ქალაქის ისტორიულ იერსახეს, რის გამოც თბილისი მოაკლდა ისეთ პატივს, როგორიც იუნესკოს მიერ დაცული ქალაქების სიაში მოხვედრაა. ასე რომ, სჯობს ისეთ საკითხებს მივხედოთ, რომელიც როგორც თანამედროვე, ასევე თბილისის ისტორიული ნაწილის იერსახისთვის არის მნიშვნელოვანი. ამ პროცესში წმინდა გიორგის ძეგლი ნამდვილად არ უქმნის პრობლემას ჩვენს დედაქალაქს.

შრომის ხებვლასია

არგუმენტები ლიბერტარიანული ლობიჯის წინააღმდეგ

სანამ საქართველოს ახალი ხელისუფლება აგრძელებს გეგმების არასისტემატიურ, ზედაპირულ წარდგენას, ქართველი ლიბერტარიანელები უკვე გაჟღერებული ინიციატივების კრიტიკას შეუდგნენ.

ლელა რეხვიაშვილი
ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი



ჟურნალ „ტაბულაში“ ახლახან დაიბეჭდა გია ჯანდიერის სტატია, რომელიც შრომის თავისუფლების მხარდასაჭერად აყალიბებს არგუმენტებს და ასკვნის, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში შრომის თავისუფლება ეს არის შრომის ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთი გზა, თუ მას არ გადავუხვევთ, მეტი ინვესტიციებიც იქნება და მეტი დასაქმებაც, თუ გადავუხვევთ – მუდმივი სიღარიბე“. მართლაც, შრომითი ურთიერთობების რეგულაცია/დერეგულაცია პირდაპირ კავშირშია სიღარიბესა და უმუშევრობასთან, მაგრამ შრომის თავისუფლება კი არ ამცირებს, არამედ, იწვევს სოციალურ პრობლემებს.

სტიგმა

თავისუფლების სახელით კონკურენციის უზენაესი ძალების დამცველთა პოზიციაში ყველაზე საშიში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სტიგმატიზაციის ტენდენციაა. ბატონი გია ჯანდიერი, ისევე, როგორც არაერთი ქართველი ლიბერტარიანელი, მუდმივად ხაზს უსვამს მშრომელთა სიზარმაცეს, უპასუხისმგებლობას და დაბალანაზღაურებიანი სამსახურის „არ კადრებას“. მეორე მხრივ – ინვესტორი წარმოჩენილია როგორც „ჰუმანური“ პერსონა, რომელიც ცდილობს პროდუქტიული ინვესტიციები აკეთოს. თუ ზოგადად არაკვალიფიცირებულობაზე ვსაუბრობთ, ან ზოგად კულტურულ მახასიათებლებზე, მაშინ რატომაა ინვესტორი ყოველთვის „ჰუმანური“ და კვალიფიცირებული, ხოლო დასაქმებული – ზარმაცი და უცოდინარი? ლიბერალური დისკურსი მხოლოდ დღეს არსებული იერარქიების და უთანასწორობების დაცვას და ლეგიტიმიზაციას ემსახურება. გარდა იმისა, რომ ჩვენს რეალობაში „ჰუმანური ინვესტორი“ მართლაც სასაცილო კარიკატურაა, ეს დისკურსი ასევე ქადაგებს – ღარიბი ღარიბია, რადგან საკმარისად არ მუშაობს, უმუშევარი კი – სამსახურს არ ეძებს. თუმცა, საწყისი უთანასწორობები ყველას ავიწყდება და რადგან ჩაგრული მუდმივად თავადვეა „დამნაშავე“, პრივილეგირებულმა კი „დაიმსახურა“ – შესაბამისად, სისტემის შეცვლის საჭიროებაც ქრება.

სამწუხაროდ, ზემოთ განხილულ დისკურსს საქართველოშიც და სხვაგანაც საშუალო ფენა და ელიტა მუდმივად ეთანხმება.

ერთი რამ ცხადია – თუ არჩევანზეა საუბარი, მაშინ არჩევნის თანასწორობაც უნდა იყოს დაცული. იქ სადაც განათლება, კვალიფიკაცია, შესაძლებლობების გამოყენება კლასის, გენდერის, ეთნიკური წარმომავლობის, რეგიონული კუთვნილების და სხვა უამრავი უთანასწორობით არის განპირობებული, არჩევანზე საუბარი სირცხვილია. ჯერ ყველას მიეცეს თანაბარი არჩევანი, და მერე განვიხილოთ, საჭიროა თუ არა იარლიყების მიწებება და სტიგმატიზაცია.

შესაბამისად, არსებული შრომის კოდექსის გამართლება არ შეიძლება მშრომელი ადამიანის სიზარმაცის ხაზგასმას ეფუძნებოდეს. დამატებით, არ შეიძლება დავივიწყოთ ძალაუფლების არაპროპორციული განაწილება – დამსაქმებლის და დასაქმებულის „თავისუფლება“ და „პასუხისმგებლობა“ კონტრაქტის გაფორმებისას ერთი და იგივე არ არის – დამსაქმებელი ძალაუფლების პოზიციაშია და სწორედ ამიტომ არის სავალდებულო უფლება/მოვალეობების განსაზღვრა, რომ დასაქმებულის დისკრიმინაცია არ მოხდეს.

თავად კოდექსი

ეკონომიკური ლიბერალიზმის მომხრეთა ნარატივი მარტივია, და ბატონი გია ჯანდიერი, მგონი, ამაოდ ირჯება, რადგან ჩვენმა აწ უკვე ყოფილმა ხელისუფლებამ ანა-ბანასავით შეგვასწავლა ამ ნარატივის ლოგიკა: „არ უნდა შევზღუდოთ ინვესტორი, რადგან ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა“, ან როგორც ბატონი ჯანდიერი განმარტავს, მკაცრი რეგულაციები ინვესტორს „უმცირებს მოქნილობას, ინოვაციას, კონკურენტუნარიანობას, მის გათვლებში ჩნდება ზედმეტი დანახარჯები, რომელიც ბიზნესს უძვირებს და გაკოტრებისკენ უბიძგებს“.

პრობლემა N1. რატომ არის ინვესტორის ინტერესი/დანაკარგი დაქირავებულის დანაკარგზე უფრო მნიშვნელოვანი?

ნარატივის პირველი პრობლემა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამართლების მცდელობაა. ამ ნარატივის მიხედვით, ინვესტორის მიერ თანხების გადაჭარბებული ხარჯვა დაქირავებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კატასტროფაა. სამაგიეროდ, იმავე ნარატივს სისტემურად ავიწყდება რა ხარჯებთან არის დაკავშირებული შრომითი ურთიერთობების რადიკალური, სრული დერეგულაცია დაქირავებულისთვის. დამქირავებელს აქვს უფლება დაითხოვოს თანამშრომელი გაფრთხილების და ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე.

მსხვერპლი ამ გადმოსახედიდან „ზარმაცია“ და „იმსახურებს“, თუმცა, ჩვენ არავითარი ბერკეტი არ გვაქვს გავიგოთ, მართლა „დაიმსახურა“ თუ არა თანამშრომელმა გაუფრთხილებელი გაძევება. არც ის ვიცით, რატომ უნდა ვენდოთ ინვესტორის „ჰუმანურობას“ იქ, სადაც ძველის გაგდება და ახლობლის მიღება, ჭკვიანის დაჩაგვრა და მორჩილის დაწინაურება სრულიად მისაღები ფენომენია.

თუკი ინვესტორის გადაწყვეტილებებს არ გავაკონტროლებთ, სავარაუდოდ, სამართლიანობას ვერ დავიცავთ. უამრავ დაქირავებულს არ ექნება გარანტია, რომ მისი ხელფასი საარსებო მინიმუმზე მაღალია, რომ ერთ მზიან დღეს უმიზეზოდ არ დაითხოვენ და რომ ეს ყველაფერი მის სოციალურ მდგომარეობაზე კატასროფულად არ აისახება.

ლიბერალური დისკურსი ამის საწინააღმდეგოდ გვეუბნება, რომ ინვესტორის ინტერესების გათვალისწინება სასარგებლოა ეკონომიკისთვის; თუ ეკონომიკა გაძლიერდება, მეტი ადამიანი დასაქმდება, თუ დასაქმება გაიზრდება, სიღარიბეც დაიძლევა.

პრობლემა N2. ვინ სარგებლობს ზოგადი ეკონომიკური ზრდით?

გვინდა კი ეკონომიკური ზრდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ხარჯზე? მოიტანს ინვესტიციების ზრდა დაპირებულ შედეგებს? არ შეიძლება ეკონომიკური ზრდა იყოს რომელიმე საზოგადოების საბოლოო მიზანი, ეკონომიკური ზრდა მხოლოდ საშუალებაა ზოგადი კეთილდღეობის ასამაღლებლად; სიღარიბის, უმუშევრობისა და უთანასწორობის დასაძლევად.

ეკონომიკის სიძლიერე, რა თქმა უნდა, უმთავრესი წინაპირობაა სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, თუმცა, საკმარისი არ არის. როგორც ყველაფერ სხვას, პოლიტ-ეკონომიკის ისტორიასაც გვიან ვეცნობით და გვავიწყდება, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ 70-იან წლებში დიდი სიმწვავით იდგა. მკვლევრები და პოლიტიკოსები დადგნენ ფაქტის წინაშე – ბევრ განვითარებად ქვეყანაში იყო ეკონომიკური ზრდა, მაგრამ სოციალური პრობლემები არ შემსუბუქდა. ამის კარგი მაგალითია თავად საქართველოც. 2004-2008 წლებში საქართველოს ზრდა საშუალოდ 9 პროცენტი იყო, მაგრამ ზრდას უმუშევრობის ან სიღარიბის შემცირება არ მოჰყოლია.

დაპირება, რომ ზრდა თავისთავად გაუმჯობესებს სოციალურ კეთილდღეობას – მცდარია, და ეს არ მოხდება, სანამ სახელმწიფო არ იზრუნებს რედისტრიბუციაზე. შრომითი ურთიერთობების რეგულაცია, სხვა მექანიზმებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ეკონომიკური ზრდის შედარებით თანაბრად გადანაწილებისთვის. არ შეიძლება დამსაქმებელს მივუდგეთ როგორც პროდუქტიული ინვესტიციის კეთების ქარხანას – სინამდვილეში მოხვეჭლი კაპიტალი ინვესტორის დანახარჯების დაფინანსების წყაროა და არა აუცილებლად – მორიგი ინვესტიცია. ინვესტორი იმ დანაზოგს, რაც დაქირავებულთა დისკრიმინაციის ხარჯზე გააკეთა, პირადი კეთილდღეობის ასამაღლებლად იყენებს და ვიღებთ დღეს არსებულ სუ-

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

რათს – მდიდრები მდიდრდებიან და ღარიბები ღარიბდებიან. შესაბამისად, თუ ინვესტორების უფლებათა დაცვა იწვევს ეკონომიკურ ზრდას, ამ ზრდის ხარჯზე კი ისევ თავად ინვესტორები/ბიზნესმენები მდიდრდებიან, მაშინ რატომ უნდა უჭერდეს მთელი მოსახლეობა მხარს ასეთ პოლიტიკას?

პრობლემა N3. არის კი ინვესტორების პრივილეგირებული მოპყრობა სასარგებლო ეკონომიკური განვითარებისთვის?

ყველა სახის უთანასწორობა, ჩაგვრა და დისკრიმინაცია ავნებს როგორც მჩაგვრელს, ისე ჩაგრულს და ზოგადად – საზოგადოებას. შრომითი ურთიერთობების დერეგულაციის შემთხვევაში, საზოგადოების ზოგადი კეთილდღეობა არ იზრდება. სცენარი ასეთია: შეუზღუდავი უფლებების მქონე ინვესტორი/ბიზნესმენი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გაწიოს დაქირავებულებზე. მას შეუძლია დაბალ ხელფასზე დაასაქმოს ადამიანები და როგორც კი დასაქმებულები მოითხოვენ ხელფასის ზრდას, ან მეტ უსაფრთხოებას, დაითხოვოს ძველი და მიიღოს ახალი თანამშრომლები. ეს პროცესი კიდევ უფრო კატასტროფულია ისეთ საზოგადოებებში, სადაც სიღარიბე და უმუშევრობა ასეა გავრცელებული; დამქირავებელს არასდროს გაუჭირდება უფრო იაფი, ან უფრო მორჩილი მუშახელის მოძიება. ბიზნესმენმა იცის, რომ დათხოვნა დამატებით ხარჯებს არ უკავშირდება და არ ზრუნავს იმაზე, რომ სამსახურში აყვანის პროცესი კონკურენტული გახადოს; ანუ კადრების შერჩევა კვალიფიკაციის ან გამოცდილების მიხედვით არ ხდება.

მსგავსი პროცესები იწვევს: კვალიფიკაციის მნიშვნელობის გაუფასურებას – დამსაქმებელი არასდროს აკეთებს ინვესტიციას დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რადგან კადრი ყოველთვის დროებითია და შესაბამისად, წარმოების პროდუქტიულობა, ინოვაციურობა, ხარისხი პრიორიტეტი აღარ არის.

ეს ახლომხედველური მიდგომა დროთა განმავლობაში მთელი საზოგადოებისთვის ერთნაირად დამღუპველია. კვალიფიკაციის ზრდა და აკუმილაცია გამორიცხულია. სიღარიბის დონე შენარჩუნებულია ან მწვავდება, რადგან ბიზნესის მოგებით თანამშრომლები ვერასოდეს სარგებლობენ. საბოლოოდ, იმ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ ერთეულებს აქვთ შემოსავალი, ხოლო ფართო საზოგადოების მსყიდველუნარიანობა ძალიან დაბალია ყველა სახის ბიზნესი და წარმოება იღუპება მარტივი მიზეზის გამო – დაუსაქმებელ ან უკიდურესად დაბალანაზღაურებიან მოსახლეობას უბრალოდ არ აქვს ფუფუნება სხვადასხვა პროდუქტის და მომსახურების შესასყიდად. ამგვარ გარემოში ყველა ინვესტორი საკუთარი ხარჯების შემცირებაზე ზრუნავს – მეღვინე არ უხდის თავის მუშაკებს, და პურის ქარხნის მეპატრონე არ უხდის მცხობელებს. საბოლოოდ ჯამში ყველა პროდუქტს უმცირდება/ეკარგება მომხმარებელი[1].

იმ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ ერთეულებს აქვთ შემოსავალი, ხოლო ფართო საზოგადოების მსყიდველუნარიანობა ძალიან დაბალია, ყველა სახის ბიზნესი და წარმოება იღუპება მარტივი მიზეზის გამო – დაუსაქმებელ ან უკიდურესად დაბალანაზღაურებიან მოსახლეობას უბრალოდ არ აქვს ფუფუნება სხვადასხვა პროდუქტის და მომსახურების შესასყიდად.

სრული დერეგულაცია, ინვესტორთა სრული თავისუფლება ეკონომიკას აზიანებს ერთი მხრივ, განათლებასა და კვალიფიკაციაზე უზრუნველობით, მეორე მხრივ – ზოგადი მსყიდველუნარიანობის შემცირებით.

დასკვნის მაგივრ

მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ურთიერთობების სრული დერეგულაცია, ისევე როგორც, სახელმწიფო ჩაურევლობა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, ცუდად აისახება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ზედმეტი რეგულაციაც შეიძლება დამღუპველი იყოს. ქართველი ლიბერალების პრობლემა ისაა, რომ ისინი ზოგადად ლიბერალური მიდგომის ცნებებს უყურებენ ცალმხრივად და რადიკალურად. მიზანი კი მათი გათვალისწინება და კონტექსტუალიზაციაა. სასაცილოა, მაგრამ როგორც ყოველთვის, კარგი გამოსავალი დაბალანსებული გამოსავალია[2].

შრომითი ბაზრის რეგულაციისთვის ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო, დასავლეთ და აღმოსავლთ ევროპის ქვეყნების უამრავ მაგალითზე შეგვიძლია ვისწავლოთ ის, რასაც ქვია flexicurity - flexibility plus security. მოქნილობა და უსაფრთხოების გარანტირება ერთდროულად არის შესაძლებელი და ეს ორი ცნება ერთმანეთს არ გამორიცხავს. მოქნილობაში იგულისხმება ის, რომ შრომითი რეგულაციები არ უნდა იყოს უკიდურესად მძიმე და რიგიდული. თუმცა ევროპული მოქნილობა ქართულ ლიბერტარიანულობას არ გულისხმობს, ინვესტორის პასუხისმგებლობები და მშრომელთა უფლებები გათვალისწინებული უნდა იყოს. უსაფრთხოება კი გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას დასაქმებულთა დანაკარგების კომპენსაციისთვის, რაც პირდაპირი და არაპირდაპირი შრომითი პოლიტიკის გააქტიურებაში უნდა აისახოს.

1 ამ უმარტივესი მიგნების ავტორი ფორდია, შესაბამისად, არსებობს ტერმინი - ფორდისტული ეკონომიკა. ფორდი მიხვდა, რომ შეეძლო საკუთარი მუშებისთვის გაეზარდა შემოსავალი, და ეს მუშები ავტომობილების მომხმარებლები გახდებოდნენ.

2. ეს მხოლოდ იმ პირობებში, როცა ზოგადი სისტემა კაპიტალიზმია. რამდენადაც ამ ეტაპზე ჩვენ კაპიტალიზმს როგორც სისტემას არ ვუპირისპირდებით, შესაბამისად, განვიხილავთ მის მეტად ან ნაკლებად ადამიანურ ფორმებს. ჩემი პირადი გადმოსახედიდან, კაპიტალიზმი ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის არაადამიანური, ან ნაკლებადამიანური ფორმაა, თუმცა სანამ კვლავ ამ სისტემაში ვართ, ამ სისტემის ენაზე ვკამათობთ. იმედია დადგება დრო, როცა არა კაპიტალიზმის მოდიფიკაციაზე, არამედ სისტემის ცვლილებაზე ვისაუბრებთ.

აქცია | სამომხმარებლო სესხები

თქვენი ნებისმიერი გეგმის და სურვილისთვის

13,95%

გესაჭიროებათ თანხა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად, რემონტისთვის, ავეჯის ან გარდერობის განსაახლებლად, სამოგზაუროდ ან ნებისმიერი სხვა მიზნისთვის? რასაც არ უნდა გეგმავდეთ და რაც არ უნდა ისურვოთ, ბანკ "რესპუბლიკის" ახალი შეთავაზება საუკეთესო არჩევანია!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

SOCIETE GENERALE GROUP

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

"ამ ეტაპზე, ავტოხიატის ჩამოყალიბების საფრთხეს ვეხ ვხედავ"

ინტერვიუ რესპუბლიკური ინსტიტუტის სამხრეთკავკასიური კვლევების პროგრამის დირექტორთან

ივლიანე ხაინდრავასთან

საპარლამენტო არჩევნების და ივანიშვილის კოალიციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობაა, რომელიც საინტერესო და სასიკეთო ცვლილებებს გვპირდება, თუმცა, არსებობს საფრთხეებიც და ბევრი პრობლემა, რომელთა წინაშეც ახალი ხელისუფლება დგას.

რა მოხდა პირველ ოქტომბერს? რა შეიცვალა მას შემდეგ?

პირველ ოქტომბრამდე ქვეყანაში ორი დღის წესრიგი იყო – „მიშა“ და „ანტიმიშა“. პირველი ოქტომბრის შემდეგ კი ოთხი დღის წესრიგი გვაქვს.

პირველი, ეს სამოქალაქო საზოგადოების დღის წესრიგია. არ მაქვს უფლება, მთელი სამოქალაქო საზოგადოების სახელით ვილაპარაკო, მაგრამ მაქვს განცდა, რომ აქ პრიორიტეტი, უპირველესად, დემოკრატიზაციის პროცესი და მასთან გადაჯაჭვული საკითხთა წყებაა – კონკურენტული გარემო პოლიტიკაში და ეკონომიკაში, კონსტიტუციის წესრიგში მოყვანა, სახელმწიფოს და მმართველი პარტიის გამიჯვნა, სახელმწიფო სტრუქტურების დეპოლიტიზაცია, სასამართლოების დამოუკიდებლობა, ადამიანის უფლებები და ა. შ. ცნობილია, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის მმართველობის დროს საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა.

არსებობს მოსახლეობის ფართო ჯგუფები, რომელთათვისაც ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტულია სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ანუ საკუთარი ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ის ცვლილებები, რაც იყო სააკაშვილის დროს, მათ შორის – პოზიტიურიც, ფართო ჯგუფებს არ შეხებია – ეს განსხვევებული დღის წესრიგია.

არსებობს ახალი საპარლამენტო უმრავლესობის და მისი მთავრობის დღის წესრიგი, რომელმაც უნდა მოიცვას წინა ორი. ხელისუფლებამ ამ პრობლემების სინქრონული და პარალელური გადაწყვეტა უნდა შეძლოს.

მეოთხე – ნაციონალური მოძრაობის რევანშისტული დღის წესრიგია. არ ვიცი, თვითონ შიგნით რაზე თანხმდებიან – იმაზე, რომ ვადაზე ადრე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, არ დაელოდონ შემდგომ არჩევნებს, თუ ეს მაინც ოთხწლიანი სტრატეგიაა, მაგრამ ეს დღის წესრიგიც ნამდვილად არსებობს.

ბუნებრივია, დღეს ბევრად უფრო საინტერესო, პლურალისტული ვითარებაა იმასთან შედარებით, რაც პირველ ოქტომბრამდე იყო.

„ქართული ოცნება“, საკმაოდ ეკლექტური და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური სუბიექტებისა და ინდივიდებისგან შედგება. რა საფრთხის წინაშე დგას კოალიცია და შესაბამისად – ქვეყანა?

დროის სიმცირის და ექსტრაორდინარული ვითარების გამო, რომელიც თვითონ ხელისუფლებამ შეუქმნა კოალიციას და საკუთრივ „ქართული ოცნების“ პარტიას, ძნელად მოსალოდნელი იყო, რომ ფასეულობითი ხერხემალი ამ ვითარებაში გადამწყვეტი გამხდარიყო.

„ქართული ოცნება“ კოალიციაა, ამას პლუსიც აქვს და მინუსიც. მინუსი ისაა, რომ არ არის ერთი მსოფლმხედველობის ძალები და წინასწარვე ცნობილია, რომ რაღაც საკითხებზე აუცილებლად ექნებათ უთანხმოება. აღსანიშნავია ისიც, რომ კოალიციაში, საკუთრივ „ქართული ოცნების“ საკმაოდ წონადი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ამ თვალსაზრისით გამოცანას წარმოადგენს – ჩვენ არ ვიცით, რა ფასეულობითი სისტემა აქვს ბევრ მათგანს. ძალიან მალე ამას არ ველი, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის და მთავრობის დღის წესრიგში აუცილებლად დადგება ისეთი საკითხები, რაზედაც სრული თანხმობა არ იქნება.

ამ ადამიანების ფასეულობების შესახებ რატომ არ ვიცით? მედიამ იმუშავა ცუდად, თუ მათ გამოკვეთილი ღირებულებითი სისტემა, უბრალოდ, არა აქვთ?

ეს პარტია იქმნებოდა საქართველოში ძალიან ნაცადი მეთოდით – გაერთიანება პიროვნების გარშემო (გამონაკლისები ცხადია, საქართველოში არის, მაგრამ ძალიან ცოტა). არ მინდა, ამით დავაკნინო ივანიშვილის როლი, მით უმეტეს, უშუალოდ მას უკავშირდება ის ახალი რეალობა, რაც გვაქვს. ივანიშვილის გარეშე, ცხადია, ასეთი რამ არ მოხდებოდა; მაგრამ როდესაც არსებობს ასეთი ძლიერი მიზიდულობის ცენტრი, ის ადამიანებს არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივით არამედ – სხვა მოტივებითაც იზიდავს. მაგალითად – სოციალური სტატუსის ამაღლება, ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი და ამასთან დაკავშირებული პრივილეგიები და სხვ. დროის სიმცირის და ექსტრაორდინარული ვითარების გამო, რომელიც თვითონ ხელისუფლებამ შეუქმნა კოალიციას და საკუთრივ „ქართული ოცნების“ პარტიას, ძნელად მოსალოდნელი იყო, რომ ფასეულობითი ხერხემალი ამ ვითარებაში გადამწყვეტი გამხდარიყო. მანამდე, როგორც გითხარით, მარტივი პოლიტიკური დისკურსი იყო – მიშა და ანტიმიშა. „ანტიმიშამ“ ამ კოალიციის სახით ხალხს ალტერნატივა უჩვენა, დაუმტკიცა საკუთარი უპირატესობა და მოიგო კიდეც არჩევნები. თავისთავად, ბევრი ადამიანისთვის ხელისუფლებაში ყოფნა აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმია და თუ არ გაქვს ღირებულებითი ხერხემალი, ამ გარემოში მით უფრო კომფორტულად იგრძნობ თავს. იმათთვის, ვისთვისაც ღირებულებითი სისტემა

მნიშვნელოვანია, არჩევნის გაკეთების მომენტი აუცილებლად დადგება.

მაგრამ აქ იწყება ის, რასაც მე კოალიციას პლუსში ჩავუთვლიდი – კოალიციური მმართველობის დროს ქვეყანას ავტორიტარიზმის გაცილებით ნაკლები საფრთხე ემუქრება, ვიდრე ერთპარტიული მმართველობისას. თუ იქნება განსხვავებები პრინციპულ საკითხებზე, ჩაერთვება დემოკრატიული პროცედურები და მეტი სივრცე დარჩება სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ამ ეტაპზე, ავტოკრატიის ჩამოყალიბების საფრთხეს ვერ ვხედავ და ეს ის პოზიტივია, რომელიც ნეგატივს გადაწონის. ეს ჩვენთვის განვითარების ახალი ეტაპია. გვინდა თუ არ გვინდა, კოალიციური მთავრობა პირველადაა ქვეყნის სათავეში და თუკი ევროპისკენ მივდივართ, ეს ევროპული გამოცდილება უნდა ვისწავლოთ კიდეც.

ასევე, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში პირველად მოხდა ძალაუფლების დემოკრატიული გადაცემა. როგორ ფიქრობთ, რითი იყო განპირობებული ეს ფაქტი? სააკაშვილმა თითქოს იოლად აღიარა არჩევნებში დამარცხება.

ძალიან შორს ვარ იმისგან, რომ მაღალი შეფასება მივცე ნაციონალურ მოძრაობას ამ კონტექსტშიც, რადგან რაც ივანიშვილის გამოჩენის დღიდან 1-2 ოქტომბრის ღამემდე ხდებოდა, სახელისუფლებო ბერკეტის ბოროტად გამოყენების ნიმუშია. ეს რომ არ ყოფილიყო, პარლამენტში სხვანაირი თანაფარდობა იქნებოდა – უფრო მეტი, კოალიციის სასარგებლოდ. თუმცა, ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში მოხვდებოდა.

მაინც რამ განაპირობა ის შედეგი, რომელიც მივიღეთ? პირველი მიზეზი ამომრჩევლის აქტივობაა. ნაციონალური მოძრაობის კარგად დამუშავებული მეთოდოლოგია საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებისა, ცხადია, ამ არჩევნებშიც იყო. მაგრამ ვფიქრობ, პირველ ოქტომბერს, დღის 2-3 საათისთვის, როცა მათმა ამომრჩეველმა მკაცრი კონტროლის ქვეშ ხმა მისცა და საარჩევნო უბნებთან ნაკადი მაინც არ წყდებოდა, მიხვდნენ, რომ არჩევნები წაგებულია, განსაკუთრებით – თბილისში. როცა დედაქალაქში თანაფარდობაა 3,5:1 პროპორციულ ნაწილში და 10:0 – მაჟორიტარულში კოალიციის სასარგებლოდ, ამის შემდეგ საკუთარი თავის არჩევნებში გამარჯვებულად წარმოდგენა სულ ცოტა, უხერხული იქნებოდა, თუმცა, უხერხულობა არ არის ის, რაც ნაციონალურ მოძრაობას შეაკავებდა. გავიხსენოთ ჩიორა თაქთაქიშვილისა და პრეზიდენტის პირველი გამოსვლა 1-2 ოქტომბრის ღამით. ორივემ თქვა: ალბათ პროპორციულში თბილისში წავაგეთ, მაგრამ რეგიონების და მაჟორიტარების ხარჯზე უმრავლესობას შევინარჩუნებთო.

ამის შემდეგ თბილისში დაიწყო „ოცნების“ მხარდამჭერთა ზეიმი, და ხელისუფლებისთვის ცხადი გახდა, რომ ან საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოეცხადებინათ და თბილისში ტანკები შემოეყვანათ, ან დამარცხება უნდა ეღიარებინათ. აქაც, არა მგონია, რომ დამარცხების სასარგებლოდ იყო მიღებული გადაწყვეტილება ნაციონალურ მოძრაობაში, მაგრამ ვფიქრობ, აქტიურად ჩაერთო დასავლეთი – საელჩოები, მისიები, ალბათ იყო ზარები ვაშინგტონიდან და სააკაშვილს დემოკრატიული იმიჯის და პოლიტიკური მომავლის გადარჩენის მიზნით ურჩიეს ეღიარებინა დამარცხება; ისევე როგორც, ღრმად ვარ დარწმუნებული, 2008 წლის დამდეგს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა ურჩიეს. მაშინ მისი პოლიტიკური მომავლის გადარჩენა მოხერხდა, ახლა არ ვიცი, მოხერხდება თუ არა, მაგრამ ცხადია, რომ სააკაშვილის, როგორც დემოკრატის იმიჯი გადაარჩინეს, უპირველესად – ქვეყნის გარეთ.

სააკაშვილის მმართველობის მეორე ვადაში, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სულ უფრო მეტი ადამიანისთვის ცხადი გახდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიძლება საუბარი მოდერნიზაციაზე, შეიძლება საუბარი რეფორმებზე, მაგრამ დემოკრატიაზე – არა; ეს დემოკრატიული პროექტი არ არის. ახლა მიშა კვლავ იმდენად „დემოკრატია“, რომ არჩევნებიც კი წააგო და ვშიშობ, რომ ამ მითთან გამკლავება არ მოგვიხერხდება.

როგორი იქნება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მომავალი?

შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას ბედმა გაუღიმა და სწორედ იმ ეტაპზე წააგო არჩევნები, როცა, პერსპექტივაში, უარესს გადაურჩა; როცა ნაციონალურ მოძრაობას აშკარა კრიზისი დაუდგა – იდეების, მიდგომების, თქვენ წარმოიდგინეთ, კრეატიულობის კრიზისიც კი. მათი ასეთი უღიმღამო წინასაარჩევნო კამპანია უბრალოდ არ მახსენდება.

სააკაშვილის პირველი ვადა წინააღმდეგობრივი იყო – იყო პლუსები და მინუსები, მაგრამ დინამიკა ჩანდა, შევარდნაძის ბოლო წლების სტაგნაციის შემდეგ, ქვეყანაში ცხოვრება დაიწყო, პირველ ვადაში მიდიოდა რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით – საპატრულო პოლიცია, უმაღლესი განათლება, ინფრასტრუქტურა, დანაშაულთან ბრძოლა, ადმინისტრაციული რეფორმა და ა. შ. მეორე ვადაში კი აშკარად ჩანდა, რომ მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. ბოლოს მივიდნენ იმ მდგომარეობამდე, როცა ქვეყანაში არც დემოკრატია ჩამოყალიბდა და არც – საბაზრო ეკონომიკა. ამიტომ, ახლა სასარგებლოც კია მათთვის, ოპოზიციაში რომ აღმოჩნდნენ, რადგან გაუჩნდათ შანსი კრიტიკულად შეაფასონ თავისივე ნამოქმედარი, თუ ამის უნარი შერჩათ, კრიტიკულად (მაგრამ ობიექტურა-

დაც!) შეაფასონ არსებული ხელისუფლება, მოახდინონ ახალი იდეების გენერირება, გაიწმინდონ ბალასტისგან და ჩამოყალიბდნენ პარტიად.

ამის რესურსი აქვთ?

თუ ამ გზას დაადგნენ, ნაციონალური მოძრაობა, ან ის, რაც მის ნანგრევებზე აღმოცენებულ პოლიტიკურ ძალას ერქმევა, თავისი ამომრჩევლის ნაწილს შეინარჩუნებს, ახლის მიმხრობასაც შეძლებს და ანგარიშგასაწევი პოლიტიკური სუბიექტი იქნება. თუმცა, ვფიქრობ, ეს ძალიან მკვეთრი გადასვლაა ერთი მდგომარეობიდან, როცა ყველაფერი გაქვს, მეორეში – როცა, რაღაც ბერკეტებს ყოველდღიურად კარგავ, პრივილეგიებსა და კომფორტულ ცხოვრებას ემშვიდობები. სააკაშვილი შეეცდება, ბევრი რამ შეინარჩუნოს, მაგრამ ეს მთელ პარტიაზე არ გავრცელდება და ერთ წელზე მეტ ხანს ვერ გასტანს. როცა მინისტრები გარბიან, როცა თავდაცვის მინისტრი პირველი ტოვებს ბრძოლის ველს, ეს მათ მძიმე დარტყმის ქვეშ აყენებს.

ნაციონალური მოძრაობისთვის ცუდი მრჩეველი ვარ, მათ ლოგიკას ვერაფერი გავუგე ვერც ერთ ეტაპზე. დღეს, როცა ისინი აგრესიული განცხადებებით გამოდიან არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ – ქვეყნის გარეთაც, ეს, ბუნებრივია, არაადეკვატური მგონია. რაკიღა ძალაუფლების მშვიდობიანად და არჩევნების გზით გადაცემა მოხდა, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს გაუჩნდათ საშუალება თქვან, რომ ტყუილად არ გადაუყრიათ ფული, პოსტსაბჭოთა სივრცეს საქართველომ ისევ აჩვენა მაგალითიო. ამ დროს კი გოკა გაბაშვილი ევროპარლამენტს იქით უტევს და მას პირდაპირ ეუბნებიან – ტონი შეცვალე, ეს სხვა ადგილიაო.

ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ ვითარება, რომელშიც აღმოჩნდნენ, კარგად გააზრებული არ აქვთ. თან ბუნებრივი გადინებაც ხდება – უკვე ექვსი დეპუტატი შუაში დადგა და გასაგებია, რა მიმართულებითაც წავლენ, აჭარაში ხელისუფლება შეიცვალა, ადგილობრივ თვითმმართველობებშიც ხდება ცვლილებები. ვფიქრობ, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერები კარგად ვერ აცნობიერებენ იმ ამოცანას, რის წინაშეც დგანან – გაემიჯნონ იმ შეცდომებსა და ფიგურებს, რომლებიც ძირავენ და გამოიყენონ ეს ოთხი წელი იმისთვის, რომ იდეოლოგიის

კოალიციური მმართველობის დროს ქვეყანას ავტორიტარიზმის გაცილებით ნაკლები საფრთხე ემუქრება, ვიდრე ერთპარტიული მმართველობისას. თუ იქნება განსხვავებები პრინციპულ საკითხებზე, ჩაერთვება დემოკრატიული პროცედურები და მეტი სივრცე დარჩება სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

და ფასეულობების მატარებელ ერთ-ერთ კონკურენტუნარიან პოლიტიკურ ორგანიზაციად იქცნენ.

ომბუდსმენის არჩევასთან დაკავშირებით ტელევიზიებში დიდი დისკუსიებია გაჩაღებული. ბოლო რამდენიმე დღეა „მაესტროს“ და შალვა რამიშვილის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოება და ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მუდმივი დარტყმების ქვეშ ხვდება. რას ფიქრობთ ამ პროცესზე?

არავის ვუკარგავ უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი იმის შესახებ, ვინ უნდა იყოს ომბუდსმენი, მაგრამ ვითარება, რომელიც ომბუდსმენთან დაკავშირებით შეიქმნა, არაჯანსაღია და მან შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოებას. როცა სამოქალაქო საზოგადოება ხუთ კანდიდატურას სთავაზობს პარლამენტს, რომელიც ახლა იწყებს მუშაობას, ეს საპარლამენტო უმრავლესობას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს – მოგეხსენებათ, პარლამენტში არიან ადამიანები, ვინც თვითონ ამოვიდნენ სამოქალაქო საზოგადოებიდან, კავშირები აქვთ, ამ კავშირების შენარჩუნება და გაძლიერება უნდათ.... ნებისმიერი ამ ხუთთაგანის მხარდაჭერა, სხვა ჯგუფების განაწყენებას ნიშნავს. ეს არც სამოქალაქო საზოგადოებისთვის არის კარგი, რადგან სამოქალაქო საზოგადოება, პარლამენტის ახალ შემადგენლობასთან ურთიერთობას დანაწევრებული სახით იწყებს და ხელისუფლებას პირდაპირ აჩვენებს, რომ აქ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები არსებობს. საჭირო შემთხვევაში, ხელისუფლებას შეუძლია ეს საკუთარ ინტერესებში გამოიყენოს.

მინდა, რომ ომბუდსმენი იყოს პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ძლიერი, ასევე, მაქვს მოთხოვნილება, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ კონსოლიდირებულობა თავიდანვე გამოიჩინოს, არ დაელოდოს ახალ „გირგვლიანის საქმეს“ და თუკი დემოკრატიული პროცედურებიდან გადახვევა მოხდება, დაირღვევა ადამიანის უფლებები, მაშინვე აჩვენოს კონსოლიდირებული პოზიცია. ხელისუფლება ძალაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ საზოგადოების მხრიდანაც კონსოლიდირებული ძალა დაუპირისპირდება საჭიროების შემთხვევაში.

თქვენ ახსენეთ საია და სხვა ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები. აუცილებლად მინდა ვთქვა ისიც, რომ თავის დროზე შემაშფოთა ივანიშვილის ფრაზებმა, როცა მან ეს ორგანიზაციები უცნაურ კონტექსტში მოიხსენია. თუმცა, გვაქვს თავის დროზე ძლევამოსილი ოქრუაშვილის მაგალითიც, რომელმაც საიას დამორჩილება ან განადგურება სცადა, მაგრამ სად არის დღეს ოქრუაშვილი? საია კი თავის მნიშვნელოვან საქმეს აგრძელებს. პრესასთან დაკავშირებითაც გააკეთა გაუგებარი განცხადებები – ვინც ასე მუშაობს, ის ვერ იმუშავებს და ა. შ. ბუნებრივია, არსებობს დაწერილი და დაუწერელი კანონები, არსებობს ჟურნალისტური ეთიკა, მაგრამ პრესა ბაზარია და ამ ბაზარზე არსებობის უფლება „ასავალ-დასავალსაც“ კი აქვს. სხვა ამბავია, თუკი ვინმე კანონს არღვევს, მაგრამ ბაზარზე ვიღაც პოლიტიკურად ანგაჟირებული იქნება, ვიღაც – ყვითელი. ეს პლურალიზმის რეალობაა.

ქვეყანაში უამრავი ადამიანია უკანონოდ დაპატიმრებული და გასამართლებული. ძალიან ბევრს ქონების დათმობა მოუწია. ხელისუფლება გვპირდება, რომ სამართლიანობას აღადგენს. როგორ უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა? როგორი უნდა იყოს ეს პროცესი?

მიკვირდა, 2006 წელს, როცა სახელმწიფოსთვის ქონების მასობრივი „ჩუქებების“ ტალღა წავიდა, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა განგაში არ ატეხეს. ადამიანს შეუძლია უნივერსიტეტს, ბიბლიოთეკას, ბავშვთა სახლს ან საავადმყოფოს რაღაც ქონება აჩუქოს, მაგრამ სახელმწიფოს აჩუქო ქონება? ასეთი რამ არსად მომხდარა. ეს საგანგაშო ვითარება იყო. მაშინ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიმართა ხალხს, მოდით და აღწერეთ საქმეები, რა და როგორ მოხდა, შეიცვლება დრო და ეს ყველაფერი დოკუმენტირებული მაინც იქნებაო, მაგრამ თითო-ოროლა კაცმა თუ გაბედა.

სისტემას უნდა ჰქონდეს თვითგანწმენდის მექანიზმები. პოლიტიკურ სისტემაში ეს მექანიზმები უნდა ჩაიდოს. თუ დემოკრატიზაციის დღის წესრიგი მართლა მნიშვნელოვანია და ამ გზით უნდა წავიდეთ, მაშინ სამართლიანობა უნდა აღდგეს, რადგან ქვეყანაში უსამართლობის განცდა სულისშემხუთველი იყო. 2 ოქტომბერს გაღიმებული ხალხი დავინახე ქუჩაში, შეიძლება, ნაადრევად გაღიმებული, მაგრამ მაინც მესიამოვნა. მოლოდინი არსებობს და პრობლემებიც ბევრია. ახალი ხელისუფლების პირობებში, ეს პროცესი პოლიტიკურ ანგარიშსწორებად არ უნდა იქცეს.

მეორე – როგორ უნდა განვახორციელოთ ეს ყველაფერი არსებული სასამართლოს პირობებში? ცხადია, იმ მოსამართლეებს, ვინც წინა ხელისუფლებას ზეწოლის გამო თუ ნებაყოფლობით ჩაუდგა სამსახურში, ექნებათ სურვილი, ემსახურონ ახლანდელსაც. მაგრამ მოსამართლე ხომ სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს და არა მმართველ ძალას? შეიძლება, არც იყოს პოლიტიკური დაკვეთა, მაგრამ მოსამართლეთა დონეზე იყოს სუპერლოიალობის დემონსტრირების სურვილი. არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც უფრო საზოგადოების სენია – წლების მანძილზე ელემენტარული სოლიდარობა ვერ ვნახეთ. როდესაც ვიღაცას გადაუვლიდნენ ხოლმე, დანარჩენები იყვნენ ჩუმად, შემდეგ მეორე ჯგუფს გადაუვლიდნენ, შემდეგ – მესამეს... ცნობილია გერმანელი პასტორის მშვენიერი მეტაფორა თუ დაკვირვება, როცა სხვების დასაცავად ხმა არ ამოიღო, შემდეგ კი, მას რომ მიადგნენ, აღარავინ დარჩა მისი დამცველი.

როცა უსინდისოდ ყვლეფდნენ და აკოტრებდნენ ბანკ „ქართუს“, არც ერთმა ბანკირმა ხმა არ ამოიღო, როცა დევნილებს ყრიდნენ გარეთ, დანარჩენი საზოგადოება, პრინციპში, ჩუმად იყო... ახლა აღმოჩნდა, რომ ბევრს უნდა ქონების დაბრუნება, ეს კი არ არის მარტივი და არც რესურსია ამოუწურავი. მას შემდეგ, რაც ვიღაცას უკანონოდ წაართვეს ქონება, მან რამდენჯერმე იცვალა მფლობელი და დღეს შეიძლება სრულიად კეთილსინდისიერი მფლობელი ჰყავდეს. აქ მარტივ პასუხს ვერ ვხედავ.

როგორ ფიქრობთ, მთავრობას აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია?

მიდგომის შემუშავება – მთლიანად მთავრობის საქმეა; ბევრ რამეს, სავარაუდოდ, პარლამენტის საგამოძიებო კომისია დაადგენს; აღსრულება – სამართალდამცავებზე იქნება. ხელისუფლების ამ სეგმენტს პოზიტიური მოლოდინით ვუყურებ. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი და დამოუკიდებელი ომბუდსმენი, რადგან ამ პროცესმა მისი კონტროლის ქვეშ უნდა გაიაროს. თუმცა, უკმაყოფილოები მაინც იქნებიან. შეუძლებელია, სამართალი ყველამ იპოვოს მაშინ, როცა უსამართლობას ყოვლისმომცველი ხასიათი ჰქონდა, ხოლო უმრავლესობა დუმდა. მით უმეტეს, წლებია გასული და ყველა საქმის გადახედვა, ალბათ, არ მოხერხდება. ბევრს ხმა არ ამოუღია და მას შემდეგ ბევრმა წყალმაც ჩაიარა. მაგრამ პროცესი უნდა იყოს, უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, წმინდა სამართლებრივ ჩარჩოში, დასაბუთებული ვერდიქტებით და არავითარ შემთხვევაში პოლიტიკური ელფერი არ უნდა შეიძინოს.

ქართული საზოგადოება, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ტრადიციულია და ლიბერალური ღირებულებების მიღება უჭირს. გავიხსენოთ, მაგალითად, როცა რელიგიური გაერთიანებების შესახებ მსჯელობდა პარლამენტი, ეკლესიამ რამდენი ადამიანის გამოყვანა შეძლო ქუჩაში. ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაძლიერდა.

ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, 18-25 წლის ახალგაზრდები უფრო მეტად რელიგიურები და ტრადიციის მიმდევრები არიან, ვიდრე, უფროსები, ანუ, თაობა, რომელმაც საბჭოთა კავშირი გამოიარა. როგორ ფიქრობთ, დემოკრატიული მმართველობის პირობებში შესაძლებელია თუ არა საზოგადოება უფრო ლიბერალური გახდეს და ეკლესიის გავლენა შემცირდეს?

ეკლესია ძალიან სპეციფიკური და ტრადიციული ინსტიტუტია, რომელსაც არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველგან ადამიანის თვითიდენტიფიცირებაში დიდი როლი შეუსრულებია. გავიხსენოთ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო და 90-იანების დასაწყისი, მაშინ „ქართველი“ და „მართლმადიდებელი“ გაიგივებული იყო (სულ ტყუილად, სხვათა შორის). ეს საკმაოდ ფესვგამჯდარი მდგომარეობაა, ეს რეალობაა, რომელზეც თვალს ვერ დავხუჭავთ.

რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, პირიქით, სწორედ მაშინ მომეჩვენა, რომ გადაჭარბებულია შიშები იმის თაობაზე, თითქოს ეკლესიას მრევლის ქუჩაში მასობრივად გამოყვანა და საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნების რეალიზაცია შეუძლია. მაშინ ხომ მაინც ის გავიდა, რაც ხელისუფლებას უნდოდა. ხელისუფლებამ ეს მისთვის ჩვეულ აგრესიულ და კატეგორიულ ჭრილში გააკეთა. რა თქმა უნდა, არსებობდა უკეთესი მექნიზმებიც. შინაარსობრივად კი ის, რაც გავიდა, ძირითადად სწორია.

პოზიცია მარტივია – ეკლესიის დეპოლიტიზაცია, პოლიტიკის დეკლერიკალიზაცია. მე არ ვამბობ, რომ მღვდელმსახურს არ შეიძლება გააჩნდეს პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ, ვთქვათ, ქადაგების დროს მათი გადმოფრქვევა არის წმინდა წყლის პოლიტიკური აგიტაცია, რაც შეუსაბამო მგონია მის მისიასთან. ის, რაც თქვენ მითხარით, შემაშფოთებელი თუ არა, დამაფიქრებელი მაინცაა. რატომ ჩამოყალიბდა ახალგაზრდობაში, რომლებიც ახლა 18-25 წლის არიან და ზრდასრულობაში ვარდების რევოლუციის შემდეგ შევიდნენ, ასეთი ღირებულებები? სააკაშვილის ხელისუფლებაში სეკულარიზმი ხომ თითქოს ერთ-ერთი პრინციპი იყო? ეგებ ამასაც უხეიროდ აკეთებდნენ, თუკი საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ? ხელისუფლება საეკლესიო ნომენკლატურას ხან ჯიპებს ჩუქნიდა, ხან კოჭს უგორებდა, ხან კონკურენტული ურთიერთობა ჰქონდათ, ხანაც უტიფრად აგრესიულები იყვნენ მღვდელმთავრის მიმართ.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც უფრო საზოგადოების სენია – წლების მანძილზე ელემენტარული სოლიდარობა ვერ ვნახეთ. როდესაც ვიღაცას გადაუვლიდნენ ხოლმე, დანარჩენები იყვნენ ჩუმად, შემდეგ მეორე ჯგუფს გადაუვლიდნენ, შემდეგ – მესამეს... ცნობილია გერმანელი პასტორის მშვენიერი მეტაფორა თუ დაკვირვება, როცა სხვების დასაცავად ხმა არ ამოიღო, შემდეგ კი, მას რომ მიადგნენ, აღარავინ დარჩა მისი დამცველი.

ფაქტია, რომ ეკლესიას და პატრიარქს ნდობის ყველზე დიდი რეიტინგი აქვს. იმავდროულად შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ეკლესიის პოზიციები მით უფრო მყარია, რაც უფრო წარუმატებელია საერო ხელისუფლება და პირიქით.

სწრაფ გარღვევას ამ მიმართულებით არამც და არამც არ უნდა ველოდოთ, მაგრამ თუ ქვეყანაში განვითარდა დემოკრატიული პროცესები, გაჯანსაღდა განათლების სისტემა, ბიზნეს-სფერო და ა. შ. მაშინ, ვფიქრობ, კლერიკალური გავლენის კლების შანსი გაჩნდება. თუ ადამიანებს გაუჩნდებათ საქმე და შესაძლებლობების რეალიზაციის ასპარეზი, რელიგიის გავლენა ცხოვრებაზე თავისთავად შემცირდება. ბუნებრივია, ამას რელიგიასთან და კონკრეტულ სარწმუნოებასთან მებრძოლის პოზიციებიდან სულაც არ ვამბობ. ბევრი ადამიანისთვის რწმენა სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია და ეს მათი სრული და ხელშეუვალი უფლებაა. სხვა საქმეა, რომ ჩემი აზრით, რწმენა თუ ურწმუნობა აბსოლუტურად ინტიმური საკითხია და არავის, არავის სხვას ეს თემა არ ეხება. მაგრამ აქამდე მისვლაა საჭირო.

ეს მისვლა მარტივი არ იქნება. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ადგილობრივი ღვთისმეტყველება რეალურად არ არსებობს და სხვისი, ხშირად ყველაზე ბნელი რუსული ნააზრევით საზრდოობენ ეკლესიის მსახურები, ვფიქრობ, ეკლესიის პრეტენზიები, იყოს ერის სულიერი წინამძღოლი, გამართლებული არ არის – არც ინტელექტუალურად და არც ზნეობრივად (თუმცა, საბედნიეროდ, აქაც არის გამონაკლისები). ვფიქრობ, რომ ეკლესიასაც ელის სერიოზული განსაცდელი და როგორ გამოვა ამ განსაცდელისგან, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ვისურვებდი, რომ ქვეყანაში სამოქალაქო პროცესი წარმატებული იყოს. ამ შემთხვევაში შანსი გვაქვს, მივიდეთ ნორმალურ, თანამედროვეობის შესაფერ მდგომარეობამდე, როცა ეკლესიას ექნება თავისი, ხოლო – პოლიტიკას თავისი ადგილი.

ესაუბრა ნინო ბექიშვილი.

არჩევნები

დიდი პოლიტიკა ნამდვილ ამერიკაში

არჩევნებამდე 5 დღით ადრე, ბარაკ ობამა და მიტ რომნი მერყევი შტატების გადაბირებას ცდილობენ. პოლიტიკური მარკეტინგის კანონების მიხედვით, ისინი ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ყველაზე მერყევ შტატებში მართავენ მრავალათასიან შეხვედრებს. თუმცა, არც ის მეორეხარისხოვანი შტატები ავიწყდებათ, რომელთა მოგებაც ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ, მაინც მნიშვნელოვანია. ასეთი შტატია ჩრდილოეთ კაროლინა. ამ წერილს სწორედ იქიდან გწერთ იმის გასაგებად, თუ როგორ აისახება დიდი პოლიტიკა პატარა, 50 ათასიან ქალაქებზე, ანუ, ნამდვილ ამერიკაზე.

თამარ ბაბუაძე

28 ოქტომბერს ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა (ICFJ) 50 უცხოელი ჟურნალისტი აშშ-ის „იისფერ შტატებში“ გაგვანაწილა. ეს ის შტატებია, სადაც ვერც გამოკითხვებითა და რეიტინგებით და ვერც დემოკრატების ან რესპუბლიკელების მხარდამჭერი მოქალაქეების დათვლით, ვერაფრით შეძლებ, წინასწარ გამოიცნო – უმრავლესობა რომელი პარტიის კანდიდატს აირჩევს.

ნიუ იორკის და კალიფორნიის, ან ტეხასის და ჯორჯიისგან განსხვავებით, რომელთაც, ბოლო წლებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციის გამო, ლურჯ ან წითელ შტატებს უწოდებენ, არჩევნების ბედს ხშირად იისფერი შტატები წყვეტს. მერყეობის ყველაზე ცნობილი მაგალითი ფლორიდაა, სადაც მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოვლინდა ალ გორსა და ბუშს შორის გამარჯვებული; ყველაზე „ვეტერანი“ (და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი) იისფერი შტატი კი ოჰაიოა, სადაც 2004-ში სულ 2-პროცენტიანი ხმათა უმრავლესობით აირჩიეს ჯორჯ ბუში, 2008-ში კი – 3-პროცენტიანი უპირატესობით, ბარაკ ობამა.

ვინსტონ სალემი – ქალაქი, რომელშიც მე გამანაწილეს, იისფერ შტატში მდებარეობს. თუმცა, ჯერ კიდევ ვაშინგტონში ყოფნისას მივხვდი, რომ იისფერსაც – რომელიც თვითონვეა გარდამავალი ტონი – აქვს გრადაცია: 1968 წლიდან მოყოლებული ბოლო დრომდე, ჩრდილოეთ კაროლინა აშკარად მკვეთრად წითელი იყო, რადგან ყველაზე ხშირად სწორედ რესპუბლიკურ პარტიას ირჩევდა. და მხოლოდ 2008 წელს, 1976 წელს ჯიმი კარტერის გამარჯვებიდან 32 წლის თავზე, გატყდა ნავსი. ბარაკ ობამამ დაამარცხა ჯონ მაკკეინი.

ჩრდილოეთ კაროლინა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ერთ-ერთი ისტორიული ცენტრია. ვინსტონ-სალემთან სულ ახლოს, ქალაქ გრინსბოროში, 1960 წლის 1 თებერვალს კოლეჯის ოთხი სტუდენტი კაფეტერიაში თეთრებისთვის გამოყოფილ ადგილას დაჯდა. მათ არავინ მოემსახურა. მაგრამ ბიჭები არსად წასულან. მეორე დღეს გრინსბოროელ ოთხეულს ოცი ახალგაზრდა შეუერთდა, შემდეგ დღეებში მდუმარე და მჯდომარე დემონსტრანტების რიცხვი – 500-მდე გაიზარდა. ამ მშვიდობიან პროტესტს „გრინსბოროს ჯდომები“ დაერქვა და ისტორიის ნაწილი გახდა...

ცხადია, ასეთი წარსულის მქონე შტატში (რაც არ უნდა კონსერვატიული შეხედულებების მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ იქ) პრეზიდენტობის პირველი შავკანიანი კანდიდატის ენერგიულმა მოწოდებამ – CHANGE – იმუშავა. ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 2008-ში ხმა ობამას მისცა.

იმ წელს ობამას არჩევას გარდაუვალს ხდიდა კიდევ ორი ფაქტორი: აღარც ჩრდილოეთ კაროლინელებს მოსწონდათ საოცრად არაპოპულარული რესპუბლიკელი პრეზიდენტი და ეკონომიკურ კრიზისს და უმუშევრობის სირთულესაც უფრო მეტად გრძნობდნენ საკუთარ თავზე.

მოკლედ, 2008-ში ჩრდილოეთ კაროლინა იისფერი შტატების უმაღლეს ლიგაში გაწევრიანდა, მაგრამ მაშინვე გაჩნდა კითხვა: ეს ტენდენციაა, რომელიც 2012-შიც გაგრძელდება, თუ ერთჯერადი აქტი იყო? რა კულტურა და ტრადიციები თამაშობს როლს აქ, სამხრეთ აღმოსავლეთში არჩევანის დროს?

აი, ვსვამ ამ კითხვას და მაშინვე ვხვდები, ამერიკულ არჩევნებზე შიგნიდან, ცალკეული შტატების, ცალკეული ქალაქების დონეზე წერა, სინამდვილეში ადამიანებზე წერას ნიშნავს. ქუჩაში, სასურსათო მაღაზიაში, თუ ავტობუსში შემხვედრ რიგით ადამიანებს უნდა უსმინო ყურადღებით, რომ გაიგო, რა ქმნის შეხედულებათა სიჭრელეს ისეთ ტრადიციულ და კონსერვატიულ დასახლებებში, როგორიც ჩრდილოეთ კაროლინაა.

ამა თუ იმ დასახლების დომინანტურ პოლიტიკურ ორიენტაციას დემოგრაფიული სურათი განსაზღვრავს. ამერიკაში კი ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ რაც უფრო მეტი განათლებული პროფესიონალი ცხოვრობს ქალაქში, მით უფრო კარგავს მისი „რესპუბლიკური წითელი“ სიმკვეთრეს.

ეს ყალიბი ჩრდილოეთ კაროლინასაც ერგება: ბოლო ხანს აქაურობა ზუსტად იმ მიმართულებით შეიცვალა, რაც, პირველ რიგში, დემოკრატებს უნდა ახარებდეთ. ვინსტონ სალემში ერთი ქუჩაა, მეექვსე ქუჩა, რომელსაც „არტს სტრიტი“ ჰქვია. ძველი, 3-4 სართულიანი აგურის სახლების პირველ სართულზე სულ არტ სალონებია გახსნილი, ულამაზესი კერამიკის, დახვეწილი შუშის ნივთების, ვერცხლის სამკაულების, ინდიელების ნაკეთობების...

ამ სალონებში ადამიანები ისე ესაუბრებიან ერთმანეთს, როგორც – ვთქვათ, ვაშინგტონის ნაციონალურ გალერეაში. საღამოობით კი, მეექვსე და მეოთხე ქუჩების რესტორნები ივსება ხოლმე გემოვნებით

და სადად ჩაცმული თეთრკანიანი სტუმრებით. ძვირფასი ბეჭედი თითზე, წითელი ღვინით სავსე ჭიქებთან ერთად; მობოდიშება დახვეწილი ღიმილით კართან შეჯახებისას. ქალაქიდან ოდნავ მოშორებით, უეიკ-ფორესტის უნივერსიტეტის უზარმაზარი კომპლექსი და სამედიცინო ცენტრია. იქაური პროფესორები კომენტარებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ საკითხებზე უკვე არა მხოლოდ ლოკალურ მედიას, ნაციონალურ არხებსაც აძლევენ. ახალგაზრდებიც ხშირად ქალაქში დარჩენას არჩევენ.

ვინსტონ სალემი – ქალაქი, რომელშიც მე გამანაწილეს, იისფერ შტატში მდებარეობს. თუმცა, ჯერ კიდევ ვაშინგტონში ყოფნისას მივხვდი, რომ იისფერსაც – რომელიც თვითონვეა გარდამავალი ტონი – აქვს გრადაცია.

თვითონ ამერიკელი ექსპერტების მიერვე ჩანერგილი სტერეოტიპებით თუ ვიმსჯელებ, ამ ადამიანებიდან ბევრი უნდა იყოს დემოკრატი. თითქოს, თავაზიანად მოღიმარ სახეზე, ოპალისთვლიან ბეჭედზე, საუბრისას გამოყენებულ მაღალფარდოვან ინგლისურ სიტყვებზე, ან სტუდენტის ზურგჩანთაზე უნდა ეტყობოდეთ, რომ სურთ: ჯარების გაყვანა ავღანეთიდან; მოსწონთ ობამას ჯანდაცვის პოლიტიკა; მხარს უჭერენ ჰომოსექსუალების ქორწინებას; ნაკლებად ადარდებთ რელიგია და ბიბლია... შესაძლოა, ეს ყველაფერი ასეცაა, მაგრამ ყველაზე მთავარ პოლიტიკურ გაკვეთილს იმის შესახებ, თუ რატომაა ჩრდილოეთ კაროლინა მაინც მერყევი შტატი, ვინსტონელი ჯოანა მილერი მასწავლის.

ეს წითელთმიანი, სათვალიანი ქალია, როგორც თვითონ ამბობს, საშუალო ამერიკელივით გასუქებული – წვრილი ფეხები, უწელო ტანი. სამი წლის წინ გაჰყვა ცოლად ნათან მილერს და მას მერე ქმართან ერთად უძღვება მაღაზიას, რომელიც 1930-იან წლებში ნათანის ბებიამ და ბაბუამ გახსნეს. ახლა ეს მაღაზია ლეგენდარული ამერიკული ვინტაჟითაა სავსე: 1960-იან წლებში გამოშვებული ნამდვილი „ლევისები“, იმავე ეპოქის კუბოკრული ფანელის პერანგები, მაღალწელიანი, მოხატული ჯინსები ქალებისთვის, ჭრელ-ჭრელი „კენგოლები“ სამხრეთელი შავკანიანი მამაკაცებისთვის.

ჯოანა ლაპარაკს იმიტომ მიწყებს, რომ მე ჟურნალისტი ვარ საქართველოდან, საქართველოს კი რუსებმა ძალიან აწყენინეს. – ძალიან გაგამწარეს, არა? როგორი სამწუხაროა! – მიბოდოშებს. ჩემთან საერთო ენის გამონახვას რუსეთის

ნეგატიური აღქმით რომ ახერხებს, უკვე ნიშანია. უთუოდ მაკკეინის, რომნის აგრესიულ კომენტარებს უნდა იზიარებდეს.

– დამაცადე, ნათანს ლანჩს დავუდებ, ძალიან შია, – მუყაოს კოლოფებს ცხელი წვნიანით და კარტოფილმოყრილი ცხელი სენდვიჩით, ძველისძველ დახლზე დებს და ჩემკენ ქშენით მოემართება. ინდიელების მოტივებზე შეკერილი ტყავის ჟილეტების, კაცის ჭრელ-ჭრელი აბრეშუმის წინდების და სატინის ყვავილებიანი ხელთათმანების გარემოცვაში ვსხდებით სასაუბროდ.

– სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატები, ფლორიდას გამოკლებით, ქვევით, ალაბამა-ჯორჯიამდე, ნამდვილი ამერიკული სამხრეთია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დასახლებები დემოკრატიულად ითვლება, ჩვენ მაინც ძალიან კონსერვატიული ფასეულობები გვაქვს. აქ კლანური გაგება ჭარბობს: დიდ, შეკრულ ოჯახებად ვცხოვრობთ, მერე – დიდ, შეკრულ სამეზობლოებად, მერე – უბნებად, მერე – ქალაქად, მერე – შტატად და სულ მერე ერთ ქვეყნად. ჩვენთვის ბიბლია მთავარი წიგნია, ოჯახი ყველაზე დიდი ფასეულობაა და ხშირად მთლიან პოლიტიკურ ძალას კი არ ვაძლევთ ხმას, არამედ ცალკეულ პიროვნებას. გმირს, ასე ვთქვათ.

– და ობამა 2008-ში ასეთი გმირი იყო?

თითქმის ჩურჩულზე გადადის და სახე ახლოს მოაქვს ჩემს ყურთან, ისე, რომ გვერდით, სარკესთან მდგარმა შავკანიანმა მამაკაცმა, რომელიც პრიალა ცისფერ პიჯაკს ირგებს ტანზე, ვერაფერი გაიგოს და მეუბნება:

– ობამამ აქ მაშინ იმიტომ გაიმარჯვა, რომ აქაურმა შავებმა, როგორც პირველ შავკანიან პრეზიდენტს მისცეს ხმა. და ახლა ნახე, ვის ავნო ყველაზე მეტად იმან, რომ დაკარგულ სამუშაო ადგილებს ობამამ არაფერი მოუხერხა? რა თქმა უნდა, ისევ შავკანიანებს ავნო. R.J.Reynolds-ის თამბაქოს წარმოება რომ დაიხურა, მანდ უმრავლესობა შავკანიანი მუშა იყო...

„რეინოლდსის“ ქარხანა – Camel-ის, Magna-ს, More-ს, Salem-ის, Winston-ის და კიდევ ექვსი სხვა ბრენდის მფლობელი, აშშ-ში სიდიდით მეორე თამბაქოს მწარმოებელი ქარხანა იყო. მავნე ნედლეულის გამოყენების ბრალდების, სასამართლო პროცესების და ფინანსური პრობლემების გამო, ორი წლის წინ ქარხნები ვინსტონ სალემში დახურა. იმავე პერიოდში წარმოება შეამცირა რეგიონის მეორე ყველაზე მსხვილმა დამსაქმებელმა, ქალისა და მამაკაცის თეთრეულის ცნობილმა მწარმოებელმა HanesBrandInc.-მა.

არცერთი ამ კომპანიის კრიზისი ობამას ადმინისტრაციასთან პირდაპირ კავშირში არაა, თუმცა, ფაქტია, რომ ამ საწარმოებში დასაქმებული, უმაღლესი განათლების არმქონე ამერიკელების დიდი ნაწილი დღემდე უმუშევარია.

უმუშევრობა – ეს ის თემაა, რომელზეც ჭეშმარიტების „ექსკლუზივს“ რესპუბლიკელებიც ფლობენ და დემოკრატებიც. ორივე მხარეს დატრიალებული „სპინი“ იმდენად ძლიერია, რომ ჯოანა მილერის მსგავსი ადამიანები ობამას ადანაშაულებენ იმაში, რომ სამუშაო ადგილების კრიზისი გრძელდება. რიკი მიტჩელისთანა ადამიანები კი ფიქრობენ, რომ ობამას იმაზე მეტის გაკეთება, რაც გააკეთა, არ შეეძლო.

სხვათა შორის, ზუსტად ასეთი პოლარიზებული სურათი ჩანს სოციოლოგიურ გამოკითხვებშიც. ყველაზე უცნობი, რომელიც სანდოცაა, რადგან პრესტიჟული კვლევების აღმოჩენებს იმეორებს, კალიფორნიული „არავერბალური კომუნიკაციის ცენტრის“ კვლევაა.

კვლევაში 400-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. ვებკამი მათ გამომეტყველებას იწერდა მაშინ, როცა ისინი ონლაინ უყურებდნენ ობამას და რომნის გამოსვლებს. როგორც ცენტრის დირექტორმა, პატრიკ ვეზოვსკიმ მითხრა, მონაცემები გააანალიზეს და ნაკვთების მოძრაობების შეფასებით შემდეგი რამ დაასკვნეს:

„შესაძლოა, არჩევნები ფრედ დამთავრდეს. რესპუბლიკელები რომნის ენერგიულად უჭერენ მხარს, დემოკრატები – ობამას, ისინი კი, ვისაც გადაწყვეტილება დღემდე არ აქვს მიღებული, კვლავ ინდეფერენტულად ელიან არჩევნებს“.

აშშ-ს არჩევნების თემაზე შექმნილი ერთ-ერთი სანდო ონლაინ წყაროს – http://www.270towin.com/-ის 31 ოქტომბრის მონაცემებით, ობამა-რომნის პოზიციები ჩრდილოეთ კაროლინაში მართლაც 2-3 პროცენტით განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთ-ერთის მიხედვით კი, სულაც 49-49-ზე იყოფა.

„2008-ში ობამას საარჩევნო კამპანია აქ გაცილებით აგრესიული იყო, როცა რესპუბლიკელებისა თითქმის არც არსებობდა. ახლა კი რომნის მხარდამჭერები ძალიან აქტიურობენ, ობამასი კი – უფრო ნეიტრალურები ჩანან. ეს ინდეფერენტულობა მგონი უკვე უნივერსალური განწყობაა და ქვეყნის საერთო პოზიციას გამოხატავს. მარტო ამ კონკრეტულ დასახლებაზე რომ ვკონცენტრირდეთ, აქ დღეს მართლაც ბევრი უმუშევარია, ეს ნიშნავს, რომ ისინი გაბრაზებულები არიან და მათი გაღიზიანების ადრესატი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაა“, – მითხრა უეიკ ფორესტის პროფესორმა ალენ ლოუდენმა.

ზევით რიკი მიტჩელი ვახსენე. ტანდაბალი, ჩასუქებული კაცია. ჯინსის შარვალი და დათბილული ჯინსის ქურთუკი აცვია, ზედ ობამას და დემოკრატების ორი სამკერდე ნიშანი აქვს დამაგრებული. ჭაღარა თმას ქარიშხალ „სენდისგან“ დატოვებული ძლიერი ქარი უწეწავს, ხელებს გასათბობად იფშვნეტს და არასამხრეთული აქცენტით მიამბობს:

– შენ გგონია, მე ვმუშაობ? 52 წლის ვარ. ცოტა კოლეჯის განათლებაც მაქვს. აქ ნიუ ჯერსიდან გადმოვედი. ბოლოს ბოსტნეულის მაღაზიაში ვმუშაობდი. 24 თვეა სამსახური აღარ მაქვს. ყოველთვის აპოლიტიკური ვიყავი, მაგრამ ახლა ამ ფლაერებს ვარიგებ საარჩევნო კამპანიისთვის. ფულს მიხდიან რა.

– და გაბრაზებული უსამსახურობის გამო არ ხარ?

– 2008-ში მე ომაბას მივეცი ხმა. ძალიან კარგად მახსოვს, რაც დახვდა. ეს კრიზისი უკვე დაწყებული იყო. და თავიდანვე ვამბობდი, ამ კაცმა ამ პრობლემის მოგვარება რომ შეძლოს, ეს იქნება სასწაული. რა ვქნათ, სასწაული არ მოხდა. მთავარი ცვლილების ტენდენციაა. ობამა ჩვენი პრეზიდენტია – საშუალო სტატისტიკური ამერიკელი ჯოს პრეზიდენტი. ყველაზე კარგად მან იცის, რა გვჭირდება.

რიკისთანა ამერიკელებს ეცინებათ იმაზე, რომ საშუალო კლასზე ზრუნვას საკუთარ პრიორიტეტად მიტ რომნიც აცხადებს და ამბობს, რომ 12 მილიონ ახალ



უმუშევრობა – ეს ის თემაა, რომელზეც ჭეშმარიტების „ექსკლუზივს“ რესპუბლიკელებიც ფლობენ და დემოკრატებიც. ორივე მხარეს დატრიალებული „სპინი“ იმდენად ძლიერია, რომ ჯოანა მილერის მსგავსი ადამიანები ობამას ადანაშაულებენ იმაში, რომ სამუშაო ადგილების კრიზისი გრძელდება. რიკი მიტჩელისთანა ადამიანები კი ფიქრობენ, რომ ობამას იმაზე მეტის გაკეთება, რაც გააკეთა, არ შეეძლო.

სამუშაო ადგილს შექმნის. ფილ ბურგოილს კი, ზუსტად ამის სჯერა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შემოსაზღვრულ, მდიდრულ უბანში ცხოვრობს.

ფილ ბურგოილთან „ვინსტონ-სალემ ჯორნალის“ რეპორტიორ სკოტის დამსახურებით მოვხვდი. ვიდრე ბერმუდა რანისკენ გადაუხვევს მანქანა, შლაგბაუმი უნდა გავიაროთ. ეს ერთადერთი შესასვლელი და გამოსასვლელია ამ დასახლებაში. დაცვის ჯიხურიდან ხანშიშესული მამაკაცი გამოდის, სკოტი ეუბნება – ფილ ბურგოილთან მივდივარო და შლაგბაუმიც იწევა. იქით ორ-სამ სართულიანი, მყარად ნაგები, ძირითადად წვრილი აგურის, ლამაზი, კერძო სახლები დგას, ჰელოუინისთვის ნარინჯისფერი გოგრებით და შემოდგომის ფოთლებით მორთული ვერანდებით. ქუჩაში არავინ დადის. საშინელი ქარია – „სენდისგან“ დატოვებული. ერთ ლამაზ სახლთან ვჩერდებით. კარს მთლიანდ თეთრთმიანი, მაღალი და წარმოსადეგი მამაკაცი გვიღებს, ბაცი ყვითელი პერანგი და ხაკისფერი შარვალი აცვია, ფეხი სახელდახელოდ გაუყვია სახლის რბილძირიან ფეხსაცმელში.

თეთრ, ფუმფულა სავარძლებში ვსხდებით, მასიური ხის, დაბალ მაგიდაზე ორი ალბომი დევს: მონეს პეიზაჟები და „ასი ულამაზესი პატარა იტალიური ქალაქი“. ფილი ჩვენს წინ, მაღალ სკამზე ჯდება და ფეხი-ფეხზე გადადებული, გაპრანჭული ტონით იხსენებს სამხედრო წარსულს. შიგადაშიგ მის ხმას ჩემ უკან მდგარი, ძველებური, მოჩუქურთმებული საათის გაბმული ზარი ფარავს.

ფილი გადამდგარი სამხედროა, რესპუბლიკური პარტიის მუდმივი ამომრჩეველი. დარწმუნებულია, რომ „ვინსტონ-სალემ ჯორნალი“, რომელსაც ახლა სკოტთან ერთად მეც წარმოვადგენ, დემოკრატების პლატფორმაა, მაგრამ გაზეთს მაინც ყოველდღე კითხულობს. ტელეარხებიდან არცერთს უყურებს Foxnews-ის გარდა, „რადგან მთელი ნაციონალური მედია მიკერძოებულია რესპუბლიკელების წინააღმდეგ“. აწუხებს, რომ სამხედროების მიმართ პატივისცემა ობამას ადმინისტრაციას სულ არ აქვს, და ფიქრობს, რომ ნებისმიერი რიგითი ამერიკელი უკეთ მართავდა ქვეყანას, ვიდრე ეს ობამამ შეძლო. საუბარში ფილის მეუღლე, ჟაკლინი ერთვება, დახვეწილი სიცილით მომმართავს:

„იცით, ჩვენ ოთხნი ვართ, ფილი, მე, ჩვენი გოგონა და ვაჟი, ჩვენი გოგონა დემოკრატია, ასე რომ, საპირისპირო აზრსაც ვიღებთ“. და მერე, ისევ ნაზი ტემბრით: „რომნი გამოცდილი კაცია, ასე მგონია, არჩევნებში მონაწილეობას იმიტომ იღებს, რომ მართლა უნდა შეცვალოს რაღაც. 14 შვილიშვილი ჰყავს, უბრალოდ, ვალდებულია მომავალზე ფიქრობდეს“.

ჟაკლინ ბურგოილი – შლაგბაუმიანი უბნიდან და ჯოანა მილერი – ვინტაჟის მაღაზიიდან, ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ორივე ერთნაირად კმაყოფილია უფლე-

"მეხყევი" არჩევნები

თითქმის ბოლო წუთამდე, გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ობამასა და რომნის შანსებს შორის განსხვავება საშუალოდ 3-4 პროცენტია. ასეთ დროს, როცა „ფრეს“ შანსია დიდი, ორივე მხარე განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება ე.წ. „იისფერ შტატებს“. წელს ყველაზე მერყევი შტატების სიაში 11 მათგანი მოხვდა: ნევადა, კოლორადო, ფლორიდა, ჩრდილოეთ კაროლინა, აიოვა, ვისკონსინი, მიჩიგანი, ოჰაიო, პენსილვანია, ვირჯინია, ნიუ ჰემფშირი. თითოეულ მათგანს კანდიდატებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ჯამში 100-ზე მეტ საარჩევნო კოლეგიის ხმას აგროვებენ.

რას ნიშნავს საარჩევნო კოლეგია?

აი, როგორ მუშაობს ეს სისტემა:

ყველაფერი რიგითი მოქალაქეების არჩევნით იწყება. თითოეულ შტატში, ყველა რეგისტრირებული ამომრჩეველი ხმას საკუთარ რჩეულს აძლევს. ვინც ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, ის იმ კონკრეტული შტატის გამარჯვებული კანდიდატი ხდება. უფრო კონკრეტულად: კალიფორნიის შტატში 36 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, კანზასში – 3 მილიონზე ნაკლები. სწორედ ამ რაოდენობაზე დაყრდნობით, თითოეული შტატი ოლქებად იყოფა. ჩრდილოეთ კაროლინაში 13 ასეთი ოლქია, კალიფორნიაში – 53, კანზასში – 4. მეტი მოსახლეობა ნიშნავს მეტ ოლქს, მეტი ოლქი კი – მეტ გავლენას. აი, სწორედ ამ გავლენის საზომია ამომრჩეველთა კოლეგია. თითოეულ შტატს იმდენი ამომრჩეველთა კოლეგიის წარმომადგენელი ჰყავს, რამდენიც – ოლქი, პლუს ამას ემატება 2 სენატორი. გამოდის, რომ მაგალითად, კალიფორნიას ჯამში ამომრჩეველთა კოლეგიის 55 წარმომადგენელი ჰყავს (53+2 სენატორი), ჩრდილოეთ კაროლინას – 15 (13+2). რომელი კანდიდატიც მოიპოვებს ხმათა უმრავლესობას ცალკეულ შტატში, მისი ხდება იმ შტატის კოლეგიის წარმომადგენელთა ხმებიც. ესე იგი, გამარჯვებულ კანდიდატს კალიფორნიის შემთხვევაში 55 საარჩევნო ხმა ერგება, ჩრდილოეთ კაროლინას შემთხვევაში – 15.

თუკი ამომრჩეველთა კოლეგიის წარმომადგენელთა რაოდენობას მთელი შტატების მიხედვით დავაჯამებთ, სულ 538-ს მივიღებთ. არჩევნებში გამარჯვებულად კი ცხადდება ის კანდიდატი, ვინც 538-ის ნახევარზე მეტს მოიპოვებს, ანუ 270 ხმას მაინც. ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა ყოველ საარჩევნო წელს მერყევი შტატების რაოდენობას და მათი ოლქების სიდიდეს.



ბათა იმ სამოქმედო ჩარჩოთი, რასაც მიტ რომნი სთავაზობს ქალებს. ფლორიდაში ტალაჰასში გადაღებული ფოტოც ვნახე – 40-ს გადაცილებული ქალები დგანან პიჯაკებსა და მუხლამდე ქვედაბოლოებში და ხელში პლაკატები უჭირავთ: „ქალები მხარს უჭერენ რომნის!“

სილვია სტროუდ-სმითს კი რომნის სახელის გაგონებისაც კი ეშინია. პირდაპირ მეუბნება, „წარმოდგენაც არ მინდა, რომ გაიმარჯვებს. ეს, პირველ რიგში, ჩვენ ქალებს, შეგვეხება. აბორტის წინააღმდეგია, არადა, წარმოიდგინე რამდენი გოგო ორსულდება შემთხვევით, ანდა სექსუალური ძალადობით. კიდევ ერთი: პირველი კანონი, რომელსაც ობამამ ხელი მოაწერა, იყო კანონი ქალისა და მამაკაცს თანაბარი ანაზღაურების შესახებ. ახლა ამბობენ, რომ ეს წესი კარგად არ მუშაობს. მაგრამ ის მომავალზეა გათვლილი. თუ ობამა დარჩა, შემდეგი თაობის ქალები ამით ისარგებლებენ“.

სილვია ნაადრევი ხმის მიცემის შტაბთან გავიცანი, რომელიც 18 ოქტომბრიდანაა გახსნილი. მაღალსართულიანი შენობის წინ ოთხი ქალი იდგა. ორს წითელი ბროშურები ეჭირა ხელში, ორს – ლურჯი. წითელბროშურიანები არ დამელაპარაკნენ. სილვიამ კი ისე მოინდომა ჩემი დახმარება, ესკალატორით, მეორე

სართულზეც ამყვა და მაჩვენა, როგორია ხმის მიცემის პროცესი.

საარჩევნო ბიულეტენი მოვითხოვე.

– ამობეჭდილი? მხოლოდ კომპიუტერებში გვაქვს. თუმცა, მოიცა, ჩემს ბიულეტენს ამოგიბეჭდავ და ნახავ, როგორია, – ძალიან კეთილი აღმოჩნდა საარჩევნო შტაბის რიგითი წევრი.

ბიულეტენი 5 გვერდზე გაიჭიმა, რადგან კანდიდატთა სიაა წარმოუდგენლად ვრცელი. თითოეული ამერიკელი ოთხ წელიწადში ერთხელ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გარდა, აშშ-ს წარმომადგენელთა სახლის წევრებს, შტატის გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს, მთავარ პროკურორს, აუდიტორს, შტატის მდივანს, ხაზინადარს და კიდევ სხვა უწყებების ხელმძღვანელებს ირჩევს, ყველა დონის მოსამართლესთან ერთად. ამიტომ ამომრჩეველს ზოგჯერ მართლა ძალიან ეხმარება ის წითელი და ლურჯი ბროშურები, რომელთაც აქტივისტები შესასვლელთან აწვდიან. ამ ბროშურებში მკაფიოდ წერია, რომელ გვარს უნდა დააჭირო ეკრანზე თითი, იმის მიხედვით, დემოკრატიული პარტიას უჭერ მხარს, თუ რესპუბლიკურს.

„ვინსტონ-სალემ ჯორნალის“ რეპორტიორი მაიკლ მეუბნება, რომ არჩევნებზე ყოველთვის მომზადებული მიდის. მაგრამ გააჩნია ამომრჩევლის განათლების დონეს. ვისაც ორწლიანი კოლეჯის განათლებაც არ აქვს, საშუალო სკოლაში ნასწავლი საარჩევნო სისტემა მალე ავიწყდება და მერე უბრალოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამბავია, ჩაეძიება თუ არა დეტალებს, გამოიკვლევს თუ არა თითოეული კანდიდატის პლუს-მინუსებს და მაქსიმალურად ინფორმირებულ არჩევანს გააკეთებს. ამიტომ, მაიკლის თქმით, თუ საპრეზიდენტო არჩევნების წელი არაა, არჩევნებზე დასწრების მაჩვენებელი ყოველთვის ძალიან დაბალია.

ჩრდილოეთ კაროლინას სახელმწიფო საარჩევნო უწყების ოქტომბრის მონაცემებით, ამ შტატში 3 მილიონამდე რეგისტრირებული დემოკრატი ამომრჩეველია; 2 მილიონზე ცოტა მეტი – რესპუბლიკელი; არცერთ პოლიტიკურ მხარეს კი თავს არ აკუთვნებს 1.697.674 ადამიანი. ნაადრევი ხმის მიცემის მაჩვენებლები რეკორდულად მაღალია 2008-სთან შედარებით და ამ მონაცემებით გაცილებით მეტმა დემოკრატმა მისცა ხმა, ვიდრე რესპუბლიკელმა. თუმცა, ამ შემთხვევაში „დემოკრატი“ და „რესპუბლიკელი“ მხოლოდ პოლიტიკური მიკუთვნებულობის გამომხატველია. ამიტომ, როგორც ჯოანა მილერმა მასწავლა, საარჩევნო სიაში დემოკრატების სიუხვეს არ ვენდობი. „ჯორნალშიც“ მეუბნებიან, რომ ეს დემოკრატები ხშირად რესპუბლიკელ კანდიდატს ირჩევენ – ისევ ძლიერი კონსერვატიული ფასეულობების გამო. 2008-შიც ობამამ 4.3 მილიონი ხმიდან ჩრდილოეთ კაროლინაში მხოლოდ 14 ათასი ხმით დაამარცხა მაკკეინი.

თუმცა, დემოკრატები დათმობას არ აპირებენ, და ახლაღა მივხვდი, რატომ: ჩრდილოეთ კაროლინას საარჩევნო კოლეგიას 15 საარჩევნო ხმა აქვს, სულ სამით ნაკლები ყველაზე მნიშვნელოვან შტატ ოჰაიოზე. გამოდის, დემოკრატებმა აქ ბოლომდე უნდა იბრძოლონ. 2008-ის პრეცედენტი უკვე ვეღარ განმეორდება, როცა ობამა არჩევნებამდე ბოლო ორი თვის განმავლობაში რამდენჯერმე სტუმრობდა ამ სამხრეთულ შტატს, პატარა ქალაქ გრინსბოროში კი სულაც არჩევნების წინა ღამეს ჩავიდა. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ კაროლინას ერთ-ერთ დიდ ქალაქში, ჩარლოტში, ორშაბათს პირველ ლედის ელიან. ბრძოლა თითოეული ხმისთვის მართლა ბოლო წუთამდე გრძელდება. დემოკრატები ამბობენ: 2008-ში ჩრდილოეთ კაროლინაში ჩვენ ჩვენი დროშა აღვმართეთ. და ეს მიწა დღემდე ჩვენიაო. რესპუბლიკელები კი აპროტესტებენ – სამხრეთი კონსერვატორებისაა, ესე იგი, ჩვენიო.

არჩევნები

უკრაინა ნაბიჯი უკან

„უკან გადადგმული ნაბიჯი“ – ასე შეაფასეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა უკრაინის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 28 ოქტომბერს ჩატარდა. კარგა ხანია, ექსპრეზიდენტ კუჩმას მმართველობის შემდეგ, ასეთი შეფასება უკრაინას არ ახსოვს.

მიკოლა აზაროვი

ტატიანა გოვერა, კიევი

უკრაინის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასა და შედეგებზე მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება – ამ აღმოსავლეთევროპული ქვეყნის ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა ევროპისგან.

იანუკოვიჩმა აშკარად ვერ გაუძლო „ცდუნებას“ და ხელისუფლების შენარჩუნების კარგად გამოცდილი ხერხი აირჩია – ისე, როგორც ამას აკეთებენ მოძმე სლავი მეზობლები რუსი ვლადიმირ პუტინი და ბელარუსი ალექსანდრ ლუკაშენკო.

„უკან გადადგმული ნაბიჯი“ – ასე შეაფასეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა უკრაინის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 28 ოქტომბერს ჩატარდა.

კარგა ხანია, ექსპრეზიდენტ კუჩმას მმართველობის შემდეგ, ასეთი შეფასება უკრაინას არ ახსოვს.

წინასაარჩევნო პერიოდმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა – საგადასახადო დევნა, ტელევიზიების დახშობა ოპოზიციური პარტიებისთვის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშინება-დაშანტაჟება. ამ წინასაარჩევნო ტაქტიკით, მართალია, მმართველმა გუნდმა საერთაშორისო თანამეგობრობის გულისწყრომა კი დაიმსახურა, მაგრამ სამაგიეროდ, საფუძვლიანად გაიმყარა თავისი პოზიციები ხელისუფლებაში.

უკრაინის პარლამენტში 450 ადგილია. ჯერ ცესკოს საბოლოო შედეგი არ გამოუქვეყნებია, თუმცა 2 ნოემბრის მონაცემებით, როცა ბიულეტენების თითქმის 99 პროცენტი დათვლილი იყო, ასეთი სურათია:

იანუკოვიჩის პოლიტიკურმა ძალამ, „რეგიონების პარტიამ“ ხმების 30 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზეა ტიმოშენკოს „ბატკოვშინა“ 25 პროცენტით, კლიჩკოს „უდარი“ 13 პროცენტი, 13 პროცენტი ერგო ასევე კომუნისტებსაც, რადიკალი ნაციონალისტების პარტია „სვობოდამ“ კი — 10 პროცენტი მიიღო.

225 ერთმანდატიანი ოლქიდან 117-ში ასევე „რეგიონების პარტიის“ წევრები ლიდერობენ.

ამ შედეგითა და კომუნისტებთან გარანტირებული კავშირით, იანუკოვიჩს არ გაუჭირდება მომავალი პარლამენტის კონტროლირება.

„მმართველი გუნდი შეუზღუდავად სარგებლობდა სახელმწიფო რესურსით. ქვეყანაში წინასაარჩევნოდ გაბატონებული იყო ტოტალური დაუსჯელობის ატმოსფერო“, – აღნიშნა ვალბურგა გაბსბურგ-დუგლასმა, რომელიც არჩევნებზე ეუთოს სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა.

მისი თქმით, დემოკრატიული პროგრესი, რომელიც უკრაინაში ბოლო წლებში შეიმჩნეოდა, ერთ ადგილზე გაიყინა.

იანუკოვიჩს სხვა გზა არ აქვს. ხელისუფლების შესანარჩუნებლად პუტინივით და ლუკაშენკოსავით უნდა იმოქმედოს, თუმცა არის გარკვეული ასპექტები, სადაც იანუკოვიჩს მნიშვნელოვნად განსხვავებული მდგომარეობა აქვს, ვიდრე მის რუს და ბელარუს კოლეგებს.

პირველ რიგში, ეს არის უკრაინის აშკარა გახლეჩილობა ორ ნაწილად. დასავლეთად და აღმოსავლეთად, რუსულენოვნებად და უკრაინულად მოსაუბრეებად. ასევე ამომრჩეველთა იმ კატეგორიებად, ვისაც დღემდე ემოციურად სძულს „ნარინჯისფერი რევო-

ლუცია“ და მეორე მხრივ, ვინც დღემდე მისტირის 2004 წლის მოვლენებსა და შემდგომ განცდილ მარცხსა და იმედგაცრუებას ნანობს.

კორუფცია და პროტექციონიზმი ყველა დონეზე – ეს იანუკოვიჩის მმართველობის ორი სიმბოლოა და ამაზე უკვე ისინიც კი ლაპარაკობენ, ვინც ტრადიციულად იანუკოვიჩის ამომრჩეველია.

იანუკოვიჩის მოწინააღმდეგეები, მართალია დანაწევრებულები, წინასაარჩევნო პერიოდით გადაღლილები და საპარლამენტო უმცირესობად ქცეულები არიან, მაგრამ მაინც იქნებიან უფრო სერიოზული ოპოზიცია, ვიდრე პუტინს და ლუკაშენკოს ჰყავს. ჩემპიონმა კრივში ვიტალი კლიჩკომ, რომელიც ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიას „უდარ“-ს ლიდერობს, განაცხადა, რომ მისი სურვილია ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდეს, რათა იანუკოვიჩის რეჟიმი დაამარცხონ და ქვეყანა „დემოკრატიულ გზას“ დაუბრუნდეს.

არავინ იცის, შეძლებენ კი უკრაინელი ოპოზიციონერები გაერთიანებას. ან გაერთიანების შემთხვევაში მოახერხებენ კი, იანუკოვიჩის დამარცხებას. თუმცა, განსხვავებით პუტინისგან, იანუკოვიჩს არა აქვს ნავთობ-დოლარები, რომლებსაც ოპოზიციის გასანადგურებლად და ხალხის მოსასყიდად გულუხვად დახარჯავს. იანუკოვიჩმა წინასაარჩევნოდ ხელფასები და შემწეობები კი გაზარდა, მაგრამ დღეს, როდესაც არჩევნებმა უკვე ჩაიარა, ნეტა როგორ და საიდან აპირებს იგი ამ ხელფასების და შემწეობების გადახდას?

„იანუკოვიჩს ფული არა აქვს, ამიტომ იგი ძალის გამოყენებით შეეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას. ცხადია, ის ძალიან გარისკავს ასეთ შემთხვევაში, მაგრამ სხვა გზა არ აქვს“, – ამბობს დონეცკელი ჟურნალისტი დენის კაზანსკი.

იანუკოვიჩის მეგობარი ოლიგარქები, სავარაუდოდ, სხვა თამაშს წამოიწყებენ. და ეს არჩევნების პერიოდშიც გამოჩნდა. მათ იანუკოვიჩის იმდენად კი არ ეშინიათ, რამდენადაც უნდათ, რომ დისტანცირდნენ მისგან. დონეცკელი ბიზნესმენი რინატ ახმეტოვი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცია უკრაინაში. მან გადაწყვიტა ამ არჩევნებზე პარლამენტში კენჭი არ ეყარა. ახმეტოვს ახლა საკუთარი იმიჯის გაუმჯობესება უფრო აინტერესებს, იანუკოვიჩი და მისი „რეგიონების პარტია“ კი ამ საქმეში მხოლოდ ხელს შეუშლის.

ამას გარდა, იანუკოვიჩს მოუწევს ინერვიულოს ევროპაზე და ევროპის დამოკიდებულებაზე. უკრაინა უკვე 20 წელია ცდილობს დაუკავშიროს თავისი მომავალი ევროკავშირს. ევროპასთან გაყრა მნიშვნელოვნად დააზარალებს უკრაინის ეკონომიკას და მას ძალიან მოწყვლადს და სენსიტიურს გახდის რუსული ფულის მიმართ. რუსეთი კარგა ხანია ჩასაფრებულია და ელოდება როდის ჩაიგდებს ხელში ყველაზე „გემრიელ“ უკრაინულ საწარმოებს.

დასავლეთ ევროპამ ძალიან მკაცრი განაჩენი გამოუტანა უკრაინულ არჩევნებს. დასავლეთ ევროპელები ასევე კვლავინდებურად დაუფარავი სიმპათიით ეკიდებიან იანუკოვიჩის მთავარ მოწინააღმდეგეს – ყოფილ ვიცე-პრემიერს, იულია ტიმოშენკოს.

უკრაინელი ანალიტიკოსები ამბობენ, რომ იანუკოვიჩის მდგომარეობა ასევე, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზეც. თუ აშშ-ში რუსეთის მიმართ უფრო მტრულად განწყობილი რესპუბლიკელების კანდიდატმა მიტ რომნიმ გაიმარჯვა, მაშინ იგი უფრო გულმოწყალე იქნება იანუკოვიჩის მიმართ, ვიდრე ეს უკანასკნელი მოსკოვისგან დამოუკიდებლობას დეკლარირებს. დემოკრატები უფრო თავშეკავებულები არიან იანუკოვიჩთან მიმართებაში და უკრაინული პოლიტიკის მძევლად აღმოჩენას უფრთხიან.

აზერბაიჯანის საზოგადოებრივი პალატა

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 16 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს.

სეიმურ ქაზიმოვი

მმართველი „ახალი აზერბაიჯანის პარტიის“ თავმჯდომარის თქმით, პრეზიდენტობის კანდიდატი ქვეყნის მოქმედი მეთაური, ილჰამ ალიევი იქნება.

შესაბამისად, „ახალი აზერბაიჯანის პარტიის“ წარმომადგენლები ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისას მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ ისინი ერთი კანდიდატის საკითხზე შეთანხმებულები არიან.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტის ერთი კანდიდატურა უკვე გამოკვეთილია, ოპოზიციის ბანაკიდან საკუთარ კანდიდატურას არავინ ასახელებს, და ეს ხდება მაშინ, როცა არჩევნებამდე წელიწადზე ნაკლები დროა დარჩენილი.

საზოგადოებრივი პალატა ის ორგანიზაციაა, რომელიც 2010 წლის 7 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაარსდა. ფაქტობრივად, ეს იმ ოპოზიციური და ნეიტრალური ძალების ერთობაა, რომელთაც პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავთ. მაშინ პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ინტელექტუალები და 7 ნოემბრის მოწვევის პარლამენტის წევრობის კანდიდატები პარტია „მუსავათის“ ცენტრალურ ოფისში შეიკრიბნენ და 28 ოქტომბერს საზოგადოებრივი პალატა დააარსეს. ამის შემდეგ საზოგადოებრივი პალატის რეგიონალური წარმომადგენლობების შექმნაც დაიწყო.

პარტია „მუსავათის“ თავმჯდომარის, იადიგარ სადიქოვის გადადგომამ 18 ოქტომბერს იმ დებატებს შეუწყო ხელი, რომლებიც პრეზიდენტობის კანდიდატის თაობაზე ისედაც არსებობდა. სადიქოვმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში თავის გადადგომას ასეთი განმარტება დაურთო: „დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ, დიდი სინანულით, გადავდექი საზოგადოებრივ პალატაში თავმდჯომარის, ანუ იმ ორგანიზაციის თანამდებობიდან, რომელიც ოდესღაც თავად შევქმენი“.

გაზეთ „ახალი მუსავათის“ მთავარი რედაქტორი, რაუფ არიფოღლუ ოპოზიციურ ბანაკს აკრიტიკებს და მთავრობისათვის ხელისაყრელი დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს: „როგორც პარტია „მუსავათის“ წევრები და დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები, ჩვენ ყოველთვის კრიტიკულად ვიყავით განწყობილები მთავრობისა და მის მიერ დანიშნული სახელმწიფო მოხელეების მიმართ. ბრალდებებს არც ისინი გვაკლებდნენ. ახლა არ მესმის, რა განსხვავებაა იადიგარ სადიქოვსა და რომელიმე ჩვენს სხვა კოლეგას შორის, აღარ მესმის, რა განსხვავებაა ჩვენსა და მთავრობას შორის“.

იმავე დღეს ორგანიზაცია პოლიტოლოგმა არასტუნ ორუჯლუმაც დატოვა. საკუთარ ბლოგში ორუჯლუ წერს, რატომ ვერ იქცევა, მისი აზრით, საზოგადოებრივი პალატა დემოკრატიულ ინსტიტუტად.

„არსებულ შესაძლებლობებთან ერთად, საზოგადოებრივ პალატას მოვალეობები და პასუხისმგებლობებიც მოემატა. ამ თვალსაზრისთ, ორგანიზაციას შეეძლო, საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ წამყავნ მასობრივ მოძრაობად ქცეულიყო. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. პირიქით, საზოგადოებრივმა პალატამ ისეთ არენად დაიწყო გადაქცევა, სადაც ჯგუფების და ცალკეული ინდივიდების ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს“.

შემდეგ მიზეზად, თუ რატომ ვერ მოხერხდება პალატის ქცევა დემოკრატიულ ინსტიტუტად, პოლიტოლოგი აზერბაიჯანელი ოფიცრის, რამილ საფაროვის ექსტრადიციასთან დაკავშირებით გამოვლენილ პოზიციას ასახელებს. რამილ საფაროვი ბუდაპეშტში სომეხი ოფიცრის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ იგი სამშობლოში ექსტრადირებისთანავე გაათავისუფლა პატიმრობიდან. საზოგადოებრივმა პალატამ იმ წერილის ხელმოწერაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ევროპარლამენტის მიერ ამ ფაქტის გამო მიღებულ, კრიტიკის შემცველ რეზოლუციას

უნგრეთში სომეხი ოფიცრის მკვლელობისთვის გასამართლებული და აზერაბიჯანში ექსტრადირებული რამილ საფაროვი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

საპასუხო კრიტიკის ქარცეცხლს ატეხდა და მმართველი პარტიის მიერ იყო ინიცირებული. „ამ ფაქტმა საერთაშორისო წრეებში ძალიან ცუდად იმოქმედა საზოგადოებრივი პალატის ავტორიტეტზე“.

ოპოზიციური ბანაკი ორუჯლუს გადადგომის მთავარ მიზეზად 2013 წლის არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგომის მის სურვილს ასახელებს. თუმცა, თავის ბლოგში ორუჯლუ წერს, რომ თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ექნა, ამას ღიად და დაუფარავად გამოაცხადებს.

საზოგადოებრივი პალატის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, რაჰიმ ჰაჯიევი ამბობს, რომ ამ გადადგომებს სერიოზულ პრობლემად ვერ აღიქვამს. „თუ დემოკრატიული საზოგადოების აშენება გვინდა, ასეთ ფაქტებსაც უნდა მივეჩვიოთ და ზოგადად, განსხვავებული აზრის არსებობასაც“, – განაცხადა მან არასტუნ ორუჯლუს გადაწყვეტილების კომენტირებისას და დასძინა: „საზოგადოებრივი პალატა გადაწყვეტილებებს საკოორდინაციო საბჭოში კი არა, სხდომებზე იღებს. საკოორდინაციო საბჭო მხოლოდ რჩევებს აძლევს მას. მეტსაც გეტყვით, საზოგადოებრივი პალატა ამდენი ხანია, კარგად ორგანიზებულ ორგანოდ რჩება; იქ დემოკრატიული სულისკვეთება ტრიალებს“.

ჰაჯიევი ასევე აცხადებს, რომ ჯერ არ დაწყებულა დისკუსია იმის თაობაზე, წარადგენს თუ არა საზოგადოებრივი პალატა არჩევნებისთვის მხოლოდ ერთ კანდიდატს. „ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა აზერბაიჯანში დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნაა. დღეს მთელი ჩვენი ძალისხმევა ამისკენ გვაქვს მიმართული. თუ ნორმალური საარჩევნო გარემო არ იქნა, მერწმუნეთ, არც იმას ექნება მნიშვნელობა, ერთ კანდიდატს წარვადგენთ თუ რამდენიმეს“, – ამბობს რაჰიმ ჰაჯიევი.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

გადაცემა
ლიბერალი

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“
ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali

ფოტო: ბორის ბოგვა

ახალი პარლამენტის ბინყინვალება და სილამაზე

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის თქმით, ქუთაისის პარლამენტის მშენებლობისთვის უკვე 340 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი და „ერთ-ერთი იმ ხარჯთაგანია, რომელთა მიზნობრიობაც ეჭვქვეშ დგას“.

ზურაბ ვარდიაშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში რომ მოხვდეთ, ჯერ დაცვის ფლიგელი უნდა გაიაროთ, საიდანაც რეგისტრაციის შემდეგ მინიმალისტური სტილით გაწყობილ მოსაცდელში აღმოჩნდებით. მოსაცდელიდან შეგიძლიათ თავმჯდომარის კაბინეტში გადაინაცვლოთ.

კაბინეტის შემინული კარი ვრცელ ტერასაზე გადის. ის ორი განყოფილებისგან შედგება. ერთზე რამდენიმე მინის ზედაპირიანი მაგიდა დგას, მათ გარშემო თეთრი ფერის დივანი და სავარძლებია განლაგებული. თითოეულ მათგანთან დეკორაციული განათებებია დამონტაჟებული.

მეორე განყოფილება უფრო მინი საფეხბურთო მოედანს ჰგავს. ხელოვნური ბალახის საფარით გაფორმებულ ვრცელ აივანს ორმაგი მოაჯირი მიუყვება. მოაჯირის კედლებს შორის მიწაა ჩაყრილი და სხვადასხვა მცენარეა დარგული. საყვავილე-მოაჯირი სარწყავი სისტემითაა აღჭურვილი, თუმცა ონკანებიდან წყალი არ მოდის (წყალი არამარტო პარლამენტში, ზოგადად ქუთაისშიც დიდ პრობლემას წარმოადგენს. არის უბნები, სადაც წყალზე გრაფიკია დაწესებული).

თავმჯდომარის კაბინეტი ყველაზე ბოლო, მეექვსე სართულზეა განლაგებული და თავის განყოფილებებიანად მთლიანად უკავია. ტერასიდან დაბლა გადახედვისას სხვა კაბინეტების აივნების ხედებიც ჩანს და დაკიდული ბაღების შთაბეჭდილებას ქმნის. აქ ძალიან ცხელა, რადგან შუშის გუმბათი მზის სხივებს თავისუფლად ატარებს, ხოლო კონდიცირების სისტემა უზარმაზარი სივრცის გაგრილებას ვერ ახერხებს. მთელ შენობაში გამუდმებით ისმის ძლიერი ზუზუნის ხმა. ეს მძლავრი კონდიციონერის მოტორებია. მათი ნაწილი ზოგიერთი კომიტეტის ოთახის თავზეა განლაგებული და დეპუტატებს მათი გათიშვა უწევთ, რადგან ასეთი ხმაურის ხანგრძლივად ატანა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ქუთაისის პარლამენტში მეგზურობას თიკო ძნელაძე გვიწევს – პარლამენტის აპარატის უფროსის სამდივნოს ხელმძღვანელი. ის ყველა იმ კარს გვიხსნის, რომელსაც ვუთითებთ. გარდა იმისა, რომ მის გარეშე სულ ადვილია, უამრავი, სრულიად ერთნაირი დერეფნის ლაბირინთში დაიკარგო, თიკო საკანონმდებლო ორგანოს თანამშრომლებთან კომუნიკაციაშიც გვეხმარება.

■ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში დაცვის სამსახურის წარმომადგენელი დაძაბული ადევნებს თვალს, როგორ ვიღებთ ფოტოებს, დაკვირვებით ვათვალიერებთ ინტერიერს, ვირგებთ სავარძლებს, ვხსნით და ვკეტავთ სარწყავ ონკანებს, ხელით ვეხებით ბალახის საფარს... მას მოთმინება მაშინ ელევა, როდესაც სპიკერის მაგიდიდან პულტს ვიღებ და კაბინეტში დაკიდულ ტელევიზორს ვრთავ. პულტს მართმევს და ნივთებზე შეხებას მიკრძალავს. თიკო გვიბოდიშებს – „ასეთია მათი სამსახური“.

თანამშრომლები, როგორც ჩანს, ასეთ ექსკურსიებს ჩვეულნი არ არიან.

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში დაცვის სამსახურის წარმომადგენელი დაძაბული ადევნებს თვალს, როგორ ვიღებთ ფოტოებს, დაკვირვებით ვათვალიერებთ ინტერიერს, ვირგებთ სავარძლებს, ვხსნით და ვკეტავთ სარწყავ ონკანებს, ხელით ვეხებით ბალახის საფარს... მას მოთმინება მაშინ ელევა, როდესაც სპიკერის მაგიდიდან პულტს ვიღებ და კაბინეტში დაკიდულ ტელევიზორს ვრთავ. პულტს მართმევს და ნივთებზე შეხებას მიკრძალავს. თიკო გვიბოდიშებს – „ასეთია მათი სამსახური“.

პარლამენტში მთავარი შესასვლელიდან შესვლა ჟურნალისტებისთვის არ შეიძლება. იქ მოსახვედრად, შენობის გვერდით მდებარე ადმინისტრაციული ნაგებობის გრძელი, შემინული დერეფანი უნდა გაიაროთ. სამსართულიანი ნაგებობა თავდაპირველ პროექტში არ არსებობდა. თუმცა, მთავარ შენობაში ფართოდ გაშლილმა აპარტამენტებმა იმხელა ადგილი დაიკავა, რომ ადმინისტრაციის 700-მდე თანამშრომლის დატევა ვეღარ მოხერხდა.

ადმინისტრაციული შენობის ჭუჭყიანი ფანჯრებიდან სამშენებლო მასალებით მოფენილი ხედი მოჩანს, ფანჯრების გასუფთავება იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ვიდრე კედლის ორმაგ შემინვას დაასრულებდნენ, გარე მინის შიგნიდან გაწმენდაზე არავინ იზრუნა.

ადმინისტრაციული ნაგებობის დერეფნიდან საღებავის სუნით გაჟღენთილ გვირაბში გადაუხვევთ და რამდენიმე წუთში მთავარი შენობის წინ აღმოჩნდებით. დაკიდული ბაღების ხედი პირველად აქედან იშლება. თოკებზე გამობმული მთამსვლელები მინის გუმბათზე დაცოცავენ, წმენდენ და სილიკონის მსგავსი მასალით აწებებენ, რადგან წვიმის დროს წყალი ჩამოდის. მხოლოდ იმ ადგილას არ წვიმს, სადაც გუმბათი 200 მეტრიანი, თხელი ბეტონის ზოლითაა დახურული.

დიზაინერთა თქმით, ეს ზოლი სიძლიერის, 40 მეტრის სიმაღლის გუმბათი კი გამჭვირვალობის სიმბოლოა. ახალი შენობის საერთო ფართი 4 200 კვადრატული მეტრია, სადაც 217 კაბინეტი და 11 საკონფერენციო ოთახია განთავსებული.

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის აივანი მინი საფეხბურთო მოედანს ჰგავს.

ტერასების გამწვანება „დაკიდული ბაღების“ შთაბეჭდილებას ქმნის.

ფოტოები ბიორკი ბრავს

სხდომათა დარბაზი საკმაოდ პატარაა. მას სამი შესასვლელი აქვს. ოთხ სექტორად დაყოფილი სავარძლებიდან ორი განაპირა განყოფილება მთავრობის წევრებს და საპატიო სტუმრებს ეკუთვნით. წითელი სავარძლების წინ მომცრო მონიტორები, ხმის მიცემის მოწყობილობები და მიკროფონებია დამონტაჟებული. თავმჯდომარის სავარძლის გვერდით ადგილები ვიცე-სპიკერის, თანაშემწეების და ოქმის მწარმოებელთათვისაა განკუთვნილი. ოდნავ წინ დგას ტრიბუნა, რომელსაც სიტყვით გამომსვლელები იკავებენ. დარბაზში საქართველოს დროშის ფერები – თეთრი და წითელი დომინირებს.

შენობაში პრობლემები პარლამენტის გახსნის დღიდან დაიწყო. იკეტებოდა საკომიტეტო ოთახებისა და საპირფარეშოების კარები, გახსნის მცდელობის დროს კარს სძვრებოდა სახელურები, შეფერხებით მუშაობდა სენსორებზე აწყობილი განათება, წვიმის შემდეგ წყალი დგებოდა იმ ადგილზე, რომელსაც ჟურნალისტები პირდაპირი ჩართვებისთვის იყენებდნენ. დერეფნებში შენიშნეს მღრღნელებიც...

შენობაში შესვლისას პირველად იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის სრულიად გამჭვირვალე კაბინეტს დაინახავთ. კონსტიტუციონალისტი თავიდან ბოლომდე ქაღალდებშია ჩაფლული. ის ცდილობს გამოიცნოს, მართლა საქმე გვაქვს თუ უბრალოდ ცნობისმოყვარეობას ვიკმაყოფილებთ: – „თუ ასეა, მაშინ დრო არ მაქვს“. ვარწმუნებთ, რომ ჩვენც ვმუშაობთ და საუბარზე ვითანხმებთ.

„ეს კაბინეტი კი არა, ტერარიუმია, – გვეუბნება ხმალაძე – აი, ასე, მოდიან და გარედან მაკვირდებიან, თავს ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობ“.

დეპუტატებს კაბინეტები კენჭისყრით ერგოთ. თითქმის ყველგან უჰაერობაა – „დღის ბოლოს ყოველთვის თვალები მეწვის, კაბინეტის გარეთ კონდიცირების სისტემა არ მუშაობს, როცა მზეა, სათბურია, ზამთარში კი საყინულე იქნება“.

ფოტოტეხი გიორგი გოგუა

იურიდიული თვალსაზრისით, პარლამენტარებს შენობაში ყოფნის უფლება არ აქვთ. ის დაუმთავრებელია და ოფიციალურად ჩაბარებული არ არის. „ამ წუთისთვის არ შემიძლია იმის თქმა, თუ ვისი საკუთრებაა შენობა“, – გვეუბნება იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე.

რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი თინა ხიდაშელი თბილისში ცხოვრობს და ქუთაისსა და საგარეჯოში მუშაობს. (ის საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატია) „დროის უმეტეს ნაწილს გზაში ვატარებ, ბინებს ორ ქალაქში ვქირაობ. – ეს რაში გვჭირდებოდა?“ – ამბობს ხიდაშელი.

2009 წლის 19 დეკემბერს ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, ავტოქარხნის დასახლებაში აფეთქების ხმა გაისმა. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა დიდების მემორიალის 46 მეტრიანი ნაგებობა რამდე-

ჟურნალისტის თქმით, ქალაქში მძიმე სოციალური ფონია. საშუალო ფენა – „აი ისეთი, დილით რომ იღვიძებს და არ დარდობს, შვილებს რა აჭამოს“ – თითებზე ჩამოსათვლელია. უამრავი ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალება საზღვარგარეთ წასული წევრის მიერ გამოგზავნილი დახმარებაა.

საპარლამენტო ბაზა

2009 წლის 24 სექტემბერს საქართველოს კონსტიტუციას შემდეგი შინაარსის 48/1 – მუხლი დაემატა:
1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი და ქ.ქუთაისი. პარლამენტის პლენარული სხდომები იმართება მხოლოდ ქუთაისში.
2. საქართველოს პარლამენტის დროებით შეცვლა, სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.
თუმცა 2011 წლის 1 ივლისს ამავე მუხლში შევიდა ცვლილება და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:
1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.

ნიმე წამში დაინგრა. აფეთქებამ ორი ადამიანი, დედა და მისი 11 წლის გოგონა შეიწირა. დედა-შვილი აფეთქების ადგილთან ახლოს ცხოვრობდა და მემორიალის დემონტაჟის დროს ქუჩაში იმყოფებოდნენ. ისინი ბეტონის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა.

ასე დაიწყო ქუთაისის პარლამენტის მშენებლობა.

ტრაგიკულ შემთხვევათა ციკლი ამით არ დასრულებულა, 2012 წლის 7 ივნისს პარლამენტის შენობის ნაწილის ნგრევამ მსხვერპლი გამოიწვია, გარდაიცვალა მუშა, რომელიც ნანგრევებში მოყვა, დაშავდნენ სხვა მუშებიც. ისინი საავადმყოფოებში პოლიციის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ გადაჰყავდათ, ჟურნალისტებს ინფორმაციის თავისუფლად მიღების საშუალება არ ჰქონდათ.

პარლამენტის პროექტის ავტორი ესპანელი არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბოა, ორი წლის განმავლობაში ნაგებობაზე 2000-მდე მშენებელი მუშაობდა. პირველი საზეიმო სხდომა 2012 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიმართა.

ახალ პარლამენტს ქუთაისში კომპანია „მაგი სტილი“ აშენებს. ეს შეკვეთა

2009 წლის 19 დეკემბერს ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, ავტოქარხნის დასახლებაში აფეთქების ხმა გაისმა. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა დიდების მემორიალის 46 მეტრიანი ნაგებობა რამდენიმე წამში დაინგრა. აფეთქებამ ორი ადამიანი, დედა და მისი 11 წლის გოგონა შეიწირა. დედა-შვილი აფეთქების ადგილთან ახლოს ცხოვრობდა და მემორიალის დემონტაჟის დროს ქუჩაში იმყოფებოდნენ. ისინი ბეტონის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა.

კომპანიას ხელისუფლებამ ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადასცა. „მაგი სტილის“ მეპატრონეები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორი გოგი გეგეშიძე და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი არიან.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პარლამენტის მშენებლობას მუდმივ მონიტორინგს უწევდა. მონიტორინგმა მთელი რიგი დარღვევები გამოავლინა.

უპირველესი, რაზეც იურისტები აპელირებდნენ, მშენებლობის პროცესისა და დახარჯული თანხების გაუმჭვირვალობა იყო. პარლამენტის მშენებლობის თანხები, ქუთაისის ბიუჯეტის გავლით იხარჯებოდა. 2011 წლის 22 თებერვლის საქართველოს მთავრობის N460-ე განკარგულებით, ქალაქ ქუთაისის მერია, როგორც დამკვეთი, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ჩაანაცვლა. ამან პარლამენტის მშენებლობა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა, ვინაიდან შპს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს აცხადებდა.

ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, მშენებლობისთვის 2009 წელს 200 000, 2010 წელს 68,42 მილიონი, 2011 წელს კი 5,14 მილიონი ლარი გამოიყო.

2012 წლის მაისში ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ განაცხადა, რომ პარლამენტის მშენებლობა იმ დროისთვის 133 მილიონი ლარი დაჯდა. ახალი მინისტრის, ნოდარ ხადურის თქმით კი, პარლამენტისთვის 340 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული და „ერთ-ერთი იმ ხარჯთაგანია, რომელთა მიზნობრიობაც ეჭვქვეშ დგას“.

თეონა მანაგაძე ინტერნეტგამოცემა for.ge – ს ჟურნალისტია. ის კვირაზე მეტია ქუთაისში ცხოვრობს და თავის სააგენტოს პარლამენტიდან ახალ ამბებს აწვდის. თეონა საკანონმდებლო ორგანოს პრესსამსახურის თანამშრომლებს ემადლიერება – „რაც შეუძლიათ გვეხმარებიან, თუმცა პრობლემებსაც ვაწყდებით. მაგალითად, თბილისის პარლამენტისგან განსხვავებით, პრესცენტრში კომპიუტერები არ დგას და ჟურნალისტთა ნაწილს ინფორმაციის გადაცემა ტელეფონით უწევს, ეს კი რთულია, – მიხსნის მანაგაძე – უნდა ჩაიწერო, გაშიფრო, გადასცე...“

თეონა საკუთარი გამოცდილებით მსჯელობს და ამბობს, რომ მთლიანობაში ქუთაისი პარლამენტის მისაღებად მზად არ არის. როგორც გვიყვება, მგზავრობა თბილისთან შედარებით იაფია და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან პარლამენტამდე 40 თეთრად დადის. თუმცა პრობლემა ისაა, რომ როდესაც პარლამენტში გვიანობამდე რჩება, შემდეგ გადაადგილება უჭირს, რადგან ცხრა საათის შემდეგ ტრანსპორტი იშვიათად მოძრაობს და არც კვების ბიზნესი ყვავის: „არის რამდენიმე ძვირადღირებული რესტორანი, თუმცა ისეთი ფასებია, გადახდას ვერ შევძლებ“.

„ვარაუდობენ, რომ პარლამენტის ფუნქციონირება ქალაქს განავითარებს – მეუბნება თეონა, – თუმცა ის თანხა – და საუბარი 340 მილიონამდეა, – პირდაპირ რეგიონის განვითარებაში რომ ჩაედოთ, ქალაქი გაცილებით სწრაფად აყვავდებოდა“.

ჟურნალისტის თქმით, ქალაქში მძიმე სოციალური ფონია. საშუალო ფენა, – „აი ისეთი, დილით რომ იღვიძებს და არ დარდობს, შვილებს რა აჭამოს“ – თითებზე ჩამოსათვლელია. უამრავი ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალება საზღვარგარეთ წასული წევრის მიერ გამოგზავნილი დახმარებაა.

პარლამენტის აპარატის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ საკანონმდებლო ორგანო თავის ადგილს დაუბრუნდება, თუმცა, ამისთვის საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს და თბილისის პარლამენტის შიგნიდან დანგრეული შენობა აღდგეს.

საინიციატივო ჯგუფის მიმართვა

ქუთაისში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პარლამენტის ახალ ადგილზე დატოვების თხოვნით მიმართვას ავრცელებს. ამ ჯგუფში შედიან რადიო „ძველი ქალაქი“, გაზეთი „ახალი გაზეთი“, ტელეკომპანიები – „მეგატივი“ და „რიონი“, „ლიბერალური კლუბი და სხვა ფიზიკური პირები. „ჩვენ, თავისუფალი ადამიანები გთხოვთ, გევედრებით თქვენ, დატოვეთ პარლამენტი ქუთაისში. ნუ მიუხურავთ ამ ქალაქს კარს, მიეცით მას სიამაყის უფლება, არასრულფასოვნების განცდის დაძლევის საშუალება“ – ვკითხულობთ მიმართვაში.

ოპერატიულად განახლებადი ახალი ამბები, სიუჟეტები, გადაცემები და ანონსები.

tv9.ge/facebook

tv 9

ეცადე დაინახო მეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.

Песня невинности, она же - опыта!

მის პროფესიულ რეპუტაციასაც დღეს ეჭვქვეშ აყენებს არა მარტო ოპოზიციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ ახალი ხელისუფლების მხარდამჭერთა ერთი ნაწილიც. ვინ არის ლაშა ნაცვლიშვილი და რატომ არის მის მიმართ ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება?

სოფო ბუკია

„ცნობილი რესპონდენტი და საინტერესო მოსაუბრე... დიდი პროფესიონალი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ძალიან დამეხმარება“, – ამ სიტყვებით წარადგინა შს ახალმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი პირველი მოადგილის პოსტზე გენერალ-მაიორი ლაშა ნაცვლიშვილი.

ნაცვლიშვილი, სავარაუდოდ, შს სამინისტროში უშიშროების მიმართულებას უხელმძღვანელებს, რადგან ამ სფეროში მუშაობის დიდი და ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მხოლოდ სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიანი ეპოქა იყო ის გამონაკლისი, რომლის დროსაც ლაშა ნაცვლიშვილს ძალოვან უწყებებში არ უმუშავია. სხვა პერიოდებში იგი უშიშროების სამინისტროსა და პროკურატურის გავლენიანი მაღალჩინოსანი იყო.

მის პროფესიულ რეპუტაციას დღეს ეჭვის ქვეშ აყენებს არა მარტო ოპოზიციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ ახალი ხელისუფლების მხარდამჭერთა ერთი ნაწილიც.

„უზომოდ განათლებული ინტელექტუალი, რომელმაც ზეპირად იცის ბროდსკის შემოქმედება“, „მასთან საუბარი ერთი სიამოვნებაა“, „კორუმპირებული, მექრთამე ჩინოვნიკი, რომელიც ბოლო წუთამდე შევარდნაძის სისტემის ერთგული იყო“ – ეს იმ არაერთგვაროვნი შეფასებების კომპილაციაა, რომლებიც ამ სტატიაზე მუშაობისას ჩაწერილ ინტერვიუებში თუ სოციალურ ქსელებში ნაცვლიშვილის შეფასებისას გამოითქვა.

ვინ არის ლაშა ნაცვლიშვილი და რატომ არის მის მიმართ ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება?

ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება – სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავთ ნაცვლიშვილის შს მაღალჩინოსნად დანიშვნის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. განსხვავება იმაშია, რომ ერთნი ამ გამოცდილებას ღირსებად უთვლიან; მეორენი კი, ამბობენ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებაში გატარებული 11 წელი მხოლოდ უარყოფითი გამოცდილება შეიძლება იყოს და სამართლებრივ ქვეყანაში ეს გამოცდილება გამოუსადეგარია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ სპეციალურ ბრიფინგზე გააკრიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკა. დანიშნული შს მინისტრის ხუთი მოადგილიდან ყურადღება მხოლოდ ერთზე – ლაშა ნაცვლიშვილზე გამახვილდა. ნაცვლიშვილს რუსი ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუ და „ჭიათურმანგანუმის“ სკანდალი გაუხსენეს.

„შინაგან საქმეთა მინისტრის ახალი მოადგილეების ნაწილს მაღალი თანამდებობები ძალოვან უწყებებში ეკავათ მაშინ, როცა ქვეყნის მართვის პროცესში ჩართულნი იყვნენ ორგანიზებული დანაშაულის წევრები – ე.წ. კანონიერი ქურდები; ნარკოტიკების ბრუნვას უშიშროების სტრუქტურები აკონტროლებდნენ; კორუფცია სამართალდამცავ უწყებებში არნახულ მასშტაბებს აღწევდა და სამართალდამცავი ორგანოები გაჯერებული იყო მტერი სახელმწიფოს სპეცსამსახურის თანამშრომლებით“, – აღნიშნა ჯაფარიძემ ბრიფინგზე.

„ზოგჯერ ვფიქრობ, რომ, შესაძლოა, უკეთესიც ყოფილიყო, რუსეთს რომ თბილისი აეღო“, – 2009 წლის აპრილში, თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს რუსულ ინტერნეტ გამოცემა „პოლიტ.რუ“-ს ჟურნალისტისთისვის ვარვარა პახომენკოსთვის ნათქვამი ეს ფრაზა, ნაცვლიშვილის ერთ-ერთ მთავარ კომპრომატად იქცა. თუმცა, მოგვიანებით, პახომენკომ, რომელიც დღეს „რადიო თავისუფლებისთვის“ მუშაობს, განაცხადა, რომ თავად დაუშვა შეცდომა და ფრაზა განსხვავებულად ჩამოაყალიბა.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი „ლიბერალთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ნაცვლიშვილის წინააღმდეგ აგორებული კამპანია „უმცირესობის აკვიატებაა“: „ნაცვლიშვილი იმ დროს იყო უშიშროების მინისტრის მოადგილე, როდესაც ასეთივე მოადგილე იყო ირაკლი ალასანია. ამიტომ, არ მესმის მასზე კონკრეტულად რატომ ხდება თავდასხმა. ალბათ რაღაც იციან, მაგრამ ჩვენ არ გვეუბნებიან. გვითხრათ, ბატონო. ან თუ იციან, რატომ არ დაიჭირეს? 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში... ბოთლის მოპარვისთვის ჰყავთ დაჭერილი ხალხი და კორუმპირებული ნაცვლიშვილისთვის ვერ გამოინახა ადგილი მათ 25 ათას კაციან

ციხეში?“, – ამბობს ბერძენიშვილი.

1990-დან 1999 წლამდე, 9 წლის განმავლობაში ლაშა ნაცვლიშვილი საქართველოს პროკურატურის თანამშრომელი იყო.

ეს ის პერიოდია, როდესაც საერთაშორისო უფლებადამცველები ყველაზე სავალალო ანგარიშებს წერდნენ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და კორუფციის თემაზე. 1999 წლის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ვკითხულობთ:

„ადგილობრივი უფლებადამცველები ასევე გვატყობინებენ ფართოდ გავრცელებული არაკომპეტენტურობისა და კორუფციის შემთხვევების შესახებ, მათ შორის ქრთამის აღების ძალზე გავრცელებული ფაქტების შესახებ გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ, რაც აზარალებს სამართლიანობის პრინციპს“.

მოგვიანებით – 2003 წელს, კორუფციასთან დაკავშირებულ სკანდალში ნაცვლიშვილი პირადადაც აღმოჩნდა ჩართული, როდესაც უშიშროების მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

„რუსთავი 2“-მა გადაცემა „60 წუთში“ აჩვენა ფარული კამერით ჩაწერილი კადრები, სადაც ნაცვლიშვილს ქრთამს სთავაზობენ.

საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ ლაშა ნაცვლიშვილი 2001 წელს დაინიშნა და ამ პოსტიდან 2003 წლის შემოდგომაზე გადადგა იმისთვის, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა.

ნაცვლიშვილი უშიშროების იმდროინდელი მინისტრის – ვალერი ხაბურძანიას განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და სამინისტროში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო. ის შევარდნაძის ხელისუფლების „რუხი კარდინალის“ – ნუგზარ საჯაიას გუნდის წევრად მოიაზრებოდა და მის კარიერულ წინსვლაში დიდი წვლილი სწორედ უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს მიუძღვის.

ხაბურძანიას მინისტრობის პერიოდში, 2002 წელს პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტულ სპეცოპერაციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ლაშა ნაცვლიშვილი და ირაკლი ალასანია, რომელიც იმ დროს ასევე უშიშროების მინისტრის მოდგილე იყო.

კიდევ ერთი სკანდალური განცხადება, რომელსაც მოსკოვის საგარეო უწყების საპროტესტო ნოტა და პანკისში ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა მოჰყვა, ლაშა ნაცვლიშვილმა სწორედ იმ პერიოდში გააკეთა.

ნაცვლიშვილი უშიშროების იმდროინდელი მინისტრის – ვალერი ხაბურძანიას განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და სამინისტროში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო. ის შევარდნაძის ხელისუფლების „რუხი კარდინალის“ – ნუგზარ საჯაიას გუნდის წევრად მოიაზრებოდა.

2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შემდეგ ერთ თვეში, ნაცვლიშვილმა აღიარა, რომ ჩეჩენი მებრძოლები რუსეთის ტერიტორიაზე პანკისის ხეობიდან გადავიდნენ და ასევე დასძინა, რომ საქართველო მიზანდასახულად არ უშლიდა ხელს ჩეჩენი მებრძოლების გადაადგილებას.

„ჩვენ მიზანმიმართულად ვიშორებთ დაუპატიჟებელ, არასასურველ შეიარაღებულ სტუმრებს, რუსეთიდან რომ გვესტუმრნენ. მათი სურვილი, რომ დაბრუნდე სამშობლოში, ბუნებრივია, და ჩვენ ამას ხელს არ ვუშლით“, – ნაცვლიშვილის ამ განცხადების შემდეგ რუსეთმა საქართველო ჩეჩენი ბოევიკებისთვის „მწვანე დერეფნის“ გახსნაში დაადანაშაულა.

ნაცვლიშვილის გვარი ფიგურირებს ასევე „ჭიათურმანგანუმის“ სკანდალთან დაკავშირებით. 2003 წელს „ჭიათურმანგანუმის“ მუშები გაუცემელი ხელფასების გამო გაიფიცნენ. ამ საქმის გამოძიება უშიშროების სამინისტრომ დაიწყო და მას პირადად ხაბურძანიას მოადგილე – ლაშა ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობდა. მალევე საბოტაჟისა და სამსახურეობრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაციის მმართველი გოგი ლეჟავა. დავით კორკოტაშვილი, რომელიც მაშინ ლეჟავას ადვოკატი იყო, დღესაც აცხადებს, რომ ლეჟავას დაკავება უკანონოდ მოხდა და ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული ჰქონდა.

იმდროინდელი პრესა წერდა, რომ ლეჟავას დაკავება საეჭვოდ დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს (2003 წლის საპარლამენტო არჩევნები). ჟურნალისტები მიანიშნებდნენ, რომ, ამ ხერხით შევარდნაძის ხელისუფლება ოპოზიციონერ მიხეილ სააკაშვილს მის პარ-

ტიას ებრძოდა, რადგან „ჭიათურმანგანუმი“ „ნაციონალური მოძრაობის“ სერიოზულ საყრდენ ძალად მიიჩნეოდა. პოლიტიკურ დევნაზე მიანიშნებდა თავად დაკავებული ლეჟავაც.

სწორედ „ჭიათურმანგანუმის“ თემას უკავშირდებოდა „60 წუთის“ მიერ გადაღებული ნაცვლიშვილის ფარული ვიდეო ჩანაწერი, სადაც ფინანსური გარიგება იყო აღბეჭდილი.

ლაშა ნაცვლიშვილი შევარდნაძის ხელისუფლებისა და სისტემის ნაწილად ბოლო დრომდე – „ვარდების რევოლუციამდე“ დარჩა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე პოპულარობადაკარგულმა სახელისუფლებო ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ ძალოვანი ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარ რიგებში მოუყარა თავი და ბევრი მათგანი მაჟორიტარ კანდიდატებად დაასახელა.

ამ ბლოკის სიით არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდნენ ყოფილი თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები: გია ყარყარაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი და ჯემალ გახოკიძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი. ამ არჩევნებზე მმართველი კოალიციის „ახალი საქართველოსთვის“ სახელით ლაგოდეხის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს ასევე უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნებზე ლაგოდეხელთა უმრავლესობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭირა მხარი, მაჟორიტარული ორთაბრძოლის მოგება ნაცვლიშვილმა დამაჯერებლად მოახერხა.

იმდროინდელი პრესა წერდა, რომ ლაშა ნაცვლიშვილმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბევრი ფული დახარჯა. მან დააფინანსა ადგილობრივი ტელევიზია, გაარემონტა რაიონში საავტომობილო გზების ნაწილი, გახსნა უფასო კინოთეატრი.

ინტერნეტ გამოცემა „სივილ ჯორჯია“ 2003 წლის 17 ნოემბერს წერს: „ოფიციალურად, ყველა კაპიტალდაბანდება (ტელევიზიის დაფინანსება, გზების რემონტი, კინოთეატრის გახსნა) ლაშა ნაცვლიშვილის მეგობრებმა განახორციელეს. მაგრამ იმავე დროს, თბილისის ოპოზიციური გაზეთების მონაცემებით, ლაშა ნაცვლიშვილი უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ჩინოვნიკი იყო“.

ამავე სტატიაში ჟურნალისტი კიდევ ერთ ფაქტს აღნიშნავს. „არჩევნების წინა საღამოს, როცა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ეთერში უნდა გაეშვა სიუჟეტი ლაშა ნაცვლიშვილზე, ლაგოდეხში ამ არხის ტრანსლირება შეწყვიტეს“.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველივე მოწვევის პარლამენტში ლაშა ნაცვლიშვილი „ახალი საქართველოსთვის“ სახელით, ლაგოდეხის მაჟორიტარის მანდატით მოხვდა.

თუმცა, მალევე, 2004 წელს იგი ბიზნესმენ ვალერი გელაშვილთან ერთად „რესპუბლიკური პარტიის“ რიგებს შეუერთდა და „რესპუბლიკელებისა“ და „კონსერვატორების“ მიერ შექმნილ საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტში“ გაწევრიანდა.

„რატომ არ უნდა მიგვეღო? ლაშა ნაცვლიშვილს იმას ვერ დაუწუნებდით, რომ საქართველოს უშიშროებაში მუშაობდა. ნაცვლიშვილს შევატყვეთ ლიბერალური იდეები. ყოველ შემთხვევაში, მისი საჯარო გამოსვლები ამას ადასტურებდა. იგი ძალიან განათლებული, ინტელექტუალი ადამიანია, რაც განსაკუთრებით შეუფერებელია იმ ბიოგრაფიისთვის, რომელიც მას ჰქონდა“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

„რესპუბლიკელებისა“ და ნაცვლიშვილის ოთხწლიანი პარტიული თანამშრომლობა 2010 წელს დასრულდა. თვითმმართველობის არჩევნებიდან ორიოდე დღეში ნაცვლიშვილმა უსუფაშვილის პარტია და ალასანიას „ალიანსი“ დატოვა და აღნიშნა, რომ უბრალოდ დაიღალა და პოლიტიკიდან მიდის.

ნაცვლიშვილი იშვიათად ჩანდა ეკრანზე და სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ინტერვიუებზეც იშვიათად თანხმდებოდა.

პოლიტიკას იგი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე დაუბრუნდა. თავდაპირველად იგი მხოლოდ გულშემატკივარი იყო, მოგვიანებით კი „ქართული ოცნების“ პარტიული სიის 24-ე ნომერი.

მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შემდეგ, ლაშა ნაცვლიშვილს ჟურნალისტებისთვის განცხადება არ გაუკეთებია. თუმცა, წინა დღეებში იგი აღნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაყოფის მომხრეა.

„დეცენტრალიზაცია მოხდება აუცილებლად და შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც დღევანდელი მონსტრი არ იარსებებს, მას ალბათ, უშიშროების სამსახურები გამოეყოფა. მოხდება ძალიან სერიოზული რეფორმა, რაც ყველაზე მთავარია, მოხდება ამ სტრუქტურის დეპოლიტიზაცია“, – განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა 4 ოქტომბერს ერთ-ერთ ინტერვიუში.

„ქართული ოცნების“ სამთავრობო პროგრამაშიც არის საუბარი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ფუნქციების გამოყოფაზე და სახელმწიფო უსაფრთხოების ცალკე სამსახურის შექმნაზე. თუ ეს ასე მოხდა, სავარაუდოდ, ამ სამსახურს სწორედ გამოცდილი კადრი – გენერალ-მაიორი ლაშა ნაცვლიშვილი უხელმძღვანელებს.

„ნაცვლიშვილი იქნება განსაკუთრებით დაუფასებელი მაშინ, როდესაც საქმე ეხება გათვლებს, სტრატეგიას. შს სამინისტროში უშიშროების მიმართულებით რომ გუშინ ჰარვარდდამთავრებულ ბავშვს არ დავნიშნავდით, ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო არავისთვის. ამ თანამდებობაზე გამოცდილი კადრია საჭირო. ასეთი ინტელექტუალი პროკურორები და ასეთი უშიშროების მუშაკები მე მეტი არ მინახავს. ის გამონაკლისი იყო იმ სისტემაში. შემიძლია გითხრათ, რომ ინტელექტის და განათლების თვალსაზრისით, ის ახლაც, ამ სისტემაშიც გამონაკლისია“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

მინისტრის მეგობარი

ზეთის, წამლის, ღვინის, ხორბლისა და ფქვილის წარმოება, ასევე მშენებლობა – ეს იმ ბიზნესების ჩამონათვალია, სადაც წილები ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობარს, ლუხუმ კაპანაძეს აქვს.

ნინო ზურიაშვილი, ცქრიალა შერმადინი

სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტურ გამოძიებაში, რომელიც 2012 წლის მარტში გამოქვეყნდა, სამი წყარო ადასტურებს ბიზნესმენ ლუხუმ კაპანაძის კავშირს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრთან. ეს წყაროებია:

1. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში თქვა, რომ ლუხუმ კაპანაძე მერაბიშვილთან დაკავშირებული პირი იყო;

2. ამასვე ადასტურებდა კაპანაძის ნათესავი, როდესაც იგი „მონიტორის“ ჟურნალისტებს კაპანაძის მშობლების სახლში შესვლამდე აფრთხილებდა, რომ „ესენი მაგარი ხალხი არიან, მერაბიშვილის ხალხი არიან“;

3. ბიზნესმენი სერგო ბერიძე, რომელიც, როგორც თავად აცხადებს, კაპანაძისა და მერაბიშვილის ბიზნეს ინტერესებს შეეჯახა და ამიტომ დაკარგა ბიზნესი. ბოლოს კი ციხეში რამდენიმე წლით მოხვდა კიდეც.

2012 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებულ ჟურნალისტურ გამოძიებაში ჩვენ აღვწერეთ კაპანაძის ფირმის – „ლემისე კომპანის“ – სხვადასხვა ბიზნესში მონაწილეობა. თუმცა, ლუხუმ კაპანაძე მხოლოდ „ლემისე კომპანით“ არ შემოფარგლულა. 2007 წლიდან ის ახალ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ბიზნეს კომპანიაში გამოჩნდა.

„ინტერპლასტი“

2006 წლის 25 დეკემბერს ლუხუმ კაპანაძემ და მოქალაქე დევი ოვაშვილმა 50-50 პროცენტიანი წილით შპს „ინტერპლასტი“ დააფუძნეს. 2008 წელს დევი ოვაშვილი გახდა პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“, იგი პარლამენტში ახალგორის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად შევიდა.

„ინტერპლასტი“ ლილოში 5 ჰექტარზე განლაგებული ქარხანა იყო, რომელიც სამშენებლო-სარემონტო მასალებს და მეტალოპლასტმასის ნაკეთობებს აწარმოებდა. ინტერპლასტს საქართველოს პრეზიდენტი რამდენჯერმე ესტუმრა.

2007 წლის მარტიდან ლუხუმ კაპანაძემ „ინტერპლასტში“ წილები მინიმალურ ფასად 100 ლარად გაასხვისა. გასაყიდი ფასის სიმცირემ გააჩინა ეჭვი, რომ წილების გადაცემას ფიქტიური ხასიათი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ როგორც „ინტერპლასტის“, ასევე „ლემისე კომპანის“ წილები პანამაში რეგისტრირებულ ერთსა და იმავე კომპანიებზე გადაფორმდა. ეს კომპანიებია „ABGILSTONE INVESTMENT“, „REMAX & CO“ და „LIMBOLTONE INTERNATIONAL“. კომპანიებს ერთი და იგივე დამფუძნებელი პირები ჰყავთ და მართვაზე უფლებამოსილნიც ერთი და იგივე პირები არიან. ამ გზით, როგორც „ლემისე კომპანის“, ისე „ინტერპლასტის“ ოფიციალური დამფუძნებლებიდან ლუხუმ კაპანაძე გაუჩინარდა.

ამის შემდეგაც „ინტერპლასტის“ წილები პარტნიორებს შორის არაერთხელ გადანაწილდა. ბოლოს მეწილეებში ძმები ცეზარ ჩოჩელი (13%-ით) და იაგო ჩოჩელი (10%-ით) გამოჩნდნენ. ცეზარ ჩოჩელი იმ პერიოდში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო.

„ინტერპლასტის“ ქონებით დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ კომპანია დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთებს ფლობდა. თბილისში აეროპორტის ტერიტორიაზე, ალექსეევკას დასახლებაში კომპანიას ჰქონდა სამი ნაკვეთი – 9,9 ჰექტრის; 2,7 ჰექტრისა და 1,3 ჰექტრის ფართობებით.

2,7 ჰექტრი მიწის ნაკვეთი „ინტერპლასტს“ 2008 წლის 13 ივნისს დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 567 000 ლარად მიჰყიდა. ზუსტად 2 კვირაში, 2008 წლის 25 ივნისს „ინტერპლასტმა“ იგივე ნაკვეთი 1 563 000 ლარად გაყიდა. აღნიშნული ნაკვეთი კომპანია „ელ ენდ კამ“ იყიდა. შემდეგი, თითქმის 10 ჰექტრის ფართობის ნაკვეთი „ინტერპლასტმა“ „საქკავშირისგან“ 2007 წლის სექტემბერში შეიძინა. ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთში „ინტერპლასტმა“ 1 მილიონ 569 ათას 100 ლარი გადაიხადა. მალევე, ეს ნაკვეთი „თიბისი ბანკში“ იპოთეკით დატვირთა და 3 200 000 აშშ დოლარი მიიღო. ეს მიუთითებს, რომ მიწის საბაზრო ფასი რეალურად უფრო მეტი იყო. მოგვიანებით „ინტერპლასტმა“ ეს ნაკვეთიც „ელ ენდ კა ჰოლდინგს“ 4 მილიონ ლარად გადასცა.

ამრიგად, პირველი მიწის ნაკვეთის შემთხვევაში „ინტერპლასტის“ მოგებამ ერთი მილიონი ლარი შეადგინა, მეორე მიწის ნაკვეთის შემთხვევაში კი – 2 420 941 ლარი.

კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც „ინტერპლასტმა“ 2004 წელს კერძო პირისგან შეისყიდა, ცოტნე დადიანის გამზირზე მდებარეობს. გასულ პერიოდში აქ ავტოსადგომი და კერამიკის ქარხანა მდებარეობდა. 816 კვადრატული მეტრი ნაძალადევის ცენტრში „ინტერპლასტმა“ 27 000 ლარად იყიდა. მოგვიანებით, ეს ნაკვეთი „თიბისი ბანკში“ გირაოთი დატვირთა და ბანკიდან კრედიტი აიღო. იპოთეკის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ამ მიწის ღირებულება 250 000 დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ინტერპლასტს“ ქონება საბაზრო ფასთან შედარებით 10-ჯერ ნაკლებად უყიდია.

ძვირადღირებული ნაკვეთები „ინტერპლასტმა“ წყნეთში ერთჯერადი გარიგებით ერთბაშად შეისყიდა. 2007 წელს კომპანიამ წყნეთში, ყოფილ სატყეო უბანში 21 ნაკვეთი შეიძინა. საგულისხმოა, რომ ნაკვეთის მფლობელმა პირებმა ეს ნაკვეთები საჯარო რეესტრში 2007 წელს, გაყიდვამდე რამდენიმე თვით ადრე, ერთდროულად დაირეგისტრირეს. 21-დან 20 ნაკვეთის მესაკუთრეს ერთი წარმომადგენელი – თამაზ კაპანაძე ჰყავდა. სწორედ მან დაარეგისტრირა რეესტრში მიწის ნაკვეთები. საკუთრების საფუძვლად კაპანაძემ 1998 წელს შპს „საქქალაქაგროსერვისის“ მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტები წარადგინა. რამდენიმე თვეში კი, 20-ივე ნაკვეთი წყნეთსა და თბილისში მცხოვრებმა ოცმა სხვადასხვა პიროვნებამ „ინტერპლასტს“ მიჰყიდა. ნიშანდობლივია ერთი რამ: ოცი ნაკვეთიდან თითოეული 1000 კვადრატული მეტრი ფართისაა და თითოეული 58 450 ლარად გაიყიდა. ოცივეს წარმომადგენელი, როგორც რეგისტრაციის, ასევე გაყიდვის დროს, თამაზ კაპანაძე იყო. იგი ლუხუმ კაპანაძესთან დაკავშირებულ ფირმებს, სხვადასხვა ორგანიზაციაში სხვა დროსაც წარმოადგენდა. წყნეთის მიწების შემთხვევაშიც ოცივე ნაკვეთი ყიდვისთანავე იპოთეკით დაიტვირთა. „ინტერპლასტმა“ „თიბისი ბანკში“ 30 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გახსნა და ამ მიწების სანაცვლოდ სესხი აიღო.

ჩვენ გადავწყვიტეთ წყნეთის ნაკვეთების მეპატრონეებს გავსაუბრებოდით. მათთან საუბარი ფარულად ჩავწერეთ. 20-დან ერთ-ერთმა ყოფილმა მესაკუთრემ, ქალბატონმა, რომლის ვინაობასაც არ ვამჟღავნებთ, გვითხრა, რომ ის სატყეო უბანში ნაკვეთს არ ფლობდა.

„ – მე არ გამიყიდია არაფერი.

– ეს ნაკვეთი თქვენი იყო?

– არა, არა“.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე მესაკუთრეს 1998 წლით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი ვაჩვენეთ, სადაც მისი ხელმოწერაცაა. მან გვითხრა, რომ ხელმოწერა მას არ ეკუთვნის.

„ – ეს თქვენი ხელმოწერა არ არის?

– არა, არა. თვითონ გააკეთა იმ ბიჭმა და მაგაზე რაღაც ძალიან დიდი პრობლემებიც შეექმნა.

– 98 წელი იყო?

– არა, ეგ იყო 2007-ში“.

ჩვენ სხვა მესაკუთრეებსაც მივაკითხეთ. ერთ-ერთი მესაკუთრე, რომლის სახელზეც დარეგისტრირდა ნაკვეთი, აცხადებს, რომ ის ამ ნაკვეთს არ ფლობდა და, შესაბამისად, არც ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხა – 58 450 ლარი – აუღია.

„ – არ მახსოვს და ძალიან იაფად გაიყიდა.

– ეს იყო სატყეო უბანში, ხომ?

– მე მგონი. ჩემი კი არ იყო, ისა რა ქვია, ჩემზე იყო დარიცხული, მაგრამ სხვისი იყო, ფიზიკურად.

– თქვენ არ გაგიყიდიათ ეს ნაკვეთი?

– არა.

– აბა, ვინ გაყიდა?

– არ ვიცი, რა ვიცი.

– იქ თქვენი პირადობაა?

– კი.

– თქვენ ვინმე მინდობილი პირი გყავდათ?

–კი.

– ვინ იყო?

– გვარი დამავიწყდა. არ მახსოვს ზუსტად გვარი.

– რამდენი ხანი ფლობდით თქვენ?

– 6 თვე, მე მგონი".

კიდევ რამდენიმე მესაკუთრეს, რომელსაც გავესაუბრეთ, იმის გახსენებაც კი გაუჭირდა, ფლობდა თუ არა, ანდა, გაყიდა თუ არა ნაკვეთი წყნეთის სატყეო უბანში. „მე მგონი", „ზუსტად არ მახსოვს" – ასე პასუხობდნენ ჩვენს შეკითხვებს. შეკითხვა კი ხუთიოდე წლის წინანდელ ყიდვა-გაყიდვას უკავშირდებოდა. უჩვეულო იყო ამ გამოკითხვაში ისიც, რომ გამოკითხულებმა სოლიდური თანხის მიახლოებითი ოდენობაც კი ვერ დაგვისახელეს, არადა, საქმე არცთუ მცირე თანხას, 58 000 ლარს ეხებოდა, რომლის აღებაც, წესით, ასე მალე არ ავიწყდება გამყიდველს.

როგორ დაარეგისტრირა ნაკვეთები ამ ადამიანების სახელზე და როგორ გაიყიდა მათი სახელით ეს ნაკვეთები, ისე, რომ მათ თანხები არ აუღიათ? – ამ კითხვით ჩვენ თამაზ კაპანაძეს მივმართეთ.

„მე უბრალოდ მინდობილობის საფუძველზე, საჯარო რეესტრში მივიტანე მეპატრონეების საბუთები, მე ვიყავი წარმომადგენელი „ინტერპლასტის" და არა – მესაკუთრეების. ჩვენ ინვესტორი გვყავდა მაგ ადგილებში და მე შევთავაზე მათ, რომ თუკი თქვენ ასე ჩქარა, 20 ადამიანი ვერ შეიკრიბებით და ერთბაშად ვერ გააკეთებთ, ეს ხომ ნოტარიუსში ერთ დღეს უნდა მოხდეს, არა? ამიტომ ჩვენ თვითონ გავაკეთეთ და მათაც გადაწყვიტეს, რომ (მიწებს) მათ სახელზე დავარეგისტრირებდი და შემდეგ ისევ შეისყიდა „ინტერპლასტმა". ეს თანხა მიიღეს მეპატრონეებმა.

– თუმცა, ჩვენ შევხვდით მეპატრონეებს, და ამიტომაც გვინდოდა თქვენთან შეხვედრა, ამბობენ, რომ ეს თანხა არ მიუღიათ.

– „ახლა, ჩემი გოგო, მომისმინე ახლა, მამა მყავს გარდაცვლილი და მაგის თავი არა მაქვს და ერთი კვირის შემდეგ შეგიძლია დამირეკო და გამესაუბრო.

– და თქვენ ბატონ ლუხუმ კაპანაძესთან რა კავშირი გაქვთ უშუალოდ, იმიტომ, რომ ხშირად ხართ მისი კომპანიების წარმომადგენელი.

– ვიცნობთ ერთმანეთს და ვიყავით ბიზნესპარტნიორები, სხვა რამე ნათესაური კავშირი არ გვაქვს, მაგრამ მოგვარეები ვართ", – გვითხრა თამაზ კაპანაძემ.

სამივე სოფლის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურაც „ნიუ ენერჯიმ" გამართა. დევნილთა საცხოვრებელი სახლების პროექტის დასრულებიდან ერთ წელიწადში, 2011 წლის 18 იანვარს, კომპანიის 70%-ის მფლობელი ლუხუმ კაპანაძე გახდა.

ლუხუმ კაპანაძემ კომპანიის 70% 700 000 ლარად იყიდა. არადა, მარტო დევნილების პროექტიდან წინასწარ გათვლილი მოგება 7 მილიონ ლარზე მეტი იყო.

სხვა ბანკებთან ერთად „ინტერპლასტი" „ქართუ" ბანკის კლიენტიც იყო. აქედან აღებული სესხის სანაცვლოდ „ინტერპლასტს" ქონების დიდი ნაწილი სწორედ „ქართუ" ბანკში ჰქონდა დაგირავებული. 2010 წელს „ინტერპლასტს" სახელმწიფოს წინაშე დიდი დავალიანება აღმოაჩნდა. მაშინ მოქმედი საკანონმდებლო ცვლილებით, რომელმაც სულ რამდენიმე თვე იმუშავა, თუკი კერძო კომპანიას საგადასახადო სამსახურების მიმართ დავალიანება აღმოაჩნდებოდა, სახელმწიფოს შეეძლო ბანკში გირაოს სახით შეტანილი მისი ქონება გაეყიდა, რადგან კანონმა ბანკთან და სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატეს მევალედ, სწორედ რომ, სახელმწიფო აღიარა. ასე მოხდა „ინტერპლასტის" შემთხვევაში, „ქართუში" გარანტის სახით შეტანილი უძრავი ქონება სახელმწიფომ გაყიდა, ამის გამო ბანკის ვალი უზრუნველყოფის გარეშე დარჩა. შეგახსენებთ, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მოქმედების ვადაში ბანკმა „ქართუმ", როგორც მისი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი იზარალა.

„ნიუ ენერჯი"

ლუხუმ კაპანაძის ბიზნეს ჯგუფის კიდევ ერთი საწარმო შპს „ნიუ ენერჯია". 2005 წლიდან 2011 წლამდე „ნიუ ენერჯის" ერთპიროვნული დამფუძნებელი ნიკოლოზ შაქარიშვილი იყო. 2006 წლიდან ამ კომპანიამ ასობით სახელმწიფო დაკვეთა განახორციელა. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაკვეთა კომპანიამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დევნილთა სახლების ასაშენებლად მიიღო. მაშინ პრეზიდენტმა მშენებლობის „სწრაფად და ეფექტურად ჩატარება" მისთვის ყველაზე სანდო მინისტრს, ვანო მერაბიშვილს, დაავალა. მერაბიშვილი მშენებლობასთან დაკავშირებულ პროცესებს წარმართავდა და შემოწმების მიზნით ადგილზეც ხშირად ჩადიოდა. სამშენებლო ფირმებს, მათ შორის, „ნიუ ენერჯისაც" საკითხის სასწრაფოდ მოგვარების, ანუ დევნილთათვის საცხოვრებლის უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულებები ტენდერის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის წესით გაუფორმეს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა თანხის ხარაჯვაზე მონიტორინგი ჩაატარეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" სპეციალური ანგარიში გამოსცა, სადაც აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე სულ 135 მილიონი ლარი გამოიყო. აქედან 95 მილიონი ლარი ვანო მერაბიშვილთან ასოცირებულმა კომპანია „ნიუ ენერჯიმ" მიიღო.

კომპანიას 2700 სახლი უნდა აეშენებინა წეროვანში, ფრეზეთში და წილკანში.

კვლევის მიხედვით, თითოეული სახლის მშენებლობისთვის სახელმწიფომ სხვა კომპანიებს 26 000 ლარიდან 28 000 ლარამდე გადაუხადა. „ნიუ ენერჯიმ“ კი, ერთი სახლის აშენებაში ყველაზე მეტი – 28 200 ლარი მიიღო.

სამივე სოფლის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურაც „ნიუ ენერჯიმ“ გამართა. დევნილთა საცხოვრებელი სახლების პროექტის დასრულებიდან ერთ წელიწადში, 2011 წლის 18 იანვარს, კომპანიის 70%-ის მფლობელი ლუხუმ კაპანაძე გახდა. ლუხუმ კაპანაძემ კომპანიის 70% 700 000 ლარად იყიდა. არადა, მარტო დევნილების პროექტიდან წინასწარ გათვლილი მოგება 7 მილიონ ლარზე მეტი იყო.

დევნილთა სახლების მშენებლობაზე კონტროლი მცხეთის მუნიციპალიტეტს და გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს ევალებოდა. „ნიუ ენერჯის“ მიერ აშენებული სახლების კონტროლისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტმა შპს „ექსპერტი“ დაიქირავა. „ექსპერტის“ წამომადგენელთა შეფასებით, „ნიუ ენერჯიმ“ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა, რომელსაც დევნილთა სახლების დეფექტების აღმოფხვრაზე ზედამხედველობა ევალებოდა, ასევე, დაადასტურა, რომ ყველა ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

ჩვენ მივაკითხეთ წეროვნის დასახლებას და იქ მცხოვრებ დევნილებს სახლების ხარისხზე გავესაუბრეთ. ადგილზე ექსპერტული შეფასებისგან რადიკალურად განსხვავებული სურათი დაგვხვდა.

„გარედან რომ შეხედო, ვიზუალურად ჩვეულებრივი სახლია, თავიდან, ერთი შეხედვით, ყველაფერი ლამაზი და კოხტა იყო, მაგრამ აგერ ლამინატს უკვე ეტყობა. არ არის ეგრეთ წოდებული „სტიაჟკა“ სწორად დაგებული და დაბრეცილ მდგომარეობაშია დაბლიდან და რომ თამაშობს, ფუჭდება ლამინატი. აგერ მაღლა ჭერი მივარდებოდა, მე თვითონ გავაკეთე, მივამაგრე“, – გვითხრა წეროვანში ჩასახლებულმა დევნილმა ვასო ტოტროვმა.

თითქმის ყველა სახლის აბაზანაში, სადაც შევედით, აყრილი მეტლახი და გაუმართავი წყალგაყვანილობა დაგვხვდა.

„ტუალეტში სარეცხსაც ვერ ვრეცხავ, რომ უარესად არ დალპეს. წყალი გაუქმებული გვაქვს სპეციალურად. იმიტომ, რომ ლპება აქაურობა“, – გვითხრა დევნილმა მანანა ნებიერიძემ.

„კედლები ყოველდღიურად იწმინდება და შავ ლაქას იკეთებს, სველია. ორი დღის წინ რაღაც გაიჭედა და ამოხეთქა, კანალიზაცია არის ამოხეთქილი, 7 თვეა ვეხვეწებით და არავინ პასუხს არ გვცემს“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დევნილმა ნოდარ გეგელაშვილმა.

„გამოინგრა კედლები, აი, აქ ტილო მეფარა. ქარი როცაა, მაღლა დგება ტილო. ესე იგი, ამოდის დაბლიდან ქარი. წვიმა როცა არის, მარტო წყალს კი არ ვხაპავ, ქვიშა, ყვითელ ქვიშიანი წყალი ამოდის, ე.ი. ქვიშა ყრია დაბლა. ცემენტიც, შეიძლება არ არის, არ ვიცი...“, – ამბობს დევნილი ოლია ჯახველაძე.

წეროვანში ჩასახლებული დევნილები ამბობენ, რომ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, რომელიც მათ სახლებში დაყენდა, უხარისხოა. კარ-ფანჯრის წარწერაზე კარგად იკითხება სიტყვა „ინტერპლასტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ სარემონტო სამშენებლო მასალები „ნიუ ენერჯის“ „ინტერპლასტისგან“ აქვს შეისყიდული. გამოდის, რომ დევნილთა სახლებისათვის გამოყოფილი 95 მილიონი ლარიდან თანხის გარკვეული ნაწილი „ნიუ ენერჯის“ გავლით „ინტერპლასტმაც“ მიიღო.

„რა ვიცი, სად იპოვეს, ალბათ, ყველაზე ბოლო ხარისხისაა ეს ფანჯრები, მე რაღაცეები მეხერხება, გავაკეთე და მაინც შემოდის ქარი, თუ ძალიან ძლიერი ქარია, სახლში ფარდები ქანაობენ. ფანჯარა კი იმისთვის გინდა, რომ ქარისგან იყვე დაცული“, – გვითხრა ვასო ტოტროვმა.

კაპანაძესთან და მის ბიზნესთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილისგან არა ერთხელ, თუმცა, უშედეგოდ, ვცადეთ კომენტარის მოპოვება. „მონიტორის“ სახელით „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა საბა წინიკაშვილმა მოახერხა გორში წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჩასულ (იმჟამად უკვე პრემიერ-მინისტრ) მერაბიშვილისთვის კითხვის დასმა, თუმცა პასუხი ვერც ამჯერად მივიღეთ. „არ ვაკეთებ განცხადებას“ – ასე უპასუხა კაპანაძეზე, „ნიუ ენერჯიზე“ და დევნილთა საცხოვრებელი პირობების შესახებ დასმულ შეკითხვებს მერაბიშვილმა.

როგორც „ნიუ ენერჯის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, მათ 240 პროექტი აქვთ განხორციელებული. „ნიუ ენერჯიმ“ სახელმწიფო შესყიდვები გზების მშენებლობისთვის ბათუმში, ხონში, სენაკში, თელავში, საგარეჯოში და თბილისშიც მიიღო.

კომპანიამ წყალსადენების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტები შეასრულა ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, დუშეთში, მარნეულში, ოზურგეთში, ტყიბულში, გორში, ლანჩხუთში, ახმეტაში, საგარეჯოში, ნიქოზში, წეროვანში, მცხეთაში, თელავში და თბილისში. პროექტები ჯამურად რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაჯდა.

გასულ წელს ანაკლიაში სატუმბი ქსელის მშენებლობისათვის „ნიუ ენერჯის“ მილიონ ლარად შეფასებული შეკვეთა სახელმწიფო შპს-მ „კოლხეთი ემ“-მა მისცა. 12 800 000 ლარის შეკვეთა „გაზის საერთაშორისო კორპორაციამ“ „ნიუ ენერჯის“ წითელი ხიდი-საგურამოს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობისთვის მისცა.

2012 წლის 2 ნოემბერს ახლად დანიშნულმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ კომპანია „ნიუ ენერჯის“ ვალდებულებები არ შეუსრულებია, რის გამოც ის ფინანსთა სამინისტროს მიმართავს და „ნიუ ენერჯის“ ფინანსური მდგომარეობის შესწავლას სთხოვს.

„ნიუ ენერჯის“ მფლობელობაშია ბათუმში, ხიმშიაშვილის N13-ში მდებარე რესტორანი „აკროპოლისი“. მიწა აჭარის მთავრობამ „ნიუ ენერჯის“ 29 წლით აღნაგობის უფლებით გამოუყო. ფეშენებელური რესტორანი პირდაპირ ზღვას გადაჰყურებს.

სხვა კომპანიები

„ინტერპლასტისა“ და „ნიუ ენერჯის“ გარდა ლუხუმ კაპანაძეს წილები სხვა საწარმოებშიც აღმოაჩნდა.

„ბერტა“. ერთ-ერთია კომპანია „ბერტა“. აქ მისი თანამეწილეები არიან მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი და ნიკოლოზ შაქარიშვილი. კომპანიონებმა შპს „ბერტა“ 2009 წლის მარტში დააფუძნეს. „ბერტაში“ ძირითადად სარეცხი ფხვნილი და თხევადი სარეცხი საშუალებები იწარმოება.

„ბარამბო“. ამავე ბიზნეს ჯგუფმა 2009 წელს კიდევ ერთი საწარმო, ტკბილეულის და შოკოლადის ქარხანა „ბარამბო“ დააარსა. პარტნიორები წილებს შემდეგნაირად ინაწილებენ: ლუხუმ კაპანაძე – 22,5%; იაგო ჩოჩელი – 66,25 %, ნიკოლოზ შაქარაშვილი – 11,25%.

მოვიძიეთ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ „ბარამბო“ სახელმწიფო შესყიდვებს იღებდა. 2011 წლის 11 და 15 მარტს „ბარამბომ“ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ნახევარ მილიონ ლარზე მეტი შეკვეთა მიიღო. ამ ფულით შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომლებისათვის შოკოლადები შეიძინა. კიდევ ნახევარი მილიონი ლარის შოკოლადი „ბარამბოსგან“ 2011 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ შეისყიდა.

2012 წლის თებერვლის თვეში კიდევ ერთი ხელშეკრულება გაფორმდა „ბარამბოსა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. ამ შემთხვევაში შსს-მ ბარამბოსგან 569 999 ლარის ტკბილეული შეიძინა.

„ლ-ნ“. მესამე კომპანია, სადაც ლუხუმ კაპანაძის ინტერესები დაფიქსირდა შპს „ლ-ნ“-ია. იგი 2007 წელს ნუგზარ წულუკიძემ დააფუძნა. 2009 წლის 9 დეკემბერს კი წილის 100 % წულუკიძემ კომპანია „ნიუ ენერჯის“ მიჰყიდა. სწორედ „ნიუ ენერჯიმ“ მოახდინა ახალციხის გაზიფიკაცია, ხოლო შემდეგ მისი შვილობილი „ლ-ნ“-ის მეშვეობით ლიცენზია აიღო და დღემდე ამავე რაიონში გაზის დისტრიბუტორია.

„ხოხობი“. ლუხუმ კაპანაძის კიდევ ერთი საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოხობია“, რომელიც 2004 წელს დაფუძნდა. დამფუძნებლები არიან: ლუხუმ კაპანაძე – 50 %; ლუხუმის ძმა უჩა კაპანაძე – 10%; თამაზ კაპანაძე – 20%, ბონდო დავითაშვილი – 10%, გოჩა კურტანიძე – 20%.

ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 7 ნოემბრის ბრძანებით, შპს „ხოხობს“ გადაეცა სს „ორიონის“ ტერიტორია და შენობები. „ორიონი“ მუხიანში მდებარეობს 25 267 კვადრატულ მეტრ მიწაზე. ქარხანა ისეთივე მდგომარეობაშია, როგორიც ყიდვის დროს იყო. არანაირი ინვესტიცია აქ არ განხორციელებულა. შპს „ხოხობის“ მიწა, ისევე როგორც „ინტერპლასტის“ ქონების ნაწილი, „ქართუ“ ბანკში სესხის სანაცვლოდ იყო ჩადებული. მას შემდეგ, რაც ლუხუმ კაპანაძის ფირმებს საგადასახადო დავალიანება აღმოაჩნდათ, შემოსავლების სამსახურმა ქონება იძულებით აუქციონზე გაყიდა, ბანკი „ქართუს“ სესხი კი, უზრუნველყოფის გარეშე დარჩა.

„მზიური საქართველო“. კიდევ ერთი წარმატებული კომპანია, რომელსაც ლუხუმ კაპანაძე ფლობს, კომპანია „მზიური საქართველოა“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მზიური საქართველო“ ლუხუმ კაპანაძემ 2010 წლის 19 ოქტომბერს შვეიცარიულ კომპანია „რისოლთან“ ერთად დააფუძნა. წილები ლუხუმ კაპანაძემ და „რისოლმა“ თანაბრად გაიყვეს. „მზიური საქართველო“ საქართველოში ცხიმების და ზეთების იმპორტს ეწევა.

„სპეროზა“. ლუხუმ კაპანაძემ 2007 წლის 26 ივნისს შპს „სპეროზაში“, რომელიც თხევადი აირის ბიზნესით იყო დაკავებული, 30%-იანი წილი 300 დოლარად მერაბ კალანდაძისაგან შეიძინა. „სპეროზას“ ავტოგასამართი სადგური ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელიც თხევად აირზე მყოფ ავტომობილებს ემსახურება. ჩვენ ვერ გადავამოწმეთ მერაბ კალანდაძესთან ეს საკითხი, რადგან ის სასჯელს იხდის და საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება.

„ულევი ტერმინალი“. ლუხუმ კაპანაძემ მერაბ ყუფუნიასთან და გიორგი ლეჟავასთან ერთად კიდევ ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ულევი ტერმინალი“ დააფუძნა. ამ ბიზნეს ჯგუფიდან ერთ-ერთი, გიორგი ლეჟავა შპს „ულევი ჯგუფის“ 100%-იანი მეწილეცაა. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ჩანს, რომ ორივე ორგანიზაციის დირექტორი ვლადიმერ ვაშაკიძეა. ახალციხის რაიონში, კერძოდ ვალეში, სარკინიგზო ხაზის მიმდებარე ტერირტორიაზე 2012 წლის თებერვლიდან „ულევი ჯგუფი“ 25 ათას კვადრატულ მეტრ ფართს ფლობს.

ლუხუმ კაპანაძემ „ლემისე კომპანის“ მეშვეობით 14 საწარმოს დაფუძნება და ამოქმედება შეძლო. 2007 წლიდან ის უკვე ახალ ბიზნეს პარტნიორებთან ერთად გამოჩნდა და კიდევ 8 საწარმო დააფუძნა. ბიზნესების უმრავლესობა წარმატებული აღმოჩნდა. ლუხუმ კაპანაძისგან განსხვავებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ათასობით ბიზნესმა არსებობა შეწყვიტა, ზოგმა კრედიტი ვერ დაფარა, ზოგმა – საგადასახადო ჯარიმა. ის, რაც ვერ შეძლო მეწარმეების დიდმა ნაწილმა, შეძლო მინისტრის მეგობარმა.

2012 წლის 2 ნოემბერს ახლად დანიშნულმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ კომპანია „ნიუ ენერჯის“ ვალდებულებები არ შეუსრულებია, რის გამოც ის ფინანსთა სამინისტროს მიმართავს და „ნიუ ენერჯის“ ფინანსური მდგომარეობის შესწავლას სთხოვს.

ფოტო: ზვიად ნაკერლიანის

ირინა ენუქიძე სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯას ითხოვს, 6 ივნისი 2006

ირინა ენუქიძის პატივსაცემად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა მისი არჩევის დღეს მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ „სურს სათანადოდ უზრუნველყოს ქალბატონი ირინა ენუქიძის ხსოვნის დაფასება“.

თუმცა ის პირები, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმის გაყალბებაში მონაწილეობდნენ – შოთა გენგაშვილი და გიორგი ღვინიაშვილი დღემდე მაღალ თანამდებობებს ინარჩუნებენ.

ზურაბ ვარდიაშვილი

„მინდა სათანადოდ უზრუნველვყოთ ქალბატონი ირინა ენუქიძის ხსოვნის დაფასება. ახლა მეტს არ ვიტყვი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვალში ვართ ირინა ენუქიძესთან, ჩვენი დროის გამორჩეულ ქართველ დედასთან. სულ მქონდა სურვილი, რამე ისეთი გაგვეკეთებინა, რაც ამ სახელს და გვარს შეეფერება. მით უმეტეს, რომ აქ ერთ შემთხვევაზე კი არა, არამედ, გაცილებით დიდ თემაზე, დიდ პრობლემაზე ვსაუბრობთ, რომელიც, ერთი მხრივ, პრობლემაა და მეორე მხრივ, ადამიანობის, მოქალაქეობის და კიდევ ბევრი რამის სტანდარტი“.

ეს არის ფრაგმენტი სიტყვიდან, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა საკანონმდებლო ორგანოს პირველ პირად მისი არჩევის დღეს წარმოთქვა.

გირგვლიანის პროცესზე ბრალდების მხარეს ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე შოთა გენგაშვილი წარმოადგენდა. ის პროცესის შემდეგ დააწინაურეს და ვაკე-საბურთალოს მთავარ პროკურორად გადაიყვანეს. ვაკე–საბურთალოს სამმართველოდან გენგაშვილმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსად გადაინაცვლა. ხოლო როდესაც საგამოძიებო დეპარტამენტი, რამდენიმე სხვა დეპარტამენტთან ერთად შემოსავლების სამსახურს გამოეყო და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა, ყოფილი პროკურორი სამსახურის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ის თანამდებობას დღემდე ინარჩუნებს.

გენგაშვილი პროცესზე გამოდიოდა, მისი უშუალო ხელმძღვანელი კი თბილისის მაშინდელი პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი იყო, რომელიც შემდეგ კახეთის გუბერნატორად გადაიყვანეს. ახლა კი მერვე მოწვევის პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს.

სტრასბურგის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ქართული სასამართლოების ქმედებებსაც აკრიტიკებს. საქალაქო სასამართლოში პროცესებს მოსამართლე გიორგი ჩემია უძღვებოდა. ჩემია კვლავ მოსამართლეა.

ფაქტობრივი გარემოებები

2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით შუადღის 3 საათზე, 28 წლის სანდრო გირგვლიანის ნახევრად შიშველი ცხედარი თბილისის შემოგარენში, სოფელ ოქროყანის სასაფლაოსთან ახლომდებარე ტყეში, თოვლში იპოვეს.

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ყველაზე გახმაურებულმა კრიმინალურმა საქმემ და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა საქართველოს მაშინდელი მთავრობის პოლიტიკის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ამ საქმემ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ზოგადად, მთავრობის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების სიმტკიცე ეჭვქვეშ დააყენა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გვამის გაკვეთის შედეგად დაწერილი დასკვნის მიხედვით, „მსხვერპლს ყელზე მჭრელი ნივთით მიყენებული ჰქონდა 12 სხვადასხვა ზომის ჭრილობა, ხოლო ერთი დაზიანება მარცხენა მხარზე აღენიშნებოდა. ყელზე მიყენებული სამი ჭრილობა საკმარისად ღრმა იყო იმისათვის, რომ კუნთების დაზიანება გამოეწვია. ერთ-ერთი მათგანი 0.5 სმ დიამეტრის იყო და ხახამდე აღწევდა. სახელმწიფო ექსპერტის თქმით, რომელმაც ყელიდან აღებული კანის ნიმუში შეამოწმა, ჭრილობები მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი საგნით, სავარაუდოდ, დანით იყო მიყენებული. მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე და წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ, ასევე აღმოჩენილ იქნა მრავალრიცხოვანი, 4-15 სმ სიგრძის ჭრილობები“

ექსპერტების თქმით, სიკვდილი ხახის არეში მიყენებულმა ორმა ჭრილობამ გამოიწვია. მსხვერპლი ასფიქსიით გარდაიცვალა, როდესაც ხახის ჭრილობიდან სისხლი სასუნთქ მილში გადაიღვარა.

21 თებერვალს სანდრო გირგვლიანის დედამ, ირინა ენუქიძემ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მისი შვილის მკვლელობის დაგეგმვაში ბრალი დასდო. 6 მარტს სამინისტროს 4 თანამშრომელი – გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილური, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილები, დააპატიმრეს.

რას ასკვნის სტრასბურგის სასამართლო?

გირგვლიანის საქმემ ქართული სასამართლოს ყველა ინსტანცია გაიარა და ბოლოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღმოჩნდა.

2011 წლის 26 აპრილს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ხელისუფლებას მოსარჩელეების-

თვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50 000 ევროს გადახდა დაეკისრა. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, „ის გაოგნებულია იმ ფაქტის გამო, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ გაერკვიათ საქმის რამდენიმე ძირითადი გარემოება“.

„ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც პროკურატურამ დაუშვა, არის მისი ჯიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას დაბეჯითებით ითხოვდნენ“.

„სასამართლო ასევე გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია სანდრო გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების, განსაკუთრებით, ყელის არეში მიყენებული ჭრილობების გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჭრილობათა უმრავლესობა, მათ შორის, ხახის არეში მიყენებული ფატალური ჭრილობა მიყენებული იყო მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი საგნით, შესაძლოა დანით, პროკურატურამ თავი არ შეიწუხა, რათა გამოეძიებინა და აეხსნა, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, თუ როგორ, რომელი მჭრელი იარაღით და ოთხი ბრალდებულისგან რომლის მიერ იქნა მიყენებული ეს ჭრილობები“

„სასამართლო ასევე საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა – უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის სათავეში დ. ა-აიას ძმა იდგა – არ უზრუნველყვეს ოთხი ბრალდებულის სხვადასხვა საკნებში მოთავსება, რასაც იმ დროს ცალსახად მოითხოვდა „პატიმრობის შესახებ“ კანონის 86/2 მუხლი. განურჩევლად იმისა, შეათანხმეს თუ არა ამის წყალობით ბრალდებულებმა ერთმანეთთან თავიანთი ჩვენებები, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ კანონის ასეთი აშკარა უგულებელყოფა ვერაფრით შეუწყობდა ხელს გამოძიების მიმართ განმცხადებლებისა და მთლიანად საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. ყველა ზემოთ აღწერილი მოსაზრება საკმარისია სასამართლოსათვის, რათა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გამოკვლევის გარეშეც დაასკვნას, რომ საქმის გამოძიების იმ ნაწილს, რომელიც ქ. თბილისის პროკურატურაში ჩატარდა, აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერება“.

„პროკურატურამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა დაზარალებულების ინტერესები და უზრუნველეყო

„ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც პროკურატურამ დაუშვა, არის მისი ჯიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას დაბეჯითებით ითხოვდნენ“.

გამოძიებაზე ჯეროვანი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება“.

„განმცხადებლებს (გირგვლიანის ოჯახს) არ მიუწვდებოდათ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ არცკი შეატყობინა მათ თუ რა დასკვნებამდე მივიდა ის იმ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რომლებიც მათ გარეშე ჩატარდა“.

„სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორმა დაამახინჯა მოწმის განცხადებები საგამოძიებო მოქმედების ოქმში. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ მომჩივნების გამუდმებული მოთხოვნების მიუხედავად, პროკურატურამ, გამოძიების მიზნებისათვის, არ გამოავლინა და არ დაკითხა ის პირები, რომლებთანაც დანაშაულის ღამეს კავშირი ჰქონდათ, როგორც ოთხ მსჯავრდებულს, ისე კაფეში მსხდომ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს. ასეთი ზომების მიღება აუცილებელი იყო, რათა შემოწმებულიყო მომჩივნების განცხადებები იმის შესახებ, რომ არსებობდა რაღაც დანაშაულებრივი კავშირი დანაშაულის უშუალო აღმსრულებლებსა და კაფეში მყოფ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს შორის“.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი შალვა შავგულიძე პარლამენტის დეპუტატია კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. მისი თქმით, გირგვლიანის საქმეში სახეზე ორი დამამძიმებელი გარემოება იკვეთებოდა: – რადგან მკვლელობა ჩადენილი იყო განსაკუთრებული სისასტიკით და თანაც პირთა ჯგუფის მიერ.

„თუმცა პროკურატურამ საქმე ისე დააკვალიფიცირა, თითქოს განზრახვა მხოლოდ სხეულის დაზიანება იყო და სასიკვდილო შედეგი გაუფრთხილებლობის გამო დადგა“.

მაშინ დაცვის მხარე სუფრის წევრებსა და შემსრულებლებს შორის სატელეფონო საუბრის ამოღებას ითხოვდა. სუფრის წევრები იყვნენ: – კუდ-ის თავმჯდომარე დათა ახალაია, შსს-ს გენინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, – შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი გურამ დონაძე, ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია და შსს-ს ოფიცერი ოლეგ მელნიკოვი.

აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარემ მოიპოვა სასამართლოს განკარგულება, რომლის საფუძველზეც თბილისის პოლიციამ სატელეფონო საუბრები ამოიღო, სასამართლოს წარუდგინა და ამ უკანასკნელმა კანონიერადაც ცნო. თუმცა ეს მტკიცებულებები შემდეგ საქმიდან გაქრა. პროკურატურამ, სატელეფონო საუბრები ხელახლა გამოითხოვა, თუმცა „აბსოლუტურად ფრაგმენტულად.“

შალვა შავგულიძე პარლამენტის თავმჯდომარის პათოსს იზიარებს და ამბობს, რომ საქმე გადაისინჯება და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს „მართლმსაჯულების აღსრულება – სწორედ ეს იქნება ირინა ენუქიძის ხსოვნის პატივისცემა.“

THE 13th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

13th თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012

www.tbilisifilmfestival.ge

ისევ უსახლკაროდ

საპარლამენტო არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ დევნილებმა 40-მდე კერძო და სახელმწიფო ობიექტი დაიკავეს. ისინი შენობების დატოვებას არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. ჯერჯერობით ბუნდოვანია ახალი მთავრობა დროულად მოახერხებს თუ არა ამ ადამიანების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებას.

სოფო აფციაური

ფოტო: ბორის ბოგუა

აფხაზეთიდან დევნილი ლალა ცინდელიანი ექვს შვილთან და მეუღლესთან ერთად უკვე ათი დღეა თამარაშვილის ქუჩაზე, ყოფილი სამხედრო ოლქის შენობაშია შესული.

აქ 2010 წლამდე 700-მდე დევნილი ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც, 2010 წლის 11 აგვისტოს დილის 7 საათზე პატრულის თანამშრომლებმა შენობიდან იძულებით გამოასახლეს. ამის შემდეგ, ობიექტი „თიბისი ბანკმა“ შეიძინა და როგორც ბანკის ოფიციალური განცხადებიდან ვიგებთ, მისი რეკონსტრუქცია 2012 წლის ბოლოსთვის იგეგმება. სამხედრო ოლქის ყოფილი შენობა თითქმის დანგრეულია. არ აქვს ფანჯრები, კარი, მოშლილია სველი წერტილები.

ლალი ცინდელიანმა ერთი ოთახი ოჯახთან ერთად პირველ სართულზე იმ იმედით დაიკავა, რომ ახალი მთავრობისგან ამჯერად მაინც მიიღებს კუთვნილ თავშესაფარს.

ის აფხაზეთის ომის შემდეგ 14 წელი ხან ნათესავთან, პერიოდულად კი, ქირით ცხოვრობდა. ბოლო 6 წელია დიდ ლილოში, ყოფილი საქნავთობის შენობაშია დასახლებული. ცინდელიანი ჰყვება, რომ მთელი ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფოს დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, თუმცა, ყურადღება არ მიუქცევიათ: „პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც კი იმდენი განცხადება და თხოვნის წერილი შევაგზავნე, რომ ალბათ, ერთ დიდ ოთახს გაავსებდა. იქნებ ახლა მაინც ვინმემ მოგვხედოს, ასე გაუსაძლის პირობებში დიდი ხანი ვეღარ ვიქნებით“ – ამბობს ცინდელიანი. მეუღლე ლილოს დასახლებაში საქონელს უვლის და თვეში დაახლოებით 170 ლარის ოდენობის შემოსავალი აქვს.

„ისიც არ მინდა, რომ ექვს ბავშვს პირიდან ლუკმა გამოვაცალო და ჩემი მეუღლის ხელფასი ქირაში ვიხადოთ. არადა, ლილოს დასახლებაშიც ისეთი პირობებია, რომ ყოველ ორ თვეში ერთხელ ბავშვები რეანიმაციაში მყავს. ხან ერთი ცივდება, ხან მეორე“, – ამბობს ცინდელიანი.

მასთან ერთად ყოფილი სამხედრო ოლქის შენობა რამდენიმე ათეულ ადა-

მიანს აქვს დაკავებული. თამარ უჩავა თავის შვილ, რუსტამთან ერთად „ლიბერალს“ თავის ისტორიას უყვება და ამბობს, რომ როდესაც 90-იან წლებში მეუღლე აფხაზებმა მოუკლეს, შვიდი წლის შვილთან ერთად აფხაზი მეზობლის დახმარებით ფსოუს საზღვრის გავლით, სოჭში გადავიდა.

ორი თვის განმავლობაში აეროპორტის შენობაში ცხოვრობდა, რის შემდეგაც იქვე ბინა იქირავა, შვილს სამხატვრო სკოლაში დააწყებინა სწავლა და მოქალაქეობის მისაღებად საბუთების მოწესრიგება დაიწყო. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შვილთან ერთად ყველაფრის მიტოვება და საქართველოში დაბრუნება მოუწია.

„აგვისტოს ომის დროს სააკაშვილი ერთ-ერთი რუსული ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, ოღონდ დაბრუნდით საქართველოში და საცხოვრებელი პირობებით დაგაკმაყოფილებთო. რას ვიფიქრებდი, რომ აქ ამხელა გაჭირვების გადატანა მომიწევდა. 2009 წლის 14 სექტემბერს დევნილის სტატუსი გავიფორმე. ზუგდიდში, ფოთში დავრეგისტრირდი, მაგრამ არაფერი, დღემდე ყურადღება არავის მოუქცევია. ჩემი პენსიით სესხი ავიღე და იმით ვარსებობთ დღემდე. არ ვიცი, თუ კიდევ არავინ დაგვეხმარება, დავჯდები სამინისტროს კიბესთან და შიმშილს დავიწყებ, სხვა გამოსავალი აღარ მაქვს. რუსეთში გაზრდილი შვილი ჩამოვიყვანე ამ სიდუხჭირეში და მრცხვენია ჩემს ბიჭთან, მოვწყვიტე თავის საქმეს, იქ მაინც პატარა შემოსავალი ჰქონდა“ – ჰყვება თამარ უჩავა.

დევნილებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თბილისში დაახლოებით 40 კერძო და სახელმწიფო ობიექტი დაიკავეს. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დევნილი ოჯახების აღრიცხვა დაიწყო. მათ საჭიროებებს 6 სამუშაო ჯგუფი სწავლობს.

თუმცა, პრემიერის პირველი კომენტარი ბრალდებას ჰგავდა: „იცით, როგორც ვითარდება ეს პროცესები. ვფიქრობ, რომ არა — შემთხვევით. ბევრი შეჭრა ხდება დევნილების მიერ. ეს ფაქტი ძალიან ჰგავს, რომ ყველაფერი გარკვეული ჯგუფების მიერაა ორგანიზებული და ამას გამოძიება სჭირდება“, – ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა 31 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე გააკეთა და დევნილების მიერ ფართების დაკავების ფაქტზე გამოძიება და ობიექტებში შესული დევნილი ოჯახების აღრიცხვა მოითხოვა.

ივანიშვილის დავალებით, სამუშაო ჯგუფები დევნილ პირებს ადგილზე სპეციალურ კითხვარს ავსებინებენ. კითხვარი პირველად მონაცემებს მოიცავს. ასევე, ინფორმაციას სოციალურად დაუცველი, შშმ პირების შესახებ.

შესწავლილი ოჯახების მონაცემები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეგზავნება. სამინისტრო კი იმ პირთა სიას დაადგენს, ვისაც საცხოვრებელი ფართის გამოყოფა ესაჭიროება. ჯერჯერობით უცნობია, დააკმაყოფილებს თუ არა სახელმწიფო დევნილთა მოთხოვნებს.

სახელმწიფომ დევნილთა განსახლების პროცესი 2009 წელს დაიწყო. ამ წლების განმავლობაში ოფიციალური უწყება იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინით უზრუნველყოფის საკითხზე ინტენსიურად მუშაობდა. მიუხედავად ამისა, ათასობით დევნილი ოჯახი კვლავ საცხოვრებლის გარეშეა და სახელმწიფოსგან ადეკვატურ დახმარებას ითხოვენ.

მონიტორინგის ჯგუფში ჩართული ორგანიზაციები ამბობენ, რომ აღნიშნულ ობიექტებში ძირითადად, ის დევნილი ოჯახები არიან, რომლებსაც სახელმწიფოსგან ამ დრომდე დახმარება არ მიუღიათ და ე.წ კერძო სექტორის კატეგორიას მიეკუთვნებიან.

„კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილები ის პირები არიან, რომლებიც დევნილობის დაწყებიდან დღემდე, ნათესავებთან ან ქირით ცხოვრობენ.

გეგმის მიხედვით, რომელიც სახელმწოფომ 2008 წელს შეიმუშავა, „კერძო დევნილების“ მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ ბოლო ეტაპზე იგეგმება. კონკრეტულად კი, სახელმწიფომ მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა 2014 წლიდან უნდა დაიწყოს. თუმცა, სამოქმედო გეგმაში ხაზგასმითაა ნათქვამი,

ფოტო სოფო ჯაფარიძე

რომ ამისთვის დამატებითი ფინანსური სახსრებია საჭირო.

ერთადერთი კვლევა, რომელშიც ე.წ. კერძო დევნილების მდგომარეობაა აღწერილი, სახალხო დამცველის აპარატს ეკუთვნის.

ანგარიშში საუბარია, რომ „კერძო სექტორის“ მცხოვრები დევნილების მდგომარეობით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ნაკლებად ინტერესდება, გაცილებით მეტი ყურადღება კოლექტიური განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს ექცევათ.

ომბუდსმენმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოუწოდა, რომ შეიქმნას დევნილების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დეტალურად გაწერს ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს. ასევე, მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპით განხორციელდეს

„კერძო სექტორის“ მცხოვრები დევნილების მდგომარეობით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ნაკლებად ინტერესდება, გაცილებით მეტი ყურადღება კოლექტიური განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს ექცევათ.

ამ პირთა ხელახალი რეგისტრაცია.

კერძო სექტორის დევნილების ნაწილი სამინისტროს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს. „ეს განპირობებულია იმით, რომ დევნილები საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიან. ამის უმთავრეს მიზეზად კი ქირის გადაუხდელობას ასახელებენ“. – ვკითხულობთ 2010 წლის კვლევაში.

2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში არსებული 1600 კომპაქტური განსახლების ობიექტიდან 544 ობიექტი სახელმწიფომ დევნილებს გადასცა.

დარჩენილი 1044 ობიექტიდან 596 კოლექტიური ცენტრი დევნილთა საკუთრება უნდა გამხდარიყო, 446 კი უნდა გამოთავისუფლებულიყო.

დღეს დევნილთა სამინისტრო აცხადებს, რომ პირველი ეტაპის სამუშაოები თითქმის დასრულებულია და 446 ობიექტიდან თითქმის 99% გამოთავისუფლებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა 446 ობიექტში მცხოვრებ ყველა ოჯახს ალტერნატიული ფართი შესთავაზეს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ახლა „კერძო სექტორის“ დევნილების დაკმაყოფილების ჯერია.

საიას იურისტი ნონა ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ მართალია დევნილთა მიერ ობიექტების დაკავება უკანონო ქმედებაა, მაგრამ, შესაძლოა, ამ პირთა ქმედებები მთავრობის მიერ არაერთხელ შემუშავებული გეგმის არათანმიმდევრული და არაეფექტური გზებით განხორციელებით იყოს გამოწვეული.

„პირველად სამოქმედო გეგმა 2007 წელს შემუშავდა. თუმცა, საბოლოოდ 2009 წელს დამტკიცდა. ამ სამოქმედო გეგმაში ეწერა, რომ 2012 წლის ბოლოსთვის დევნილთა ოჯახები საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდებიან, თუმცა, გეგმის განხორციელებამ 2014 წლის ბოლოსთვის გადაინაცვლა. დევნილთა პროტესტის მიზეზი, შესაძლოა, სტრატეგიული გეგმის ნელი ტემპით განხორციელება გახდა“ – ამბობს ნონა ქურდოვანიძე.

აფხაზეთიდან დევნილი თამარ უჩავა კი, რომელიც ამ დრომდე შვილთან ერთად ყოფილი სამხედრო ოლქის შენობაში რჩება, 2 ნოემბერს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს შეხვდა. უჩავას თქმით, დავით დარახველიძემ დევნილებს განუცხადა, რომ მათი პრობლემების გადასაჭრელად, სახელმწიფოს დაახლოებით ოთხი წელი დასჭირდება: „არ მესმის, კიდევ როგორ საუბრობენ, რომ ჩვენი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება მხოლოდ 4 წელიწადშია შესაძლებელი. სად წავიდეთ და რით ვიარსებოთ ეს ოთხი წელი, ისედაც ამდენი ხანია გაუსაძლის პირობებში ვართ?“ – საუბრობს „ლიბერალთან“ თამარ უჩავა და ახალ მთავრობას სთხოვს, დევნილების პრობლემების მოგვარება ისევ სამომავლო საქმედ არ იქცეს.

ხლინიკა ეხთი წლის შემდეგ

ღუდუშაურის ეროვნული ცენტრის გასხვისებიდან ერთი წელი გავიდა. კლინიკის ყოფილი და ამჟამინდელი ექიმების თქმით, ძველ პრობლემებს გადაჭრის მაგივრად, ახალი პრობლემები დაემატა.

თინა ყიფშიძე

ფოტო: ლევან სარიგულიძე

„მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ აკად. ო. ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი წარმოადგენდა სტრატეგიულ ეროვნულ ობიექტს, იგი დაფუძნებული იყო ნაციონალური ცენტრის კონცეფციაზე, რომლის ანალოგიები არაერთი არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც ნებით სრულიად იქნა გავერანებული, გაკოტრებული და საეჭვოდ გაყიდული. აკ. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი გაყიდული იქნა ტენდერის გარეშე არარეალურად დაბალ ფასად, 7 წლით პროფილის შენარჩუნებით, რაც ნიშნავს იმას, რომ შემდგომ აკ. ო. ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი შეწყვეტს არსებობას!“ – 26 ოქტომბერს საქართველოს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სახელზე ო. ღუდუშაურის სახელობის ორთოპედიისა და სპორტული ტრავმის ინსტიტუტის დამფუძნებლების ამ შინაარსის ღია წერილი გავრცელდა.

ღუდუშაურის ექიმები 30 ოქტომბერს კოალიაცია „ქართული ოცნების“ ოფისში ჯანდაცვის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ და კლინიკაში შექმნილი პრობლემების შესახებ უამბეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ლიბერალი“ ყაზბეგის მაჟორიტარ დეპუტატსა და ჯანდაცვის კომიტეტის წევრს მირიან წიკლაურს დაუკავშირდა.

„ეს საკითხი განხილვის პროცესშია და ვფიქრობთ, როგორ შეიძლება ღუდუშაურის მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეყანას რამდენიმე საბაზისო კლინიკა უნდა ჰქონდეს“, – თქვა „ლიბერალთან“ საუბრისას მირიან წიკლაურმა, თუმცა აღნიშნა, რომ გასხვისებული საავადმყოფოს ისევ სახელმწიფო მართვის ქვეშ დაბრუნება „ძველი მეთოდია“ და ამ გზას არ გამოიყენებენ.

ღუდუშაურის კლინიკა 2011 წლის ოქტომბერში 6 მლნ 670 ათას ლარად „ჯორჯიან მედ“-მა შეიძინა. საწყისი ფასი ელექტრონულ აუქციონზე 6 მლნ 600 ათასი ლარი იყო.

ექიმები ჰყვებიან, რომ პრობლემები კლინიკაში ახალი მმართველის მოსვლისთანავე დაიწყო. განახევრდა და შემცირდა ხელფასები, ექიმთა დიდმა ნაწილმა დატოვა კლინიკა.

ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების დროს ახალ მფლობელსა და ექიმებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. ხელშეკრულებაში ეწერა:

„1. ხელშეკრულების მიხედვით, თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება მცირდება, მაგალითად: აქამდე თუ ქირურგი 2550 ლარის ღირებულების ოპერაციაში 354 ლარს იღებდა, ახალი სახელფასო განაკვეთით 115 ლარით ნაკლებს, 238 ლარს მიიღებს.

2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის ნოემბრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელმძღვანელობა ექიმებს წინა წლის ნოემბრის 21-დან შესრულებულ სამუშაოებს ახალი ხელშეკრულებით დადგენილი წესით აანაზღაურებს, რასაც თანამშრომლები კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ. მაშინ ახალი შრომითი ხელშეკრულებით უკმაყოფილო 130-მდე პერსონალმა კლინიკა დატოვა.

სახელფასო ფონდის შემცირებას ახალი მფლობელი კლინიკაში არსებული მდგომარეობით ხსნიდა.

„ამ წუთში ჩვენი პრიორიტეტი დაწესებულებაა. თუ იურიდიული პირი კატასტროფას განიცდის, მაშინ არცერთი სამუშაო ადგილი აღარ იქნება. ეს არც ჩვენს ინტერესშია, არც კოლექტივის და არც პაციენტების. ჩვენ თანამშრომლებს ავუხსენით, რომ დაწესებულება თან უნდა გაუმკლავდეს მიმდინარე ხარჯებს, თან უნდა დაიწყოს ძველი დავალიანების დაფარვა.

ამას მარტო მფლობელი ვერ მოახერხებს, ეს უნდა ერთობლივად მოხდეს, კოლექტივის და მფლობელის შეთანხმებული საქმიანობით“, – ეს განცხადება „ლიბერალთან“ ღუდუშაურის კლინიკის დირექტორმა, სოსო ბრეგვაძემ 2012 წლის იანვარში გააკეთა.

ექიმები ამტკიცებენ, რომ ხელფასების შემცირებამ და კლინიკიდან ექიმების წასვლამ მომსახურების ხარისხის დაცემა გამოიწვია. „როდესაც მაღალკვალიფიციური ექიმი მიდის კლინიკიდან, ხარისხიც შესაბამისად ეცემა“, – ამბობს კლინიკის ყოფილი დირექტორი ზაზა მეტრეველი. მისი თქმით, „ახალმა მფლობელმა, ელგუჯა გოცირიძემ ხისტი პოლიტიკის გატარება დაიწყო. ხელფასები შეამცირა და ძალიან ბევრმა წამყვანმა სპეციალისტმა „ღუდუშაური“ დატოვა“.

თანამშრომლების თქმით, ახალ მფლობელთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის პრობლემა მნიშვნელოვნად ახალ მფლობელის პირობებში გამწვავდა. სამედიცინო პერსონალი, როგორც თავად ამბობს, კაბალურ პირობებში მუშაობს.

„კლინიკის მართვის პრინციპი ენის მიტანაზეა აგებული, თუ არ ხარ ენისმიმტანი და არ ხარ თანახმა კაბალურ პირობებზე, იქ ვერ გაჩერდები. ექთნებთან, სანიტრებთან საშინელი დამოკიდებულებაა“, – ამბობს ამავე კლინიკის ყოფილი ექიმი ტრისტან ნიშნიანიძე.

იყო შემთხვევები, როდესაც პაციენტმა მკურნალობის ფული ვერ გადაიხადა. კლინიკის ადმინისტრაციამ ეს თანხა ექიმებისა და თანამშრომლების ხელფასების დაქვითვით ამოიღო.

„თუ პაციენტს დამატებით დასჭირდა გამოკვლევა, ექიმებს ახდევინებენ. ეს ხდება ყოველთვიურად, ხელფასის კორექტირებას ეძახიან, როცა მიზანმიმართულად გაკლებენ გადახარჯულ თანხას. ჩემს განყოფილებას სახელფასო ფონდიდან ამ პრინციპით 4000 ლარი დააკლდა“, — „ლიბერალთან“ საუბრისას ჰყვება ღუდუშაურის ექიმი მერაბ კიკნაძე.

ხელფასების შემცირების გარდა დაიხურა სხვადასხვა კათედრა.

„პოსტდიპლომური განათლების სამი კათედრა „ღუდუშაურში“, რომელიც ზრდიდა ორთოპედებს, ტრავმატოლოგებს და სამხედრო საველე ქირურგებს, გაუქმდა. ორთოპედიური განყოფილება 50-დან 20 საწოლამდე შეამცირეს“, – ამბობს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის განყოფილების ყოფილი უფროსი ბაადურ ზიმლიცკი.

კათედრების გაუქმებით კლინიკაში სასწავლო ბაზა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. საავადმყოფო, რომელსაც საუნივერსიტეტო ჰოსპიტლად გადაქცევის მნიშვნელოვანი რესურსი ჰქონდა, ექიმების თქმით, ნადგურდება.

გაყიდულია მიწის ის ნაწილი, რომელზეც თვითმფრინავი ჯდებოდა. ჰოსპიტლის შენობა „პროკრედიტ ბანკში“ 22 მილიონადაა ჩადებული. ექიმების თქმით, ამ ფულიდან „ღუდუშაურზე“ არაფერი დახარჯულა და ახალმა მფლობელმა მხოლოდ კლინიკის პირველი სართულის დერეფანი შეღება.

გაყიდულია მიწის ის ნაწილი, რომელზეც თვითმფრინავი ჯდებოდა. ჰოსპიტლის შენობა „პროკრედიტ ბანკში“ 22 მილიონადაა ჩადებული. ექიმების თქმით, ამ ფულიდან „ღუდუშაურზე“ არაფერი დახარჯულა და ახალმა მფლობელმა მხოლოდ კლინიკის პირველი სართულის დერეფანი შეღება.

„ბიზნესმენი როდესაც მოდის, ცდილობს შეინარჩუნოს კარგი ექიმი, კარგი თანამშრომლები, რომ მომგებიანი და კმაყოფილი იყოს. როდესაც მოდიხარ, სამსახურიდან უშვებ წამყვან ექიმებს და არ გაინტერესებს მათგან შემოსული თანხები, შენ სხვა ლოგიკა გაქვს. „პირველ სართულს დავტოვებო, მიმღები მექნებაო და პროფილს შევინარჩუნებო“ – დირექტორის სიტყვებია“, – ამბობს ტრისტან ნიშნიანიძე.

ექიმები ამტკიცებენ, რომ კლინიკაში პაციენტების მიმართვიანობამ მნიშვნელოვნად იკლო. „სტატისტიკა და წინა წლებთან მიმართებაში ზუსტი განსხვავების შესახებ ხელმძღვანელს უნდა ვკითხოთ. თუმცა, ზუსტად რაც ვიცი, არის ის, რომ ადრე რიგები იდგა, ახალ ეს ყველაფერი გაქრა. ამ ობიექტის დანგრევა მიზანმიმართულად მიმდინარეობს“, – ამბობს ბაადურ ზიმლიცკი.

ექიმები პრობლემის სათავედ და მთავარ დამნაშავედ ზოგად სახელმწიფო პოლიტიკას ასახელებენ. მათი აზრით, პრობლემა მყიდველში კი არა, გამყიდველშია, რომელიც ამგვარი პირობებით და მიზერულ ფასად ღუდუშაურის კლინიკა გაყიდა.

„ეს უფრო გლობალური პრობლემაა ვიდრე ერთი საავადმყოფოს პრობლემა. სახელწიფოს ინტერესებში უნდა იყოს, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები კონკრეტულ ადგილებში იყვნენ მოგროვებულები, არ გაიქცნენ და პატარ-პატარა კლინიკებში არ გაკეთდეს მაღალი დონის ოპერაციები. „ღუდუშაური“ ამ ფუნქციებს ასრულებდა. აქ ხდებოდა მძიმე პაციენტების თავმოყრა. შესაბამისად, წამყვანმა სპეციალისტებმა რომ დატოვეს „ღუდუშაური“, ეს პროფილი დაიკარგა“, – ამბობს ზაზა მეტრეველი.

ღუდუშაურის კლინიკა ელგუჯა გოცირიძემ 2011 წლის ოქტომბერში შეისყიდა, გასხვისებიდან ერთი წელი გავიდა. კლინიკის მომავალთან და იქ არსებულ პრობლემებთან მიმართებაში არაერთი კითხვა დაისვა.

რატომ ჩადო „ღუდუშაურის“ ახალმა მფლობელმა კლინიკა ბანკში? შემცირდა თუ არა კლინიკაში პაციენტთა მიმართვიანობა? რატომ გაყიდა ერთი ჰექტარი მიწა და გასხვისებიდან ერთი წლის თავზე როგორია ღუდუშაურის კლინიკის ფინანსური მდგომარეობა?

როგორც ცნობილია, გაყიდვის მომენტში ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრს 22 054 274,70 ლარის დებიტორული და 4 140 002,41 ლარის კრედიტორული დავალიანება ჰქონდა.

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად კლინიკის დირექტორს სოსო ბრეგვაძეს დავუკავშირდით, რომელმაც გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო შეხვედრაზე უარი გვითხრა. კლინიკის ხელმძღვანელ ელგუჯა გოცირიძესთან დაკავშირება კი ვერ მოვახერხეთ.

ფოტორეპორტაჟი

ალავერდობა

დინა ოგანოვა

ალავერდობა უძრავი დღესასწაულია და ჯვართამაღლებას არ სცდება.

ალავერდის ტაძარში ალავერდობას მისული მლოცველი მარჯვნიდან სამჯერ შემოუვლის ტაძარს, შემდეგ შიგნით შედის და სანთლებს ანთებს, დღესასწაული აღინიშნება ღამისთევით.

ალავერდობაზე უძველესი დროიდან დამკვიდრებულა ბაზრობა, იქ არსებული მოედანი დაყოფილი იყო ქუჩებად, სადაც სხვადასხვა საქონლით მოვაჭრეს საკუთარი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ალავერდობისთვის ყველას შესაწირი მოჰქონდა უძველესი დროიდან.

ადრე ალავერდობის დღესასწაულს თავისი სპეციფიკური რიტუალური დასასრული ჰქონდა. ალავერდის ეზოში 200-300 ცხენოსანი თუში იკრიბებოდა და ომში დაღუპულთა სულებისათვის დალაის სიმღერით გარს უვლიდა ტაძარს.


rave
girl

ბიძაჩემი

ბექა ქურხული
მწერალი



„ах ты воля, моя воля, воля волная моя“

„This is my uncle!" „ერთხელ ამერიკაში“ მაქსი რომ ეუბნება ლევშაზე. საათს რომ აწერენ ერთმანეთს. დღეს ამ „ერთხელ ამერიკას“ „ნაიარევ სახესთან“ და „ნათლიასთან“ ერთად ლამის მთელი ჩემი თაობის დაღუპვას აბრალებენ. ჰო, კიდევ, „კარლიტოს გზაც“ საქმეშია.

ძალიან მაზალოა ეგა, ერთი სულელი რომ რამეს დააბრეხვებს, მერე აიტაცებენ და ლამის უტყუარ ჭეშმარიტებად და აქსიომად აცხადებენ. ქართველები ოცი საუკუნეა ერთმანეთსაც და სხვებსაც ჩეხავენ. ლუმიერს ჯერ სად დაეტრიალებინა ის თავისი ჯადოსნური აპარატი. ჰეე, სად იყო? ეგეც ძალიან ჩვენი, პროვინციალურ ქართული, მატრაკვეცული ამბავია. საკუთარი სიგიჟეები და სისულელეები მეტ-ნაკლებად იდიოტურ ჰოლივუდურ ფილმებს დავაბრალოთ.

This is my uncle! ზუსტად ასე მყავს ბავშვობიდან ამოჩემებული ვასილი შუკშინი. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მაგარი მწერალი. არა, ყველაზე მაგარი რუსი მწერალი არა, უბრალოდ ყველაზე მაგარი მწერალი. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა მაგარი მწერალი საკუთარი ეროვნებიდან ამოდის, მაგრამ თუ მართლა მაგარია, გზაში ისე შემოეცლება თავის ეროვნულობა, როგორც კოსმოსურ ხომალდს – „რაკეტანასიწელი“. ოღონდ, იმ „რაკეტანასიწელის“ გარეშე კოსმოსური ხომალდი ვერასდროს გაფრინდება, ხოლო მის გარეშე გაფრენის ყოველი ხელოვნური მცდელობა კი კრახით და ავარიით მთავრდება. ჰო, კიდევ შეიძლება შარლატანებმა შექმნან დროებით ფრენის ილუზია, მაგრამ ისინი მალევე ეშვებიან ხოლმე ამ ცოდვილ დედამიწაზე, მეტ-ნაკლები უსაფრთხოებით.

მე ოთხი გიჟი ვიცი, რომლებიც თავის მიწაზე და სოფელზე წერენ: უილიამ ფოლკნერი, გრანტ მათევოსიანი, რეზო ინანიშვილი და ვასილი შუკშინი. მხეცებივით წერენ. და მიუხედავად იმისა, რომ ერთი არა მარტო ამერიკელია, არამედ სწორედ სამხრეთელი, გაქცეული შავკანიანის სუნით მცნობი და დათვის ნაკვალევზე მიმავალი, მეორე არა მარტო სომეხი, არამედ დაღეთელი, თავის გაქვავებულ ხეობებს თვალჩაშტერებული. მესამე არა მარტო ქართველი, არამედ კახელი, ხაშმელი, თავის მარნის ზღურბლზე ჩამომჯდარი, მეოთხე კი, არა მარტო რუსი, არამედ ციმბირელი, თავისი ბაიკალით, სამხრეთით მონღოლეთის მთებით, ზღვასავით თვალუწვდენელი მდორე მდინარეებით, დაუსრულებელი სივრცეებით – დღეს აღარავის არ აინტერესებს სადაურები არიან, იმ უბრალო

მიზეზის გამო, რომ როგორც საიქიოში, ასევე, ნამდვილ მწერლობაში საზღვრები არ არსებობს, იქ ყველა თავისი ფეხით მიდის სრულ სიმარტოვეში და ბოლომდე მარტო რჩება თავის ადგილას.

ვასილი შუკშინი 1974 წელს გარდაიცვალა. „ანი სრაჟალის ზა როძინუს“ გადაღების დროს. ჩემს დაბადებამდე 2 თვით ადრე. პირველად 15 წლისამ წავიკითხე. ბაზალეთის ტბაზე. დღისით ქამარში გაყრილი „ლისიჩკით“ ამაოდ დავდევდი გოგოებს, ღამე კი შუკშინის მოთხრობებს ვკითხულობდი და მაშინ მივხვდი, რომ ბიძაჩემი იყო. მერე იყო „კალინა კრასნაია“. ერთადერთი ფილმი, რომელზეც მიტირია. რომ კლავენ მაგაზე არა, დედამისთან რომ მივა, რომელიც თავისი შვიდჯერ ნასამართლეობის გამო ოცი წელი არ უნახავს და იქიდან გამოსული მიწაზე რომ გაგორდება თავისი შავი ტყავის კურტკით და კირზის ჩექმებით, მიწას ბალახებიანად რომ ბლუჯავს და ღრიალებს: – „სუკა ია, სუკა, ტვარ! პრასწი მინია გოსპოდი, პრასწი, იესლი მოჟეშ“, – აი, მანდ ვიტირე მაგრა.

მაგარი ნატანჯი იყო. ნათრევი, ნაწვალები, ნაშიმშილარი. არსენი ტარკოვსკივით მასაც თავისუფლად შეეძლო დაეწერა: „უ, კაკ მი ვ დეტსტვე გალადალი“! წერდა კიდევაც, მაგრამ სხვა რამეებზეც წერდა: ტაიგაზე, ყაჩაღებზე, პურგაზე, ადამიანებზე, სულზე! მოთხრობა აქვს ერთი „ვერუიუ“ ! სადაც ვიღაც დამთხვეული მღვდელი სუფთა სპირტს სვამს, ზედ მაჩვის ხორცს აყოლებს, იმიტომ, რომ ჭლექის ნიშნები აქვს, ირონიულად უხსნის ცხოვრების რაობას მეორე დამთხვეულს, რომელიც მიადგება – „მამაო, სული მტკივაო“. კინაღამ დახოცავენ ერთმანეთს.

მის მოთხრობებში სულ ვიღაცა ტიპები არიან. ცხოვრობენ, ოღონდ მართლა. თითქოს ხმებიც კი გესმის წიგნის ფურცლებიდან: ჩხუბის, გარმონის, ტაიგის, თავისუფლების. ერთი ძალიან მაგარი რომანი აქვს დაწერილი. „ლუბავინები“. მამა და ოთხი ბიჭი. ხუთივე ერთმანეთზე გიჟი ციმბირელი. ბოლშევიკები ხორბალს ართმევენ და ესენი არ აძლევენ. რომანი ასე იწყება: – „ლუბავინები სოფელში არ უყვარდათ“. და მერე მიდის და მიდის და მიდის. სროლა, ცელხლ წაკიდება, აი, შენ ჩემი ხორბალი და ვინტოვკის ტყვიას რომ გაუგზავნიან კომისარს. ახლა ცეცხლის წაკიდება როგორ არის ციმბირის აჯანყებული ბიჭების ენაზე: – „პეტუხა პუშჩუ“... პოეტურია, ვერაფერს იტყვი! თვითონაც იხოცებიან. მანდ ამბავია ერთი... ან წაიკითხეთ, თუ არ გეზარებათ, ეგრე მე მთელ რომანს მოვყვები.

არასოდეს ბიძა არ მყოლია. ძალიან მინდოდა მყოლოდა, მაგრამ არ მყავდა და როგორ მეყოლებოდა! ერთადერთი ბიძა მყავს და ისიც ციმბირელი, რომელიც არასოდეს მინახავს, ჩემს დაბადებამდე ორი თვით ადრე მოკვდა. სასნოვკელი ბიძა ზაბაიკალიედან. ამოწეული ყვრიმალებით და გიჟური, სევდაშეპარული, თითქოს შეშინებული გამოხედვითაც.

ბიძიჩემი ვასილი შუკშინი!

FM

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ

98.0

www.ucnobifm.ge

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge